

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაია ონიანი

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და
მათი გადაჭრის გზები თბილისის მუნიციპალიტეტში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა – საჯარო მმართველობა

შიფრი – 1109

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0160, საქართველო

2022 წელი

საავტორო უფლება © 2022 წელი, „მაია ონიანი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მაია ონიანის მიერ შესრულებულ სადოქტორო ნაშრომს დასახელებით: „სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და მათი გადაჭრის გზები თბილისის მუნიციპალიტეტში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„----“, „-----“, 2022 წელი

ხელმძღვანელი: პროფესორი შოთა დოლონაძე

რეცენზენტი: -----

რეცენზენტი: -----

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022 წელი

ავტორი: მაია ონიანი

დასახელება: სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და მათი გადაჭრის გზები თბილისის მუნიციპალიტეტში

სადოქტორო პროგრამა: საჯარო მმართველობა

ხარისხი: საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა: “-----“ “-----“ 2022 წ.

ინდივიდუალური პროცენტების ან ინსტიტუტების მიერ შემოთმთმეყვანილი დასახელების სადისერტაციო ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებულ საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიური მიმართულების ლიტერატურის ციტირებას, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში, სოციალური პრობლემატიკა, დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება. ქვეყნების უმრავლესობაში სოციალური პოლიტიკა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია და დიდი ოდენობის თანხებიც ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით იხარჯება. სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი ქვეყნის საპენსიო სისტემაა.

საპენსიო პოლიტიკა ყველა განვითარებული ქვეყნის სერიოზული გამოწვევაა, რამდენადაც, დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების დიდი ნაწილი დაბერებად ერთა კატეგორიებად იწოდებიან. მნიშვნელოვანია საპენსიო პოლიტიკა იმართებოდეს ცხოვრების განვითარების და თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად.

როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, საპენსიო პოლიტიკის მართვა საჭიროებს ახლებურ ხედვას და რეფორმების განხორციელების ისეთი მექანიზმების შემუშავებას, სადაც სამომავლო, გრძელვადიან საპროგნოზო მაჩვენებლებში, მოსალოდნელი იქნება ხანდაზმულ ადამიანთათვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა დიდი ხნის წინ დაიწყეს ფიქრი საპენსიო პოლიტიკის სამომავლო გეგმებზე, რა დროსაც მათ კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემები შექმნეს და მისი პრაქტიკაში განხორციელება უზრუნველყვეს.

დაგროვებითი საპენსიო სისტემა ძირითადად სამსვეტიან მექანიზმზეა აწყობილი, სადაც I სვეტი მოიცავს საბაზისო პენსიას, რომელსაც სახელმწიფო, ბიუჯეტიდან დაფინანსების გზით ახორციელებს; II სვეტი ეს არის დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ საპენსიო ფონდში დანაზოგის სახით გადარიცხული თანხების პროცენტული მაჩვენებელი და ემსახურება ადამიანთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაზრდას. III სვეტი ითვალისწინებს კერძო სადაზღვევო და საფინანსო ორგანიზაციების მეშვეობით საპენსიო ასაკისთვის დანაზოგის უზრუნველყოფას. კონცეფციის თანახმად, საპენსიო რეფორმა ორიენტირებულია ხანდაზმული მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოებისა და საფინანსო ხარჯების შემცირებისკენ.

საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მიეკუთვნება დაბერებად ერთა კატეგორიას. იმ რეალობის გაანალიზებით, რაც შესაძლოა სამომავლოდ სახელმწიფოს წარმოემვას, აუცილებელია ძირეული საპენსიო რეფორმის განხორციელება. ამ მიზნით, 2018 წლის 6 აგვისტოდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, რომლის სრული ამოქმედება 2019 წლის 1 იანვრიდან დარიცხულ ხელფასებზე დაიწყო, სადაც თანამონაწილის სტატუსით დასაქმებულსა და დამსაქმებელთან ერთად შემოდის სახელმწიფო 2% (ჯამში 6%). სახელმწიფოს ჩართულობა და თანამონაწილეობა დაგროვებით საპენსიო სისტემაში არის მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორი, სისტემაში მონაწილის სტატუსით ჩასართავად. 2019 წლის ბოლოს სისტემაში ჩართული

იყო 795 ათასი მონაწილე, ხოლო საქსტატის 2021 წლის 02 ნოემბრის მონაცემებით სისტემის მონაწილეთა რაოდენობა 1 მილიონ 212 ათასს შეადგენდა და ის ყოველთვიურად განაგრძობს ზრდას. ხოლო იმავე პერიოდის მონაცემებით აქტივების მოცულობა 1.83 მილიარდ ლარს შეადგენდა, სადაც 234 მილიონი ლარი დარიცხული სარგებელი იყო. აქტივები განთავსებულია ქართულ კომერციულ საბანკო ორგანიზაციებში, სადაც მას 11.1% ოდენობით სარგებელი ერიცხება, რაც ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია რეფორმის სწორად წარმართვისთვის, რადგანაც დანაზოგმა და მასზე დარიცხულმა სარგებელმა უნდა უზრუნველყოს ჩანაცვლების მაღალი კოეფიციენტის შეთავაზება სისტემის მონაწილისთვის ხანდაზმულ ასაკში. დაგროვებით საპენსიო სისტემის ეფექტურობას, გარდა იმისა, რომ მან უნდა უზრუნველყოს საპენსიო ასაკში ადამიანთა ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა, განაპირობებს ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საინვესტიციო გარემოს შექმნა, განსხვავებით, არსებული საპენსიო სისტემისგან, რომელიც ხმარდება მხოლოდ ხარჯვას და ის ვერ უზრუნველყოფს საინვესტიციო გარემოს შექმნას.

დღეს არსებული საპენსიო სისტემა სრულად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც თავისი არსით, სოციალური დახმარება უფროა, ვიდრე პენსია. საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში პენსიონერთა რაოდენობა წლების მიხედვით მზარდია და თუ არა საპენსიო რეფორმა და მისი სწორად წარმართვა, სამომავლოდ ეს ვითარება სერიოზულ ტვირთად დააწვება ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს.

საქართველოს საპენსიო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალაქ თბილისს; ცხადია ეს მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, უპირველესად მოსახლეობის რაოდენობით, ასევე იმიტაც, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა რეგიონების მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისგან განსხვავებულია, რაც მეტი სოციალური ღონისძიების განხორციელების საშუალებას იძლევა. წინამდებარე სადისერტაციო კვლევა ეფუძნება თბილისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ხანდაზმულ ადამიანთა ყოფის გამოკვლევას. სწორედ თბილისია ის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს მეტი რესურსი სოციალური პროექტების უზრუნველსაყოფად, რითაც უზრუნველყოფს თბილისში რეგისტრირებული პენსიონერების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ნაშრომში მოცემულია წარმატებული ქვეყნების სოციალური პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკა (ფინეთი, გერმანია, სკანდინავიური ქვეყნები), გაანალიზებულია საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, მიმოხილულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები და ადმინისტრირების მიმართულებით მათი აღსრულების მექანიზმები.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა „საპენსიო სისტემის შეფასება ხანდაზმულ ადამიანთა მიერ და მისი შესაბამისობა არსებულ გამოწვევებთან მიმართებით“, რომელიც თბილისში რეგისტრირებულ ხანდაზმულ პენსიონერთა სოციალურ მდგომარეობას ასახავს და მასში გაანალიზებულია ის საჭიროებები, რაც მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია (მედიკამენტი, საკვები პროდუქტები, კომუნალური გადასახა-

დები და სხვა).

ნაშრომის ფარგლებში ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ მოქმედი საპენსიო სისტემა მართალია ემსახურება სიღარიბის შემცირებას, მაგრამ ის ვერ უზრუნველყოფს პენსიონერთა ღირსეულ დაბერებას, ვინაიდან მას არ შეუძლია ჩანაცვლების მაღალი კოეფიციენტის შეთავაზება, არაეფექტურია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც, რადგანაც იქ არსებული ფინანსები ხმარდება მხოლოდ ხარჯვას. ამასთან, მოქმედი საპენსიო სისტემა არასამართლიანია, ვინაიდან არ შეიცავს ნამსახურობის წლებს და ის ყველასთვის ერთნაირია, შრომითი სტაჟის მიუხედავად. ყველა ეს ფაქტორი მეტად ადასტურებს და ასაბუთებს საპენსიო რეფორმის აუცილებლობას და საჭიროებას.

Abstract

The social problems become more prominent in the modern world. In most countries, social policy is a matter of special concern and a significant share of the budget is spent toward this direction. One of the most important aspects in the implementation of social policy is the country's pension system.

Due to the demographic situation, most of the developed countries of the world are referred to as aging nations, therefore, pension policy appears to be a serious challenge for them. Pension policies should be managed in accordance with the requirements of the development of life and the age of modern technology.

As the practice of foreign countries shows, the management of pension policy requires a new vision and the development of mechanisms for the implementation of reforms, which in the long-term will ensure a decent old age for older people.

Because of that situation, the developed countries of the world began to think about the better pension policy long time ago, and they created private accumulative pension systems and ensured its implementation in practice.

Accumulative pension system is mainly a three-column mechanism, Column I includes the basic pension provided by the state through budget funding; Column II is a percentage of the amount of savings transferred by the employer and the employee to the pension fund and serves to increase the individual responsibility of the people. Column III provides the provision of savings for the retirement age through private insurance and financial organizations. According to the concept, the pension reform is focused on the social security and decreasing the financial costs of the elderly population.

Georgia, like many countries around the world, belongs to the aging nations by category. Analyzing the realities that may arise for the state in the future, it is necessary to implement a fundamental pension reform. For this purpose, on August 6, 2018, the Law of Georgia on Accumulative Pension was enacted, the full implementation of which began on January 1, 2019 on salaries accrued, in which the state enters 2% together with the employee and the employer (6% in total). The involvement and participation of the state in the accumulative pension system is an important incentive factor to be included in the system as a participant. At the end of 2019, 795 thousand participants were enrolled in the system, while according to the data of Geostat on November 2, 2021, the number of participants in the system was 1 million 212 thousand and it continues to grow every month. While the assets for the same period amounted to GEL 1.83 billion, of which GEL 234 million was accrued interest. The assets are positioned in Georgian commercial banking organizations, where it accrues an interest rate of 11.1%, which is also an important part of the proper conduct of the reform, as the savings and accrued benefits should provide a high rate of substitution for the system participant in old age. The efficiency of a funded pension system, in addition to ensuring that people of retirement age can enjoy a decent old age, creates an investment environment for the development of the country's infrastructure, unlike the existing pension system, which represents only spending and fails to create an investment environment.

It is fact that the current pension system is fully financed from the state budget, which in essence is more social assistance than pensions. According to the official data of Geostat, the number of pensioners in Georgia is growing over the years, and if not the pension reform and its proper management, this situation in the future will put a serious burden on the spending part of the state budget.

Tbilisi has a special place in the Georgian pension system; Clearly, this is due to many factors, primarily the size of the population, as well as the fact that the budget of Tbilisi Municipality is different from the budgets of the municipalities of the regions, which allows for more social activities. The present dissertation research is based on the study of the living conditions of elderly people living in Tbilisi Municipality. Tbilisi is the municipality that has more resources to provide social projects, thus ensuring the improvement of the social situation of pensioners registered in Tbilisi.

The paper discusses the successful implementation of social policy practices in developed countries (Finland, Germany, Scandinavian countries), analyzes the legal framework of Georgia, reviews state and local self-government budgets and the mechanisms for the implementation in terms of administration.

The dissertation presents the research "Assessment of the pension system by older people and its relevance to the challenges", which reflects the social status of older retirees registered in Tbilisi and analyzes the needs that are a priority for the population (medicine, food, utility bills, etc.).

A research we conducted for this paper clearly showed that the current pension system does serve to reduce poverty, but it can not provide a decent aging of pensioners, as it can not offer a high rate of replacement, it is also inefficient in terms of the economic development of the country, because the funds are only used for spending. However, the current pension system is unfair as it does not include years of service and it is the same for everyone, regardless of length of service. All these factors strongly confirm and substantiate the necessity of pension reform.

შინაარსი

ტიტულის გვერდი	1
ხელმოწერების გვერდი.....	2
საავტორო უფლების გვერდი.....	3
რეზიუმე (ქართულ ენაზე)	4
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე).....	7
შინაარსი.....	9
ცხრილების ნუსხა	11
გრაფიკების ნუსხა	12
გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა	13
მადლიერების გვერდი	14
შესავალი	15
ლიტერატურის მიმოხილვა	20
თავი 1. სოციალური პოლიტიკა – სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედი	34
1.1. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტები.....	34
1.2. სოციალური პოლიტიკის ევროპული გამოცდილება	45
1.2.1. სოციალური პოლიტიკა ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით	56
1.3. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სოციალური პოლიტიკის საკითხთა აღსრულების პრაქტიკა და გამოწვევები.....	65
თავი 2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ანალიზი.....	68
2.1. ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებით გათვალისწინებული სოციალური პროექტები... ..	68
2.2. სოციალური პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები	78
თავი 3. საქართველოს საპენსიო სისტემა და მისი განვითარების ტენდენციები.....	82
3.1. საპენსიო რეფორმის მნიშვნელობა და საჭიროება.....	82

3.2. ევროპის საპენსიო სისტემის საუკეთესო პრაქტიკა და შედარებითი ანალიზი ქართულ საპენსიო რეფორმასთან.....	93
3.3. თბილისის მოქალაქეები არსებული საპენსიო სისტემის შესახებ (კვლევის შედეგები).....	104
3.4. თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზი.....	125
დასკვნა	128
გამოყენებული ლიტერატურის სია	133

ცხრილების ნუსხა

ცხრილი №1. საქსტატი - პენსიის მიმღებთა რაოდენობა წლების მიხედვით.....	75
ცხრილი №2. საქსტატი - შრომისუნარიანი მამაკაცების საარსებო მინიმუმი	84
ცხრილი №3. საქსტატი - ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდა წლების მიხედვით.....	86

გრაფიკების ნუსხა

გრაფიკი № 1. გადანაწილების სქემის მიხედვით.....	105
გრაფიკი № 2. რესპონდენტთა რაიონული გადანაწილება.....	105
გრაფიკი № 3. ასაკობრივი გადანაწილება	106
გრაფიკი № 4. საპენსიო თანხების გადანაწილება	108
გრაფიკი № 5. შემოსავალი ასაკის მიხედვით	109
გრაფიკი № 6. საპენსიო თანხაზე დამოკიდებულება	111
გრაფიკი № 7. პენსიის გარდა სხვა დამატებითი შემოსავალი	112
გრაფიკი № 8. დაგროვებითი საპენსიო სისტემისადმი დამოკიდებულებაზე ასაკის გავლენა	113
გრაფიკი № 9. მსყიდველობითუნარიანობის შეფასება ასაკის ჭრილში.....	115
გრაფიკი № 10. საპენსიო ასაკისადმი დამოკიდებულება ასაკის ჭრილში ...	116
გრაფიკი №11. დასაქმების გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.....	116
გრაფიკი № 12. დასაქმება და საპენსიო შემოსავალზე დამოკიდებულება.....	117
გრაფიკი № 13. დასაქმება და საპენსიო თანხაზე დამოკიდებულება	118
გრაფიკი № 14. დასაქმება და დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ დამოკიდებულება.....	119
გრაფიკი № 15. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დამოკიდებულება შემოსავალზე.....	120
გრაფიკი № 16. დამატებითი შემოსავალი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	121
გრაფიკი № 17. შემოსავლის გავლენა დაგროვებით საპენსიო სისტემისადმი დამოკიდებულებაზე.....	122
გრაფიკი № 18. შემოსავლის გავლენა საყოველთაო ჯანდაცვის ხარვეზებზე	124

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

AA – „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ“ შეთანხმება.

ACA – Affordable Care Act (ACA, often called “Obamacare”) – ხემისაწვდომი ზრუნვის აქტი.

AGIRC – მენეჯერული პერსონალისათვის დამატებითი საპენსიო სქემების ასოციაცია, სადაც მხოლოდ მენეჯერული პოზიციის დასაქმებულებია გაწევრიანებული.

ARRCO – დასაქმებულთათვის დამატებითი საპენსიო სქემების ასოციაცია, სადაც ყველა დასაქმებულია გაწევრიანებული.

CDCS – სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტი.

COVID-19 – Coronavirus disease (SARS-CoV-2) – კორონავირუსით გამოწვეული ინფექცია.

DB – Defined benefit pensions schemes – სქემა, სადაც გასაცემი პენსიის ზღვარი განსაზღვრულია.

DC – Defined contribution pensions schemes – სქემა, სადაც შენატანების ოდენობა ლიმიტირებულია.

ECSC – European Coal and Steel Community – ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება.

IRA – Individual Retirement Arrangement – სქემა, ინდივიდუალური დამატებითი დაგროვებითი საოქსიო სისტემა.

KiwiSaver providers – პროფესიული დაგროვებითი პენსიის პროვაიდერები.

KiwiSaver scheme – პროფესიული დაგროვებითი პენსიის სქემა.

NEST – National Employment Saving Trust – დანაზოგების ეროვნული კორპორაცია.

OECD – The Organisation for Economic Co-operation and Development – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

UNICEF – United Nations Children’s Fund – გაეროს ბავშვთა ფონდი.

Wilmington Publishing & information Ltd, 2 – კერძო საფინანსო ორგანიზაცია.

მ.შ. - მათ შორის.

მ.შ.პ. – მთლიანი შიდა პროდუქტი.

საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შ.შ.მ. – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

მადლიერების გვერდი

სადისერტაციო ნაშრომი ვერ იქნებოდა ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული, რომ არა სამეცნიერო თემის ხელმძღვანელის, პროფესორ შოთა დოლონაძის გვერდში დგომა და მხარდაჭერა, რომლის შრომა ფასდაუდებელია ნაშრომის შექმნის და სრულყოფის პროცესში.

განსაკუთრებული მადლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს, პროფესორ გენადი იაშვილის ხელმძღვანელობით, რომელთა ღვაწლი განუსაზღვრელია ახალგაზრდა თაობის მეცნიერად ფორმირების პროცესში.

კვლევის პროცესში გაწეული პრაქტიკული რეკომენდაციების და დახმარებისთვის მადლობა ქალბატონ ბელა რეხვიაშვილს.

შესავალი

სოციალური პოლიტიკა, სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი მონაპოვარია. სხვაგვარად, მას კეთილდღეობის პოლიტიკას უწოდებენ, რომელიც სოციალური ცვლილებების განხორციელების გზით, ხელს უწყობს კეთილდღეობის პრინციპების გამყარებას. სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს სუბიექტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სოციალური განვითარების სტრატეგიის ფორმირებისაკენ. სოციალური პოლიტიკა ახასიათებს საზოგადოების სოციალური სტრუქტურების ძირითადი ელემენტების ურთიერთობას და მოსახლეობის სოციალური მიდგომების შენარჩუნებას.

სახელმწიფო სოციალურ პოლიტიკას ატარებს საზოგადოების სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური სტაბილიზაციის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ამ მიდგომების საფუძველია ისტორიული შეხედულებანი სამართლიანობასა და თანასწორობაზე, რომლებიც საზოგადოების კულტურულ ღირებულებებში, საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციებსა და ჩვეულებებშია განმტკიცებული.

სოციალური კეთილდღეობის არსი მდგომარეობს ქმედებების იმგვარ დაგეგმვა-განხორციელებაში, რომელიც მიმართული იქნება სიღარიბის დაძლევისკენ და ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ.

თემის აქტუალურობა. თანამედროვე მსოფლიოში, სოციალური პრობლემატიკა, დღითიდღე უფრო აქტუალური და მოთხოვნადი ხდება. სოციალური პოლიტიკა ფაქტობრივად ყველა ქვეყნის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხებიც ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით იხარჯება. გამონაკლისს ამ მიმართულებით არც საქართველო წარმოადგენს.

სახელმწიფოთა მიდგომა სოციალური პოლიტიკისადმი ევროპის ქვეყნებში განსხვავებულია, რაც გამოწვეულია სოციალური პოლიტიკის წარმოშობის, ისტორიული განვითარებისა და თანამედროვე ტენდენცი-

ებიდან გამომდინარე. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შედეგად, ქართულმა კანონმდებლობამ მოახდინა ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზება, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ნაშრომში ევროპული ქვეყნების გამოცდილების ქართულ კანონმდებლობასთან შედარება – საერთო ღირებულებებისა და ხარვეზების შესწავლა. ამასთან, საქართველო სერიოზული გარდაქმნების წინაშე დგას, რაც საპენსიო რეფორმამ უნდა უზრუნველყოს, იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ სახეზეა ძველი და ახალი სისტემების ერთობლივად ფუნქციონირება, დაგროვებითი პენსიის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული სერიოზული გამოწვევები.

მიუხედავად მრავალი პროგრამის განხორციელების და ფინანსური რესურსის გამოყოფისა, სიღარიბის დაძლევა საქართველოსთვის კვლავ მნიშვნელოვან ნეგატიურ ფაქტორად რჩება.

სამწუხარო რეალობაა, რომ დღითი-დღე იზრდება “სოციალური სტატუსის მომპოვებელთა“ ბაზაში რეგისტრაციის მსურველები. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებით მრავალ პროგრამას თუ ღონისძიებას ახორციელებს, სახელმწიფო ჯერ კიდევ გამოწვევების წინაშე დგას, როგორცაა: სიღარიბე, სოციალურად დაუცველ ოჯახთა არსებობა ქვეყანაში, არასათანადო საპენსიო უზრუნველყოფა, უსახლკაროთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები, გაზრდილი ფასები მედიკამენტებზე და სხვა.

კვლევის მიზანია – თბილისის ხანდაზმული მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის შეფასება, არსებული საპენსიო სისტემის პირობებში, თუ რამდენად პასუხობს სისტემა თანამედროვე გამოწვევებს და გაიზრდება თუ არა ხანდაზმულთა კმაყოფილება საპენსიო თანხის გაზრდის შედეგად. გამომდინარე იქედან, რომ თბილისის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტის მოცულობიდან გამომდინარე თბილისელი პენსიონერებისთვის მეტი სოციალური ღონისძიებების განხორციელება შეუძლია, ვიდრე რეგიონების მუნიციპალიტეტებს.

კვლევის ამოცანები:

- სოციალური პოლიტიკის განვითარების კვლევა თანამედროვე სა-

ხელმწიფოში საქართველოსა და მისი დედაქალაქის თბილისის მაგალითზე;

- სოციალური პოლიტიკა და ეკონომიკური განვითარების ასპექტები, მათი კავშირები მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან;
- ასოცირების ხელშეკრულების გავლენა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მისი აღსრულება;
- ბიუჯეტებისა და საკანონმდებლო ბაზის ანალიზი სოციალური პოლიტიკის ჭრილში და მისი აღსრულების მექანიზმები;
- საპენსიო სისტემის ანალიზი, მისი განვითარების ტენდენციები და საპენსიო რეფორმის აუცილებლობის დასაბუთება თბილისის მაგალითზე;
- საპენსიო სისტემების საუკეთესო უცხოური გამოცდილების ანალიზი და მისი შედარება ქართულ საპენსიო სისტემასთან;
- თბილისის ხანდაზმული მოქალაქეების მიერ არსებული საპენსიო სისტემის შეფასება, გადასაწყვეტი პრობლემების ანალიზი და ამოცანების ჩამოყალიბება.

კვლევის ობიექტია – საქართველოს საპენსიო სისტემის ორგანიზაცია და ამ მიმართულებით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დაძლევის მიზნით მიმდინარე საქმიანობა ქალაქ თბილისში.

კვლევის საგანია – თბილისის პენსიონერი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა, საპენსიო სისტემის და არსებული ვითარების გაუმჯობესების პერსპექტივები.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზას წარმოადგენს – სამეცნიერო წყაროები და სახელმძღვანელოები სოციალური პოლიტიკის მიმართულებით. საკვლევი თემის გარშემო, სადისერტაციო და საპუბლიკაციო მასალების შესწავლა, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების ოფიციალური დოკუმენტები, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრატეგიები, სამეცნიერო წყაროები და ნაშრომები საჯარო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის და სოციალური პოლიტიკის მიმართულებით, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სადისერტაციო ნაშრომი ასევე მოიცავს ჩატარებულ კვლევას, რომლის ძირითად ინსტრუმენტად გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევა „თოვლის გუნდის“ მეთოდით, რა დროსაც შეგროვილი მონაცემები სტატისტიკურადაა დამუშავებული. ამ მეთოდით კვლევისას, გამოიკითხა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 300 პენსიონერი; გამოკითხვისას, შერჩევის ცდომილება არის $\pm 5,7\%$ (95%-იანი სანდოობით). გამოკითხვა მიმდინარეობდა სატელეფონო საშუალებით, ანონიმურად. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ასევე ჩატარდა თვისებრივი კვლევა და მის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციები ასევე იქნა გაანალიზებული.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები, შემუშავდა სპეციალური კითხვარი ელექტრონული გამოკითხვისთვის. მონაცემების სანდოობის მიზნით, კვლევის შედეგები დამუშავდა რაოდენობრივი კვლევის სტატისტიკურ პროგრამაში “SPSS“-ში.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ – ქალაქ თბილისის მაგალითზე პირველად განხორციელდა და გაანალიზდა ქალაქ თბილისის მერიის მიერ გატარებული საქმიანობა თბილისელი პენსიონერების სოციალური მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების საჭიროების თაობაზე.

- ბენეფიციართა საპენსიო უზრუნველყოფის ამოცანები პირველად ჩამოყალიბდა საჯარო მმართველობითი და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების კუთხით;
- დადგინდა, რომ მხოლოდ საპენსიო თანხების გაზრდა ვერ უზრუნველყოფს სერიოზულ გარდატეხას პენსიონერთა სოციალურ მდგომარეობაში.
- განისაზღვრა ამოცანები და ღონისძიებები თბილისის მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტისთვის.
- დადგინდა, რომ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებია გასატარებელი მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით.
- გამოკვლეულ იქნა თბილისის საკრებულოს მიერ ბოლო 4 წლის

განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობა მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაუმჯობესების მიზნით.

- განისაზღვრა თბილისის ბიუჯეტის ჩამოყალიბებისადმი მიდგომის მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების ამოცანები და გზები.
- პირველად იქნა საჯარო მმართველობითი კუთხით შესწავლილი და გაანალიზებული დაგროვებითი პენსიის შემოღებისა და საპენსიო დანაზოგების მართვის პრობლემები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, იმითაა განპირობებული, რომ ჩამოყალიბებული მეცნიერული შეხედულებები, საკანონმდებლო ორგანოებისგან გათვალისწინების შემთხვევაში, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს თბილისის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში; ამასთან, ნაშრომში მოცემული მსჯელობა, ანალიზი და დასკვნები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც სამეცნიერო წყარო, ის ასევე, დაეხმარება ანალოგიური საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს, უმაღლესი განათლების პროფესორ-მასწავლებლებს სწავლების სამივე საფეხურზე, სალექციო კურსების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მომზადების დროს.

დისერტაციის სტრუქტურა. სტრუქტურული თვალსაზრისით სამეცნიერო ნაშრომი შედგება – 141 გვერდისგან, რომელიც შეიცავს შესავალს, 3 თავს, 10 პარაგრაფს და დასკვნას. დისერტაციას აქვს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, გრაფიკების და ცხრილების ნუსხა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, განხილულ და გაანალიზებულ იქნა ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები, დოკუმენტური თუ სამეცნიერო მასალა, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ პოლიტიკის საკითხებთან. წყაროების გაცნობა, ერთ-ერთი საუკეთესო გზაა საკითხზე სრულყოფილი, ამომწურავი და დეტალური ინფორმაციის მიღების, განსჯის და შემდგომ დასკვნების საწარმოებლად. საკითხზე მუშაობისას ერთმანეთთან შედარდა ქვეყნის სოციალური მდგომარეობა და ევროპული გამოცდილება სოციალური მიმართულებით. შესწავლილ იქნა კვლევის ჩატარების პრინციპები და მეთოდოლოგია.

გაწერელია ა., გეგენავა დ., ზომერმანი კ., კობახიძე ი., როგავა ზ., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ყალიჩავა კ., ხუბუა გ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბ.: ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თსუ. 2016 – დროის სწრაფ განვითარებასთან ერთად, სახელმწიფო მმართველობის ფორმები ვითარდება და მუდმივად განიცდის ცვლილებას, ამიტომ მათი ფუნქციონირებაც განახლებად მიდგომებს მოითხოვს. სახელმწიფოს მართვის თანამედროვე მიდგომები წარმოდგენილია ისეთი ინსტიტუტების გარეშე, როგორცაა კოლექტიური მმართველობა, ინოვაცია, მენეჯმენტი, სერვისი, კადრების და დროის ოპტიმალური მართვა. ის მოითხოვს მოქნილობას, სერვისებზე ორიენტაციას, სახელმწიფო ინტერესების და ადამიანთა უფლებების მკაცრად დაცვას. მართვაში გარდა მართვისა, მნიშვნელოვანია შეიქმნას და დაინერგოს ახალი ინოვაციური ხედვები და ეს ყველაფერი, საზოგადოებისთვის მაქსიმალურად უმტკივნეულოდ წარიმართოს. ავტორები აანალიზებენ, როგორც მართვის არსებულ პრაქტიკას ასევე, გვთავაზობენ სამომავლო სრულყოფის შესახებ წინადადებებსაც. სახელმძღვანელო მეთოდოლოგიურად კარგი გზამკვლევი აღმოჩნდა სადისერტაციო თემაზე მუშაობის დროს.

ლოსაბერიძე დ., კანდელაკი კ., აბულაძე მ., კონჯარია ო., ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. ა(ა)იპ შწვანე კავკასია,

2016 – სახელმძღვანელოში, ავტორთა ჯგუფის მიერ, ფუნდამენტურად არის გადმოცემული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში, რომელიც მოიცავს პერიოდს ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების პერიოდიდან – დღემდე. ავტორები გარდა იმისა, რომ გადმოსცემენ ადგილობრივი თვითმმართველობის როლსა და მნიშვნელობას, ასევე წარმოაჩენენ მნიშვნელოვან წვლილს, მუნიციპალური ერთეულის მაცხოვრებელთა კეთილდღეობის საქმეში. სახელმძღვანელომ მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საინფორმაციო დახმარება გაწია სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას.

დიაკონიძე ა., ჯუღლუხაძე თ., სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, თბ.: გამომც. „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“. 2014 – ავტორთა მიზანს, ქართულ სამეცნიერო წყაროთა გამდიდრება და დარგით დაინტერესებულ ადამიანთა დახმარება წარმოადგენს. სახელმძღვანელოში ნათლად არის წარმოდგენილი სოციალური პოლიტიკის დარგის მნიშვნელობა; უცხოურ გამოცდილებასთან ერთად მოყვანილია ქართული სინამდვილე. მიმოხილულია ის ძირითადი განმასხვავებელი მექანიზმები, რაც ახლავს სოციალური პოლიტიკის განხორციელებას და შეიცავს უცხო ქვეყნების პრაქტიკას ამ მიმართულებით.

დოლონაძე შ., სახელმწიფო მართვის თეორიის საკითხები, თბ., გამომც. „ცის ნაში“. 2007 – სახელმწიფოს მართვა და მისი პრაქტიკაში განხორციელება ყველა დროში იწვევდა მეცნიერების, პოლიტიკოსების და საზოგადოების დაინტერესებას, თუმცა ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევებით, ქართული მეცნიერება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო მეცნიერებას. ამ დანაკლისის შესავსებად ავტორმა ნაშრომში სახელმწიფოს მართვისთვის საჭირო უმნიშვნელოვანესი საკითხები დეტალურად გაანალიზა და მიუსადაგა ქართულ რეალობას. იმისათვის, რომ ქვეყნის წინაშე წამოჭრილი საკითხები უმტკივნეულოდ და ქვეყნისთვის სასარგებლოდ იქნას გადაწყვეტილი, უმნიშვნელოვანესია მართვა და მისი თეორიული საფუძვლების ზედმიწევნით კარგად ცოდნა, ხოლო შემდგომ ამ ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება. ნაშრომის მიზანს სწორედ, მართვის პრობლემატიკით

დაინტერესებულ პირთა ცოდნისა და ანალიზის უნარების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

დოლონაძე ს., დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო მმართველობის საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბ., გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“:
2018 – უხსოვარი დროიდან სახელმწიფოს მართვა ერთერთ მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნეოდა. დროის ცვლილებასთან ერთად იქმნებოდა და ყალიბდებოდა სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული მეთოდოლოგიები ამ მიმართულებით, იცვლებოდა მმართველები, იცვლებოდა ხალხთა მდგომარეობები, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ბოლომდე მაინც ვერ იქნა ჩამოყალიბებული, ამოხსნილი და შესწავლილი მმართველობის შესაბამისი ფორმები. ავტორთა კოლეგია იაზრებს სამეცნიერო ნაშრომთა სიმცირეს ამ მიმართულებით, ცდილობს მის შევსებას, რითაც ქართულ რეალობაზე მისადაგებით სიღრმისეულად მიმოიხილავს საჯარო მმართველობის საფუძვლებს, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მართვის პრინციპებზე დაყრდნობით წარმოადგენს, მმართველობის თანამედროვე პრინციპებს, არსებულ პრაქტიკას და ზოგად თეორიულ მიდგომებს. სახელმძღვანელო კარგი გზამკვლევი და დამხმარეა, საჯარო მართვის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები. ელექტრონული მთავრობა, თბ.: გამომც. „ცის ნამი“:
2013 – ნაშრომში აღწერილია საჯარო სამსახურისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, როგორცაა არსებული პრობლემები და გამოწვევები. ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ სახელმწიფო მართვის მენეჯერულ და ორგანიზაციულ პრინციპებზე, ადგილობრივ თვითმმართველობაზე, თანამედროვე მიდგომებით გადაწყვეტილების მიღებასა და შემდგომ მათ, საჯარო მმართველობაში გამოყენებაზე. ასევე, საჯარო მმართველობის სფეროს გაუმჯობესების და ეფექტურობის ამაღლების კუთხით „ელექტრონული მთავრობის“ როლსა და მისი მნიშვნელობის გაზრდაზე და სხვა მრავალ ისეთ საკითხზე, რომელიც დასახული ამოცანების თეორიულად ამოხსნის საფუძველს ქმნის.

ბალათურია გ., ბალათურია ო., დოლონაძე შ., იაშვილი გ., იაშვილი თ., კვლევის მეთოდების საფუძვლები საჯარო მმართველობის ამოცანებში, სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2019 – ნაშრომი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც აუცილებელია კვლევის ჩასატარებლად. სახელმძღვანელოში თანმიმდევრულად და დეტალურად არის აღწერილი კვლევის მეთოდოლოგია, როგორცაა თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მეთოდებით კვლევის წარმოება. ავტორთა მიერ ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი, კვლევის ანგარიშის დასრულებული სახით ჩამოყალიბება და შემდგომ, მისი პრაქტიკაში გამოყენება. ნაშრომმა, სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში დასმული ამოცანების თეორიულ და პრაქტიკულ განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

იაშვილი თ., ბარათაშვილი ე., იაშვილი გ., დოლონაძე შ., მომსახურების სფეროს მენეჯმენტი, თბ.: გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2019 – თანამედროვე სახელმწიფოში მომსახურება (სერვისი), ადამიანთა შრომის მნიშვნელოვანი შედეგია და ის ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად გვევლინება. ავტორთა კოლეგიის მიერ, ნაშრომში დეტალურად და შინაარსობრივად არის გადმოცემული მომსახურების ძირითადი არსი და მნიშვნელობა, მომსახურების მიზანი, მენეჯმენტი მომსახურებაში, მისი სწორად დაგეგმვა და მიწოდება, ინოვაციურობა და მისით მიღებული პროდუქტის სახე. ნაშრომი მნიშვნელოვანი დამხმარეა, როგორც საჯარო მმართველობის სფეროში მოღვაწე ასევე, საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისთვის.

ჰეივუდი ე., პოლიტიკა, თბ.: გამომც. „საქართველოს უნივერსიტეტი“ და „საქართველოს მაცნე“. 2008 – ავტორის განმარტებით, პოლიტიკა და მისი შემადგენელი პოლიტიკური იდეოლოგია ისეთ იდეათა ერთობლიობაა, რომელიც გამართულ პოლიტიკურ საქმიანობას ეფუძნება. პოლიტიკური იდეოლოგიები, როგორც ცოცხალი ორგანიზმები, მუდმივ ცვლილებას განიცდიან, რაც გამოწვეულია სახელმწიფოს საზოგადოებრივი და ეკონომი-

კური მოთხოვნებიდან გამომდინარე. ნაშრომში ხაზგასმულია ის ძირითადი მეთოდოლოგიური საკითხები, რაც პოლიტიკის შესწავლის საფუძველია.

ვანიშვილი მ., გიგუაშვილი გ., სოციალური პოლიტიკა, ლექციების კურსი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, თბ. 2013 – ნაშრომში განხილულია სოციალური პოლიტიკის როგორც საზოგადოებრივი, ისე მისი პრაქტიკული მნიშვნელობა და მიმოხილულია ისეთი კომპლექსური საკითხები, როგორცაა: საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, სოციალური უსაფრთხოება, უმუშევრობა და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, შრომის ბაზრის განვითარება, დასაქმება, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. ავტორთა მიერ ასევე მოყვანილია შედარება, საქართველოს სოციალურ პოლიტიკასა და ევროპის ქვეყნების სოციალურ პოლიტიკას შორის. განხილულია, საქართველოს თანამედროვეობის სოციალური პოლიტიკის მიმართულებები და პრიორიტეტები, რაც სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ნაწილს წარმოადგენს.

ვანიშვილი მ., ჭიკაიძე ნ., ვანიშვილი ნ., სოციალური ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. „საზოგადოება ცოდნა“, 2015 – თანაავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო საგულისხმოა, რამდენადაც მასში მიმოხილულია შრომის ბაზარი, დასაქმება, უმუშევრობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, როგორც ადამიანთა კეთილდღეობის მიმართულებით, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ნაშრომში განხილულია სოციალური დაზღვევის გავლენა მოსახლეობაზე, სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით და ბოლოს, დასაბუთებულია თუ რამდენად მნიშვნელოვანია სწორად და მიზნობრივად წარმართული სოციალური პოლიტიკა საზოგადოების ცხოვრებისა და მომავალი განვითარებისათვის.

ვანიშვილი მ., გეჩბაია ბ., სოციალური სფეროს ეკონომიკა და მართვა, სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. „საზოგადოება ცოდნა“, 2015 – განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ქვეყნის სოციალურ

მდგომარეობაზე ორიენტირებულ ეკონომიკად, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკა მხოლოდ მის განვითარებაზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ მიმართულია ქვეყნის სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებაზე და ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. ამიტომ განვითარებული ქვეყნებისათვის, სოციალური პოლიტიკა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რაც უზრუნველყოფს მათი მოსახლეობის კეთილდღეობასა და ცხოვრების დონის მეტად გაუმჯობესებას. ავტორთა მიზანიც სწორედ ეს არის, რომ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე დაყრდნობით, საბაზრო სფეროს ყველაზე განვითარებული ქვეყნების მაგალითები შეისწავლოს.

ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა, ფორმირება და განვითარება, (ნაწილი I), თბ.: გამომც. „ინოვაცია“ 2008 – ნაშრომი საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოდელს განიხილავს თავისუფალი, კონკურენტული გარემოს, კერძო საკუთრების და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ჭრილში. ამდენად ის ორიენტირებულია ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაზე და მის განვითარებაზე. ავტორთა მოსაზრებით, ეკონომიკის ზრდის პრიორიტეტი სწორედ ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. წიგნში ავტორთა ჯგუფი მიმოიხილავს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, მისი განვითარების ფაზებს თუ განსახორციელებელ ქმედებებს. სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი შენაძენია დარგის სამეცნიერო ლიტერატურისთვის და საკითხით დაინტერესებულ პირთათვის, ვინაიდან ქართულ სამეცნიერო სივრცეში არც თუ ისე ბევრია, მსგავსი კვლევები და ნაშრომები.

დეილი მ., სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში, ანგარიში, საქართ. გამომც. „ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო“. 2007 – ავტორის გადმოცემით, ევროპაში სოციალური ინტეგრაციის ყველაზე დიდ პრობლემას, ადამიანთა სახელმწიფოს შემწეობაზე და მომსახურებაზე დამოკიდებულება წარმოადგენს. სოციალური მოქალაქეობის ახლებური ხედვის დამკვიდრების ეტაპზე, ევროპული საბჭო ისწრაფვის სოციალურად

დაუცველი ადამიანების უფლებების აღდგენის და შეჭირვებულ მოსახლეობათა ცხოვრების დონის გაუმჯობესებისკენ. დემოკრატიული განვითარების პირობებში, უმნიშვნელოვანესია, ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებისა და სოციალური სოლიდარობის ბალანსის დაცვა. ავტორი თავის ანგარიშში, სწორედ აღნიშნულ პოზიციას იზიარებს. ადამიანის უფლებების დაცვის გარეშე წარმოდგენილია, ნებისმიერი ქვეყნის მშენებლობა და მისი სოციალური პოლიტიკის განხორციელება.

CRISTA C., MIHUT A., DOBRIN G., BLAJ S., The Social Policy of the European Union, International Journal of Business and Social Science, 2013 – ავტორთა ჯგუფის მიერ უცხოენოვან სამეცნიერო ნაშრომში მიმოხილულია ევროკავშირის მიზნები და მისწრაფებები სოციალური პოლიტიკის განვითარებაში, სადაც მნიშვნელოვან მიზანს დასაქმება და სამუშაო უნარის მქონე ადამიანთა ხელშეწყობა წარმოადგენს. ავტორთა ჯგუფის მოსაზრებით, მიზნის მისაღწევად ასევე მნიშვნელოვანია სტრუქტურების ჰარმონიზაცია, რაც მომავალი განვითარების საწინდარია.

გორგილაძე ლ., „სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეგიონული პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების ძირითადი მიმართულებები (აჭარის მაგალითზე)“, თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2016 - სადისერტაციო ნაშრომში ავტორი დეტალურად მიმოხილავს საქართველოს სოციალურ პოლიტიკას და ახდენს შედარებას ევროპის სოციალურ პოლიტიკასთან. მისივე განმარტებით, ტექნოლოგიური განვითარება იწვევს ცხოვრების პირობების და მოთხოვნების ზრდას, რადროსაც დღის წესრიგში დგება ქვეყნის სოციალური პოლიტიკის მიმართულებების გადახედვის საკითხი და მისი მისადაგება არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში. ის ხაზს უსვამს ისეთ საკითხებს, როდესაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებს ეძლევათ ფულადი სოციალური დახმარებები. ამ დახმარებას სიკეთესთან ერთად გააჩნია უარყოფითი მხარეც, კერძოდ: ოჯახის შრომისუნარიან წევრზე დახმარებამ ადამიანი გადაიყვანა პასიურ მდგომარეობაში და შეასუსტა მისი სოციალური პასუხისმგებლობა, იშრომოს და იზრუნოს ოჯახის წევრთა სოციალურ

დაცვის უზრუნველსაყოფად. შემწეობაზე მყოფი ოჯახები სტატისტიკურად ეჩვევიან და რჩებიან პასიურ მდგომარეობაში და კარგავენ მოტივაციას საარსებო საშუალებების მოძიებისთვის, რაზედაც სახელმწიფოს მართებს დაფიქრება და გამოსავლის ძებნა. ავტორი ნაშრომში ასევე მიმოიხილავს საპენსიო სისტემის არსებულ მოდელს და ხაზგასმით მიუთითებს საპენსიო რეფორმის საჭიროებაზე. ნაშრომი მნიშვნელოვანი საინფორმაციო დამხმარე აღმოჩნდა საკითხზე მუშაობისას.

უროტაძე ჯ., საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება, თბ.: გამომც. „თსუ-ს გამომცემლობა“, 2018 – უახლეს გამოცემათა შორის, აღნიშნული ნაშრომი, განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომელმაც დასახული ამოცანების გადაწყვეტისთვის, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ვინაიდან ის პირდაპირ თანხვედრაში იყო ნაშრომში განსახილველ საკითხებთან. ავტორი დეტალურად მიმოიხილავს საქართველოში არსებული საპენსიო სისტემას, სადაც ნათლად წარმოაჩენს პენსიის დადებით და უარყოფით მხარეებს და აანალიზებს სამომავლოდ მისაღებ შედეგს, იმ შემთხვევაში, თუ არ გატარდება საპენსიო რეფორმა. სიღრმისეულად და შინაარსობრივად აანალიზებს დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობას, რეფორმის თანმხლებ წინააღმდეგობრივ ბარიერებს, მიმოიხილავს უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებას.

ჰაკერტი რ., მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA), შპს „ვესტა“, 2017 – ნაშრომი მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით 2014 წელს შეიქმნა და წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო მონოგრაფიას. ავტორის მიერ გაანალიზებული და სისტემატიზირებულია ისეთი ინფორმაცია, როგორცაა: მოსახლეობის რაოდენობა, სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ინფორმაციას ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, ცხოვრების პირობებზე,

აქტივობებზე სოფლად და ქალაქად, შიდა მეურნეობებზე. ასევე მოსახლეობის რიცხოვნობის, ქორწინების, შობადობის, მოკვდაობის შესახებ არსებული მდგომარეობა, ურბანიზაცია და მიგრაციის საკითხები. ნაშრომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია ქვეყნის ხელისუფლებისთვის, რათა მისი გათვალისწინებით დაგეგმონ სამომავლო სტრატეგიები და ხედვები.

დებრუნი ბ., ჭითანავა მ., მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გამოც. შპს „ვესტა“, 2017 – ნაშრომში განხილულია საქართველოს მოსახლეობაზე არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს, მოსახლეობის რაოდენობის აღწერას, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობას, ურბანიზაციას და მიგრაციას. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას მოსახლეობის დაბერების და ხანდაზმულთა მდგომარეობის გაანალიზებას უთმობს, სადაც აღნიშნავს, ისე როგორც მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყანა, საქართველოც დაწინაურდა ამ მიმართულებით და მას დაბერებად ერთა კატეგორიას მიაკუთვნებს. ამასთან ავტორის მიზანს, სახელმწიფო ხელისუფლებების ინფორმირება და შესაბამისი ღონისძიებების, სტრატეგიების და მოქმედებების განხორციელება წარმოადგენს. ნაშრომი მნიშვნელოვანი და საკმაოდ ინფორმაციულია იმისათვის, რომ წინასწარ იქნეს გათვალისწინებული და გაანალიზებული ის მოსალოდნელი რისკები და შედეგები, რასთან შეჭიდება ქვეყნის ხელისუფლებას მოუწევს.

გელიტაშვილი ნ., ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელები საქართველოში, თბ.: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 – სადისერტაციო ნაშრომში ავტორი სიღრმისეულად მიმოიხილავს, ევროპის განვითარებული ქვეყნების მიდგომას, სოციალური პოლიტიკის მიმართულებით. მისივე განმარტებით სოციალური პრობლემები, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საფიქრალია ქვეყნის მთავრობებისთვის და ის, დღევანდელი ევროპის ყოველდღიურ განახლებასთან ასოცირდება. სახელმწიფოები, საბიუჯეტო თანხების უმეტეს ნაწილსაც

სწორედ ამ სფეროს განვითარებაში ხარჯავენ, ვინაიდან, ადამიანის კეთილდღეობა, მათთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა, სადაც უზრუნველყოფილია ჯანდაცვა და სოციალური დაცვა, განათლება, დასაქმება, საცხოვრისით უზრუნველყოფა და სხვა ღირებულებები, უმნიშვნელოვანესია. სიღარიბესთან ბრძოლა და მისი მინიმუმამდე დაყვანა უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, მაგრამ მისი დაძლევა ბოლომდე მაინც ვერ ხერხდება, მიუხედავად ეკონომიკური განვითარების არსებობისა. იმ ფონზე, როცა ასე რთულია ეს განვითარებული ქვეყნებისთვის, მითუმეტეს რა იქნება ის საქართველოსთვის, მაშინ, როცა წარსულის მძიმე მემკვიდრეობის მქონეა, როგორცაა: საბჭოთა კავშირის რღვევა, ოკუპანტ მეზობელთან უთანასწორო ბრძოლა, ტერიტორიების დაკარგვა და საქართველოს ასი ათასობით, უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახზე ზრუნვა.

ვინაიდან საქართველო ორიენტირებულია ევროკავშირის წევრობაზე, ავტორი საჭიროდ თვლის ევროკავშირის მდიდარი გამოცდილების სიღრმისეულად შესწავლას და მის მეცნიერულად დამუშავებას, რაც მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დამხმარე და ხელშემწყობი იქნება სოციალური მიმართულებით სამოქმედო სქემების დასახვისას, რომელიც უპირველეს ყოვლისა უნდა დაიწყოს ნაშრომში მითითებული სარეკომენდაციო მითითებების გაანალიზება გაზიარებით. ავტორი, განმარტავს, რომ არ არის მიზანშეწონილი, უცვლელად იქნეს გადმოტანილი განვითარებული ქვეყნების გამოცდილება განვითარებად ქვეყნებში. ის აუცილებლად, ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. რამდენადაც, სადისერტაციო თემის ამოცანას სოციალური პოლიტიკა შეადგენს, სადისერტაციო ნაშრომმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინფორმაციული და თეორიული მიმართულებით. მართალია ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები მნიშვნელოვნად გათვალისწინებული და აღსრულებულია საქართველოს მთავრობის მიერ, მაგრამ ბევრი საკითხი საკანონმდებლო რეგულაციების მიმართულებით ჯერ კიდევ საჭიროებს მეტად დამუშავებას და დღევანდელ გამოწვევებთან მისადაგებას.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

„საქართველო 2020“, საქართველოს მთავრობის №400 დადგენილება. – შემუშავებული სტრატეგიული გეგმით, საქართველოს ხელისუფლება 2014-2020 წლებში განსახორციელებელ სამოქმედო პრიორიტეტებს შორის, უმთავრეს მიზნად, ადამიანს და მის კეთილდღეობას ისახავს. ქვეყანაში განვითარებული და მიღწეული ეკონომიკური დოვლათით, უპირველეს ყოვლისა ქვეყნის მოსახლეობამ უნდა ისარგებლოს, იქნება ეს ინკლუზიური მიმართულება თუ მოსახლეობის ჩართულობა ეკონომიკის განვითარებაში. ქვეყნის მთავარ მიზანს ეკონომიკის მდგრადი განვითარება, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დაცვის, სამართლიანობის უზრუნველყოფა, კერძო ბიზნესის ხელშეწყობას, კონკურენტუნარიანობისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცეების გაფართოება წარმოადგენს. გეგმის შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებასთან ერთად დაცული და უზრუნველყოფილი იქნება სოციალური უსაფრთხოება და დაცვა დასაქმების, განათლების და ჯანდაცვის მიმართულებით. ამასთან, ფინანსური დახმარებების მიმართულებით მნიშვნელოვანია საპენსიო სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხანდაზმულთა დაცვა, მაგრამ ეს, რომ ასე არ იყო, მთავრობამ გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინა მოსალოდნელი დემოგრაფიული მდგომარეობა, რა დროსაც პენსიონერთა რაოდენობა მზარდია და ის 2050 წლისთვის მოსახლეობის მეოთხედს (25%) მიაღწევს და შესაბამისად ფინანსური ხარჯვის ზრდის უპირობო საწინდარია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით გათვალეს, რომ აუცილებელია ქვეყანამ განახორციელოს საპენსიო რეფორმა და გადავიდეს დაგროვებით საპენსიო სისტემაზე, რაც ხელს შეუწყობს სამომავლო რისკებისგან სახელმწიფოს დაცვას და ამავდროულად, დაიცავს არსებულ საპენსიო სისტემას, ინფლაციასთან მიზმის გათვალისწინებით, რაც პენსიის მსყიდველობითუნარიანობას შეინარჩუნებს. სტრატეგია, მნიშვნელოვანი დამხმარეა ნაშრომზე მუშაობისას იმის გათვალისწინებით, რომ წარმოადგენს სახელმწიფოს ხედვებს და დამოკიდებულებას ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

საქართველოს საპენსიო რეფორმა, არსებული სოციალური და საპენსიო

სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ანგარიში, 2016 – საპენსიო პოლიტიკა დღემდე მრავალი ქვეყნის გამოწვევის საგანია, მათ შორის საქართველოში. საპენსიო რეფორმების მიზანი, ღირსეული სიბერის უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ სამომავლოდ, საქართველოს პენსიონერთა სიბერე და ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობაც იქნას დაცული, ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნა საპენსიო რეფორმის სამსახური, რომელსაც დაევალა მოქმედი საპენსიო სისტემის ინდექსაციის მექანიზმისა და კერძო დაგროვებითი პენსიის მოდელის შემუშავება. რეფორმის მიზანს, ინფლაციასთან მიმართებაში პენსიის მსყიდველობითუნარიანობის შენარჩუნება და საპენსიო სისტემის სტაბილურობა წარმოადგენდა. ხოლო საპენსიო რეფორმის აუცილებლობის ძირითად მიზეზად, დემოგრაფიული მდგომარეობაა მიჩნეული. შემუშავებული ანგარიშის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოსალოდნელია ქვეყნის სამუშაო ძალის მკვეთრი შემცირება, რის მიზეზსაც, მიგრაციული პროცესები და შობადობის შემცირება წარმოადგენს, რა დროსაც ხანდაზმულთა რაოდენობა და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც მკვეთრად მზარდია, მნიშვნელოვანია კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის საფინანსო სექტორი სამომავლოდ ვეღარ უპასუხებს იმ გამოწვევებსა და მოთხოვნებს, რის წინაშეც აღმოჩნდება. არსებული საპენსიო სისტემა ვერ პასუხობს პენსიის არსებობის იდეას. მის ძირითად ფუნქციას პენსიონერთა სიღარიბისგან დაცვა წარმოადგენს. სამუშაო ძალის მქონე პირთ, საპენსიო ასაკში რომ ჰქონდეთ შესაბამისი შემოსავალი, მნიშვნელოვანია დანაზოგების სისტემის შექმნა, რაც გამოიხატება კერძო დაგროვებითი პენსიის სისტემის ჩამოყალიბებაში. გეგმის ფარგლებში, როგორც საპენსიო სისტემის განვითარების ეტაპები, ასევე კერძო დაგროვებითი სისტემის დანერგვის საჭიროება სრულად მიმოხილული და დასაბუთებულია. ანგარიში წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს, საპენსიო სისტემების ანალიზის საწარმოებლად, რაც ამავედროულად სადისერტაციო თემის

დასახული ამოცანის გადაწყვეტის მექანიზმია.

Fedorenko L., "Local Self-Government Reform in the Independent Ukraine: Concepts, Priorities, Prospects" 2016 UKRAINIAN J. Const. L. 47 (2016) - სტატიაში ავტორი საუბრობს საბჭოთა კავშირის დაშლის (1991-2016) შემდგომ უკრაინის ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციაზე და განხორციელებულ რეფორმებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირება უკრაინაში კონსტიტუციური ცვლილებებით დაიწყო და დღემდე წარმატებით მომდინარეობს. წარმატება კი, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების ერთიანობამ განაპირობა.

Shumylo M., "The Pension System of Ukraine: On Its Way to a Fundamental Reform", 26 JURIDICA INT'L 103 (2017) - სტატიაში ავტორი მიმოიხილავს უკრაინის საპენსიო სისტემას, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომი პერიოდიდან - დღემდე. უკრაინა 25 წლის განმავლობაში ისევ ძველი საპენსიო სისტემის გამტარებლად რჩებოდა და მხოლოდ ამის შემდგომ დაადგა რეფორმირების გზას. მისი მცდელობა დაუახლოვდეს ევროპულ ოჯახს, უზრუნველყოს ღირსეული პენსია საკუთარი დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობებით არის წინ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ არა შედეგი. პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი მართალია 30% მაგრამ, ეს არ არის საკმარისი პენსიონერებისთვის სრულად ღირსეული სიბერის უზრუნველსაყოფად. ავტორის განმარტებით არც 2017 წლამდე განხორციელებული ოთხი რეფორმა და არც 2017 წელს შემოღებული ახალი რეფორმა არ გამოდგა საკმარისი მიზნის სრულად მისაღწევად, მაგრამ პროცესის უწყვეტი მიმდინარეობა და ქვეყნის ძალისხმევა, უკეთესი საპენსიო სისტემის შესაქმნელად, კარგი ნაბიჯია მომავალი განვითარებისთვის და შედეგის მისაღწევად.

Babakaev Sergei V., Kaurova Olga V., KulYamina Olga S., Maloletko Aleksandr N. & Vinogradova Marina V., "The Social Aspects OF Pension System Modernization in Modern Russia", 8 J. ADVANCED Res. L. & ECON. 352 (2017) – სტატიაში მიმოიხილულია ავტორთა ჯგუფის მიერ, რუსეთის დასაქმებულ

მოსახლეობაში ჩატარებული კვლევა, საპენსიო სისტემის გარშემო იმის გასარკვევად თუ, რა სურს რუსეთის მოსახლეობას, საპენსიო სისტემის მოდერნიზაცია თუ რეფორმა. მათივე განმარტებით კვლევის პროცესში, არსებული ლიტერატურის მიმოხილვის ანალიზმა აჩვენა, რომ საპენსიო სისტემის განვითარება, მისი რეფორმა და მოდერნიზაცია, სხვადასხვა სამეცნიერო პროფილის სპეციალისტების მუდმივი მეცნიერული ინტერესის ყურადღების ცენტრშია. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დღეისათვის, დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის (45%-მდე) მკაფიო მოთხოვნაა შემდგომში, კორპორაციული საპენსიო სისტემის განვითარება ანუ დაგროვებით საპენსიო სისტემის შექმნა და ჩამოყალიბება, რაც მათი სიბერის დაზღვევის გარანტი იქნება და იქვე იმედოვნებენ, რომ სისტემაში ჩართვის მსურველთა რაოდენობაც მნიშვნელოვანი იქნება.

თავი 1. სოციალური პოლიტიკა – სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედი

1.1. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტები

სახელმწიფო მმართველობის მთავარი განმსაზღვრელი მისი პოლიტიკური იდეოლოგიაა. სწორად ჩამოყალიბებული და წარმართული პოლიტიკა სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა.

გერმანიის რაიხსტაგში, პოლიტიკა წარმოადგენდა სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას, კონფლიქტური გადაწყვეტილებების მიღებისა და გატარების გზით, საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხდენას და მასზე, კონტროლის განხორციელებას. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს არის პოლიტიკის კლასიკური განმარტება, რომელიც სიტყვა „პოლიტიკამ“, ანტიკურ საბერძნეთში შეიძინა. [1, 16].

მსოფლიოში სოციალური პოლიტიკა დღითიდღე აქტუალურია და სახელმწიფოთა მთავრობების პოლიტიკურ დღის წესრიგში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. სახელმწიფოთა ბიუჯეტების უმეტესი ნაწილი, ძირითადად, მიმართულია სოციალური პოლიტიკის განხორციელებისკენ. სოციალური პოლიტიკა „ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვას, მუშაობისა და ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნას, ასევე, სხვადასხვა რეგიონებს შორის სოციალური სოლიდარობის დანერგვას გულისხმობს, რაც ნიშნავს მდიდარი ქვეყნების მხრიდან, შედარებით უფრო ღარიბი წევრი ქვეყნებისთვის დახმარების გაწევას, რომლის საბოლოო მიზანი სიღარიბის დაძლევაა“ [2, 4].

სიღარიბის დაძლევის გზაზე განხორციელებული ქმედებები და მიღწეული შედეგები, სხვადასხვა სახელმწიფოთა მაგალითზე შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს, სიღარიბის განსაზღვრებიდან გამომდინარე. მიუხედავად ერთიანი მიდგომის არარსებობისა, სახელმწიფოთა უმთავრესი ამოცანა მაინც შესაბამისი პრევენცია, გამოსავლის ძებნა და უკეთესი შედეგის მიღება უნდა იყოს [3].

სოციალური პოლიტიკის ძირითად მიზანს სახელმწიფოში, სოცია-

ლური თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებზე ორიენტირებული, სამართლიანი, ეკონომიკური და სოციალური სისტემის შექმნა წარმოადგენს. ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვა, რესურსების სამართლიანი გადანაწილების პრინციპების დაცვა სოციალური პოლიტიკის ქვაკუთხედაა. ზოგადი ფორმულა, სოციალური პოლიტიკის ასახსნელად არ არსებობს, ის არის მიზნებისა და ინდიკატორების სისტემა, მოსახლეობის ყველა სეგმენტის დაბალანსებული მიღწევებისთვის, რომელიც განსახიერებულია პროგრამებში და მათი აღსრულება სახელმწიფოს, საზოგადოებრივი გაერთიანებების, სპეციალური ფონდების ერთობლივი ძალისხმევით ხდება. სოციალურმა პოლიტიკამ, როგორც მიზანმიმართულმა საქმიანობამ, დაიწყო მოქალაქეთა სოციალური მოთხოვნის დაკმაყოფილება. მისი შინაარსი, მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა, საზოგადოების პროგრესული განვითარება და სოციალური დაცვის ეფექტური სისტემის შექმნაა.

სახელმწიფოთა მიდგომების შესაბამისად არსებობს სოციალური პოლიტიკის ორი ძირითადი მოდელი: – ბისმარკის და ბევერიჯის. I მოდელი უზრუნველყოფს ჩამოაყალიბოს ძლიერი ურთიერთობა სოციალური დაცვის დონესა და პროფესიული საქმიანობის ხანგრძლივობას შორის. სოციალური უფლებები განისაზღვრება იმ შენატანებით, რომელიც გადაიხდება მთელი აქტიური ცხოვრების განმავლობაში (გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი). ბევერიჯის მოდელის მიდგომა სოციალური უფლებებისადმი განსხვავებულია; ის თვლის, რომ ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად ეკონომიკური მდგომარეობისა, აქვს მინიმალური დაცვის უფლება ავადმყოფობის, სიბერის, შემოსავლების შემცირების, თუ სხვა გარემოებების დროს. ქვეყნებს, რომელთაც ეს მოდელი აირჩიეს, აქვთ ავადმყოფობის დაზღვევის ავტომატური ჩარიცხვის სისტემა, ხოლო საპენსიო სისტემები, ყველა პენსიონერისთვის, მინიმალურ შემოსავალს უზრუნველყოფს, მიუხედავად მათი მიერ ცხოვრების მანძილზე განხორციელებული შენატანებისა. სოციალური დაცვის მსგავსი ღონისძიებები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. მოდელის განხორციელება სრულად ემყარება სოლიდარობის პრინციპს,

რომელიც დაფუძნებულია განაწილების სამართლიანობის პრინციპზე. აღნიშნული მოდელი წარმატებით ადაპტირდა შვედეთში.

სოციალური პოლიტიკის მთავარი განმახორციელებელი სახელმწიფოა, რომელიც წარმოდგენილია ინსტიტუციებითა და დაწესებულებებით (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) მ.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოციალური პოლიტიკის სხვა სუბიექტები (არასაბიუჯეტო ფონდები, პროფესიული კავშირები, არაკომერციული ორგანიზაციები, საქველმოქმედო ფონდები, გაერთიანებები, მოძრაობები), როგორც დამხმარე სუბიექტები, დასახული მიზნების მისაღწევად, დადგენილ სამართლებრივ ჩარჩოში მოქმედებენ. სოციალური პოლიტიკა, შესაძლოა გაიმიჯნოს სახელმწიფოს, რეგიონულ, კორპორაციულ, მუნიციპალური განხორციელების კუთვნილების შესაბამისად. მის ძირითად ფუნქციებს შორის არის სოციალური უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების მდგომარეობად, რომელშიც ადამიანის სოციალური ინტერესები დაცულია შიდა და გარე საფრთხეებისაგან. ეს ფუნქცია სრულდება სოციალური განვითარების ყოვლისმომცველი პროგრამის შემუშავების, ასევე სახელმწიფოს სოციალური განვითარების პრიორიტეტული სფეროების გამოყოფის გზით.

სოციალური პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია მოსახლეობის სოციალური დაცვაა, რომლის მიზანი შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების საჭიროების და სიღარიბის პირობებში სოციალური რისკების შემცირებაა, რომელიც თავის მხრივ, სოციალური დამაბულობის შემცირებას უზრუნველყოფს.

სოციალური პოლიტიკის გაანალიზებისას აღსანიშნავია **ეკონომიკური და ფინანსური რესურსების პროპორციულობის პრინციპი**, რაც გულისხმობს განხორციელებული თუ განსახორციელებელი სოციალური პროექტების უზრუნველყოფას საბიუჯეტო და სხვა ფინანსური, ეკონომიკური რესურსებით.

სოციალური სამართლიანობის პრინციპი, რომელიც მშვიდობასა და

თავისუფლებასთან ერთად საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებაა, ფუნდამენტურად, საერთაშორისო ნორმატიული სამართლებრივი აქტებითაა განმტკიცებული და ადამიანის სოციალურ უფლებებს ეხება. ჩვეულებრივ, შესაძლოა ვახსენოთ სამართლიანობის ორი სახე: გათანაბრება და განაწილება. თანაბარი სამართლიანობა ადამიანებს ერთსა და იმავე შესაძლებლობებს აძლევს, განურჩევლად მათი ინდივიდუალური და სოციალური განსხვავებებისა. სადისკრიმინაციო სამართლიანობა გაგებულია, როგორც ჯილდო პირადი შრომის წარმატების შედეგად, რაც ადამიანებს უბიძგებს უფრო მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ. უმეტეს ქვეყნებში სოციალური პრაქტიკა გვიჩვენებს რყევებს, მართლმსაჯულების ერთი სახეობიდან მეორეზე. იდეალურ შემთხვევაში კი, შესაძლოა სოციალური პოლიტიკა განხილულ იქნეს, როგორც სამართლიანობის ორივე სახეობის გონივრული განსახიერება.

სოციალური სოლიდარობის პრინციპი, რომელიც მოიცავს მაღალშემოსავლიანი პირებიდან რესურსების გადანაწილების მექანიზმის გამოყენებას დაბალშემოსავლიან პირებზე, გადასახადებისა და შეღავათების სისტემების მეშვეობით, პენსიებით, განათლების ხელშეწყობით, ჯანდაცვით, კულტურით.

სოციალური კომპენსაციის პრინციპი იგივე, მოქალაქეთა სოციალურ სტატუსთან დაკავშირებული შეზღუდვების შევსება, ცხოვრების ხელმისაწვდომი სფეროს შექმნით, გარკვეული სარგებლის (კომპენსაციები, სუბსიდიები, გადახდები და სხვა) და სოციალური მომსახურების გაწევით.

სოციალური გარანტიების პრინციპი, რომელიც ემსახურება განათლების, ჯანდაცვის და კულტურის სფეროებში სოციალური მომსახურების გარანტირებული მინიმუმით უზრუნველყოფას.

სუბსიდიარობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო, მუნიციპალური და არასახელმწიფო სტრუქტურების რესურსების შევსებას სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას, რაც მატერიალური რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებას და წარმოქმნილ პრობლემებზე მეტად რეაგირების საშუალებას იძლევა.

სოციალური პოლიტიკა მოიაზრებს შემდეგ სფეროებს: ადამიანის შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, გარანტირებული მინიმალური ხელფასის დაწესება, ოჯახებისთვის სახელმწიფო დახმარებების გაწევა, შეზღუდული შესაძლებლობების და ხანდაზმულ მოქალაქეთა განვითარება და ხელშეწყობა, სოციალური მომსახურების სისტემა, სახელმწიფო პენსიების, შეღავათების დაწესება და სხვა სოციალური გარანტიები, სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა, გარემოს გაუმჯობესება და ა.შ. აღნიშნული მოდელებისა და პრინციპების უზრუნველყოფა სოციალური პოლიტიკის დემოკრატიულად წარმართვის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს [4].

სოციალური პოლიტიკის დემოკრატიის ამოსავალი წერტილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმცირესობებისა და ცალკეული ინდივიდების უფლებებია. ვინაიდან ყველა მოქალაქეს გააჩნია თანაბარი სოციალური უფლება, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კეთილდღეობის ხელმისაწვდომობა. სოციალური უფლებების დაცვა თავისთავად ნიშნავს ადამიანის თავისუფლებას და თანასწორობის შესაძლებლობას. ამ უფლებების დაცვა-რეალიზების პროცესში, სოციალური სერვისები და დახმარებები, ქველმოქმედებად კი არ უნდა აღიქმებოდეს, არამედ, მოქალაქეთა სოციალური უფლებების სამართლებრივ დაკმაყოფილებად.

სოციალური პრობლემების ანალიზისას ადამიანები ერთგვაროვან პრობლემებს აწყდებიან, როგორცაა: უმუშევრობა, ჯანმრთელობის პრობლემები, შეზღუდული შესაძლებლობები, სიდარბე. აღნიშნული პრობლემის ეფექტური გადაჭრის გზა სახელმწიფოს ხელშია, ვინაიდან ყველაზე დიდი დამფინანსებელია. მისი არსებობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური მიმართულებით განხორციელებული ყველა გადაწყვეტილება და ქმედება, მიმართოს მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფისკენ.

ტერმინი „სოციალური პოლიტიკა“ ასევე ნიშნავს საჯარო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის გარანტიების შექმნას. აკადემიური თვალსაზრისით, ის

ნიშნავს მრავალდისციპლინურ სფეროს, რომელიც იყენებს ეკონომიკის, პოლიტიკური მეცნიერებების, სოციოლოგიის, სოციალური დახმარების, ფსიქოლოგიის, მენეჯმენტის, ფილოსოფიისა და სამართლის მოსაზრებებსა და მეთოდებს. ამრიგად, სოციალური პოლიტიკის შესწავლა მნიშვნელოვანია სამი მთავარი მიმართულებით:

I. ადმინისტრაციულ ინსტრუქციებისა და სოციალური მომსახურების მიმართულებით – რაც მოიცავს სამედიცინო მომსახურებას, სოციალური უსაფრთხოების დაზღვევას, განათლებას, დასაქმებას, პროფესიულ ტრენინგებით მოსახლეობის მომსახურებას და საცხოვრებლით უზრუნველყოფას;

II. სოციალურ პრობლემები, რაც დაკავშირებულია კრიმინალთან, უმუშევრობასთან, ჯანმრთელობასთან თუ მოხუცებულობასთან.

III. დისკრიმინაცია და არახელსაყრელი პირობები – რაც შესაძლოა დამოკიდებული იყოს რასაზე, ეთნიკურ ჯგუფზე, სიღარიბესა და ეკონომიკურ უთანასწორობაზე.

ეფექტური სოციალური დაცვის სისტემების არსებობა არამხოლოდ მორალური და პოლიტიკური მოთხოვნაა, არამედ ეკონომიკურიც. საზოგადოების დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, ორგანული ფენომენია ისეთი საზოგადოებებისთვის, რომლებიც კერძო საკუთრებაზეა დაფუძნებული.

სოციალური დაცვა განვითარებულია რამდენიმე ასპექტით:

- სოციალური ფაქტორი მოიცავს იმას, რომ საზოგადოება თავს ამყდვენებს მათი საერთო პრობლემების მეშვეობით;

- ეკონომიკური და სოციალური ფაქტორი თავს ამყდვენებს სამუშაო ადგილის, სამუშაო პირობებისა და დროის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ფორმით.

- სოციალური დაცვის დანერგვის საშუალებები დაფუძნებულია პროგრამებზე, რომელთა მიზნები, ვადები, გამოსავლები და პრაქტიკული შედეგები ეხება სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას. ამრიგად, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების ერთობლიობას, რომლის იდეა მატერიალურია მის მიზნებში, გამოყენების დიაპაზონში, ზუსტ გაზომვადობასა და

ეფექტიან გადაწყვეტილებებში, ხოლო წარმატება დაფუძნებულია თითოეული ინდივიდის კეთილდღეობაზე.

სოციალური პოლიტიკის სტრუქტურა დაფუძნებულია რამდენიმე მიზანზე, როგორცაა:

- სოციალური დაცვის სისტემის შექმნა და დანერგვა, რომელიც მოიცავს დაზღვევასთან, პენსიებთან, უმუშევრობის დახმარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ფართო სპექტრს;
- მინიმალური გარანტირებული ხელფასის დამკვიდრება;
- პირდაპირი ჩარევა შემოსავლის განაწილებისა და გადაცემის პოლიტიკაში;
- მუშაობის უფლებისა და გაერთიანებების როლის მინიჭება სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში;
- სამუშაო დღის ხანგრძლივობა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხის განსაზღვრა;
- თავისუფალ დროსთან და კულტურულ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები.

სოციალური პოლიტიკა იყენებს კეთილდღეობის ეკონომიკას, რათა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებით, შეაფასოს სოციალური პროგრამების იდეა.

სოციალური პოლიტიკის შეფასებისთვის, ყველაზე ხელსაყრელი შესაძლოა იყოს მისი შემადგენელი კომპონენტების და იმ დაწესებულებების აღწერა, რომლებიც ემსახურება და წარმოადგენს სოციალური მომსახურების სისტემას. მნიშვნელოვანი ასპექტი მისი განხორციელების გამოკვლევაა. ნებისმიერი პოლიტიკის ამჟამინდელი გავლენა ხალხზე დამოკიდებულია ამ კონკრეტული პოლიტიკის გატარებისა და გამოყენების სტილზე. [5] საზოგადოებრივი ინტერესებიდან თუ გამოვყოფთ არსებულ ძირითად მოთხოვნებს, მივიღებთ პრობლემათა ერთობლიობას, განსხვავებულს თავიანთი საჭიროებების მიხედვით. სოციალურ ჯგუფთა ურთიერთქმედება, პრაქტიკული თვალსაზრისით, მოსახლეობის უზრუნველყოფაზე გათვლილი ღონისძიებების ერთობლიობაა, რომლის ეპიცენტრში იმყოფება

ადამიანი, – მისი კეთილდღეობა და სოციალური უსაფრთხოება.

სოციალური პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე ატარებს ნორმატიულ ხასიათს, ხოლო რეალური სოციალური პოლიტიკა ხორციელდება კონკრეტულ ადამიანთან პირისპირ, მუნიციპალურ და კორპორაციულ დონეზე. მას საფუძვლად ისეთ სისტემათა ერთობლიობა უდევს, როგორიცაა: განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, უსაფრთხოება, საყოფაცხოვრებო-კომუნალურ ხარჯები, შრომის ბაზარი, დასაქმება, უმუშევრობა, შრომის ღირსეული ანაზღაურება, სოციალური დაცვა, საპენსიო სისტემა და ა.შ. მისი რეალიზაციის ერთ-ერთი განმაპირობებელი ქვეყნის ეკონომიკაა. ხშირად სოციალური სფეროს არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, უმუშევრობისა და სიღარიბის ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური პრობლემებით და ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვა/პროგნოზირებით. სწორი გათვლების შემთხვევაში, სოციალურ პოლიტიკას და სოციალურ შრომით სფეროს ეკონომიკისთვის მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ისევე, როგორც ადამიანთა ცხოვრების დონის გაზრდის და ამაღლების კუთხით.

საბაზრო ეკონომიკა, რომლის ძირითადი არსი წარმოების ეფექტიანობა და მოგების გაზრდაა, თავისთავად, წყვეტს ისეთ სოციალურ საკითხსაც, როგორიცაა: დასაქმების უზრუნველყოფა, შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება და ა.შ.

სოციალური ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკის ნაწილია, რომელიც სოციალური განვითარების მიმართულებით გამოირჩევა. ის არამარტო სრულ და სამართლებრივ განაწილებას მოიაზრებს, არამედ ეკონომიკის აღმავლობას, შემოსავლების ზრდის ტემპის განვითარებას და მუდმივად მზარდი მოთხოვნილებებისა და გამოწვევების დაკმაყოფილებას, რამაც შედეგად ადამიანების ეკონომიკური კეთილდღეობა და სოციალური სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს. [6, 23-26]

თანამედროვე მსოფლიოში, სოციალური პრობლემატიკის მიმართულებით, მეტი ყურადღება მახვილდება. ზოგიერთმა ქვეყანამ სოციალური პასუხისმგებლობა კონსტიტუციურ რანგშიც აიყვანა და სოციალური სახელმწიფოს სტატუსით განსაზღვრა.

1995 წელს, კოპენჰაგენში, გაეროს ეგიდით ჩატარებულმა მსოფლიო ფორუმმა დეტალურად იმსჯელა მსოფლიოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგიაზე. დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამართლიანი სოციალური განვითარება, ეკონომიკის მომავალი განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია. ასევე, ფორუმის განსაკუთრებული მონაპოვარია ის ჩანაწერიც, რომ ყველა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარ ორიენტირს ადამიანი და მისი ინტერესები უნდა წარმოადგენდეს. ამავდროულად, ხაზგასასმელია სოციალური განვითარების მნიშვნელობა, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის და პარტნიორობის საერთაშორისო დონეზე მთავარ სამოქმედო მიმართულებად უნდა აღიარონ სახელმწიფოებმა და შეიმუშაონ, ახალი და ეფექტური მექანიზმები.

თანამედროვეობის სოციალური საკითხების ყველაზე მწვავე პრობლემას სიღარიბის დაძლევა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, გაეროს პატრონაჟითა და სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ, შექმნილია სიღარიბის დაძლევის სპეციალური პროექტები (მაგ. საგარეო ვალის ჩამოწერა, გადახდის გადავადება, სხვადასხვა სახის დახმარებათა სახეობები). [6, 22]

საქართველომ სოციალური სახელმწიფოს სტატუსი 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში შეტანილი ჩანაწერით აღიარა: საქართველოს მოქალაქეთა მტკიცე ნებას დემოკრატიული წყობილების დამყარება, ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება წარმოადგენს. [7] ამ კონსტიტუციური ჩანაწერით სახელმწიფოსგან აღიარებულია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, მოსახლეობის სოციალური უფლებების დაცვის მიმართულებით.

სოციალურ სახელმწიფოთა ძირითად სამოქმედო მიმართულებებს სოციალური მეურნეობის განვითარება, მოსახლეობის ჩართულობა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მართვაში, დასაქმებულისა და დამსაქმებლის სასარგებლო საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენს.

სოციალური სფეროს (განათლების, ჯანდაცვის, მეცნიერების, კულ-

ტურის) წარმატებით განხორციელებისათვის, სახელმწიფოს იმ პირთა უფლებების დაცვა, თვითრეალიზაციის თანაბარი შესაძლებლობა, შემოსავლების სამართლიანი განაწილებისა და სოციალური სოლიდარობის პოლიტიკის სწორად და სამართლიანად განხორციელება მართებს. ეს მოთხოვნები საზოგადოების განვითარების შესაბამისად ცვალებადია.

სოციალური ეკონომიკა დღევანდელი ყოფის მძიმე სოციალური მდგომარეობის წარმოშობის გზებსა და მისი დაძლევის საკითხებს შეისწავლის. ის არის დარგთა გაერთიანება, რომელიც მიმართულია შექმნას მოსახლეობის ეკონომიკური დოვლათი და უზრუნველყოს შესაბამისი მომსახურების გაწევა. [8, 5-26] ეკონომიკის განვითარების მიმდინარეობის მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის სოციალური განვითარების პერსპექტივებიც, რაც ასევე მიჩნეულია სოციალური პოლიტიკის მთავარ ამოცანად.

ეკონომიკური ურთიერთობები უზრუნველყოფენ საზოგადოებაში სოციალურ სტაბილურობას, რომლის მართვის ცენტრში ადამიანია, – თავისი ინტერესებითა და მოთხოვნილებებით. ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ხელფასი და დასაქმება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის შემოსავლების გაზრდაზე. მხოლოდ ამ მიდგომით არის შესაძლებელი მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. [9, 243-244]

სოციალური მიმართულების პოლიტიკის შემუშავება გულისხმობს გარკვეული ფუძემდებლური პრინციპების შემუშავებას, რომელიც მნიშვნელოვანია ძირითადი მიზნის, ადამიანის კეთილდღეობის მისაღწევად. ეკონომიკური საკითხების განხილვისას სასურველია ყურადღება გამახვილდეს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებზე, როგორცაა, მაგალითად:

ეფექტიანობა – რაც გულისხმობს რესურსების სამართლიან განაწილებას და მაქსიმალური შედეგის მიღებას, რა დროსაც უნდა გაანალიზდეს ქვეყნის მ.შ.პ-ის რა ნაწილი უნდა იყოს ადამიანის კეთილდღეობაზე მიმართული, როგორ უნდა განაწილდეს ეს არსებული რესურსები ფულად გასაცემებსა და მომსახურებას შორის. ამ განაწილებაში ისიც უნდა იქნეს

განაალიზებული, რომ რესურსების განაწილებამ არ შეაფერხოს დასაქმების ხელშემწყობი გარემოებები.

ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რომლის ამოსავალი წერტილი სიღარიბის დაძლევა და მოქალაქეთა ცხოვრების დონის გათანაბრებაა.

უთანასწორობის შემცირება, განსხვავებული ასაკობრივი და სოციალური კლასების მიხედვით.

სოციალური ინკლუზია, ადამიანის ღირსებასა და სოლიდარობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად იმ დროს, როცა ხდება სოციალური ბენეფიტების განსაზღვრა და მიწოდება.

დაბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანი და არანაკლებ მთავარი, თუ როგორ ხდება იმ სოციალური სერვისების ადმინისტრირება, რასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს კეთილდღეობის პროგრამების საშუალებით. სისტემა უნდა იყოს მარტივი, მოქნილი და მიზნობრიობაზე ორიენტირებული, რადგან ადგილი არ ქონდეს რესურსების არამიზნობრივ ხარჯვას და განაწილებას.

სოციალური პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს რესურსის განაწილების რედისტრიბუცია, რადროსაც განსხვავებენ მის ორ სახეს: ვერტიკალურს და ჰორიზონტალურს.

ვერტიკალური რედისტრიბუციისას, რესურსები მაღალშემოსავლიანი ჯგუფებიდან ნაწილდება დაბალშემოსავლიანებზე. მის ხარისხს განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახადო სისტემის პროგრესულობა და სოციალური პროგრამების წილის სიდიდე, რომელიც დაბალ შემოსავლიან მოსახლეობაზე ნაწილდება.

ჰორიზონტალური რედისტრიბუციისას, რესურსები ნაწილდება თანაბარ შემოსავლიან ოჯახებზე, რომელთაც სხვადასხვა საჭიროებები გააჩნიათ. რედისტრიბუცია ნიშნავს ადამიანის შემოსავლების მთელი ცხოვრების მანძილზე განაწილებას. მაგ. ცხოვრების მანძილზე გადახდილი თანხები (დანაზოგები) საპენსიო ასაკისთვის. რედისტრიბუციის ამ სახის ძირითადი მექანიზმი სოციალური დაზღვევაა. [10, 5-26].

საზოგადოებაში გამოიყენება ტერმინი „ძლიერი სოციალური პოლი-

ტიკა“, რა დროსაც, სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად უზრუნველყოფს სოციალური პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზაციას. სხვაგვარად, მას მიზნის მიღწევის პოლიტიკასაც უწოდებენ, ვინაიდან მისი მიზანია ისეთი სოციალური ღონისძიებების გატარება, რაც ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. [11]

სოციალური პოლიტიკის სათანადოდ აღსრულება და მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდა შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გარეშე. ეკონომიკა არის საწარმოო პროცესში წარმოშობილი ურთიერთობა, მიმართული შემოსავლების მიღებაზე. მიღებული შემოსავლებით, ქვეყნის წინაშე მდგომი სოციალური საკითხები იმართება, რომლის ცენტრში ადამიანია, თავისი მოთხოვნილებებითა და ინტერესებით, საზოგადოებაში ჩართულობით, ეკონომიკური დოვლათის, მიღების, განაწილებისა და მოხმარების მიმართულებით. [10]

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, პირველ რიგში, ორიენტირებული უნდა იყოს დარგის, სწრაფ და ეფექტურ ზრდაზე, რომელიც ეკონომიკური მიმართულებით ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრის საწინდარია. ვინაიდან დასაქმებიდან მიღებულ შემოსავალზე დამოკიდებულია ცალკეული ოჯახის კეთილდღეობა. შეძლებული ოჯახები, საზოგადოების სოციალურ ფენას წარმოქმნიან, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში უფრო მეტი წვლილის შეტანა შეუძლიათ. [12, 4]

ამრიგად, ეკონომიკის განვითარების გარეშე, შეუძლებელია, ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და ინტერესების სრულად დაკმაყოფილება და უზრუნველყოფა.

1.2. სოციალური პოლიტიკის ევროპული გამოცდილება

ევროპული ინტეგრაციის შექმნის და ჩამოყალიბების იდეა, პირველად 1946 წლის 19 სექტემბერს, ციურიხში (შვეიცარია) გამართულ შეხვედრაზე წარმოიშვა და ის ინგლისის იმდროინდელ პრემიერ-მინისტრ, უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნოდა, რომელიც ევროპის შეერთებული ქვეყნების იდეას

ასაბუთებდა. იმ დროს ამ მოსაზრებამ, მსმენელთა დაინტერესება ვერ გამოიწვია და ჩაიშალა.

1951 წელს, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება ECSC შეიქმნა, რომლის ინიციატივა ფრანგ პოლიტიკოს, ჟან მონეს ეკუთვნოდა. გაერთიანებაში ევროპის ექვსი ქვეყანა – დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, ბელგია, იტალია, საფრანგეთი და ნიდერლანდები გაწევრიანდა. მალევე გადაწყდა, დამოუკიდებელი ორგანოს ე.წ. „უმაღლესი ხელისუფლება“ (High Authority) შექმნა, რომელიც წარმოების პროცესს და მის რეალიზაციას უზრუნველყოფდა. ლიდერები ისევ განაგრძობდნენ ინტეგრაციაზე ფიქრს, რა დროსაც მომზადდა რომის ხელშეკრულება, რომელიც შემდგომ „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ საფუძველი გახდა. რომის ხელშეკრულება ითვალისწინებდა საერთო სავაჭრო სივრცის შექმნას, რასაც შედეგად „ევროატომის“ ჩამოყალიბებაც მოჰყვა. საბოლოოდ, 1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით გადაწყდა რომ სამი ორგანიზაციის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებულიყო „ევროპული გაერთიანებები“, რომლებიც 1992 წელს მასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად, „ევროკავშირად“ ჩამოყალიბდა. ევროკავშირის შემადგენლობაში დღეს უკვე 28 სახელმწიფოა, რომელიც თავისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქის კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობისთვის იბრძვის. [13]

ევროკავშირის შექმნით ჩამოყალიბდა ფუნდამენტური სოციალური მიზნები, ადამიანთა სოციალური უფლებების დაცვის და მისი უზრუნველყოფის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამოქმედო პრიორიტეტებად კი: დასაქმების ხელშეწყობა, გაუმჯობესებული საცხოვრებელი და სამუშაო პირობები, სათანადო სოციალური დაცვა, დიალოგი მენეჯმენტსა და შრომას შორის, ადამიანური რესურსების განვითარება, გარიყულობის წინააღმდეგ ბრძოლა განისაზღვრა.

ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია მოიცავს თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის შესახებ თავებს, სამართლიანი სამუშაო პირობების უფლების გამოხატვის, სოციალურ უზრუნველყოფისა და სოციალურ დახმარების, ქალსა და მამაკაცს შორის თანასწო-

რობის, პროფკავშირების ჩამოყალიბების უფლებებს, როგორც კოლექტიური მოლაპარაკებები და გაფიცვა. ევროკავშირის შექმნამ საფუძველი ჩაუყარა არა მხოლოდ მშვიდობას, არამედ ეკონომიკურ პროგრესს. ძირითადი და უმთავრესი პრინციპები მისთვის სოლიდარობის და თანმიმდევრულობის პრინციპია, სადაც ეკონომიკური ზრდა საერთო სოციალურ კეთილდღეობას ემსახურება და არა რომელიმე ვიწრო სოციალურ ჯგუფს. მდგრადი ეკონომიკური განვითარება ასევე გულისხმობს, გარემოს პატივისცემას და ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას.

ადამიანის სოციალური უფლებების დაცვის მიმართულებით შესაძლოა გამოვეყოთ:

ფუნდამენტური სოციალური უფლებები, მათ შორის, გაერთიანების თავისუფლება, გაფიცვის უფლება, სამსახურიდან დაუსაბუთებელი განთავისუფლების შეზღუდვა, შრომის სამართლიანი პირობები, თანასწორობა და დისკრიმინაციის აცილება;

სოციალური დაცვა – უზრუნველყოფილია მაღალგანვითარებული უნივერსალური სისტემებით და სიმდიდრის გადანაწილების ღონისძიებებით, როგორცაა მინიმალური შემოსავალი ან პროგრესული დაბეგვრა;

სოციალური დიალოგი – კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმების უფლება, მუშაკთა ჩართულობითა და მათი წარმომადგენლების მეშვეობით;

სოციალური დასაქმების რეგულირება – მოიცავს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, სამუშაო დროს, შვებულებას, სამუშაოს დაცვის და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას;

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სრულ დასაქმებაზე, ზოგადი ინტერესის მომსახურების გაწევაზე და ეკონომიკურ და სოციალურ გაერთიანებაზე.

ამრიგად, ევროპის ძირითადი ევოლუციის საფუძველია საერთო ღირებულებები და პრინციპები. ევროკავშირი სოციალური პარტნიორობის პრინციპზეა აგებული. კომპრომისი საზოგადოების სხვადასხვა ინტერესებს შორის, ყველას სასარგებლოდ.

სოციალური მიღწევების განსაზღვრისას, ევროპის სოციალურ კანონმდებლობას, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო იზიარებს, რომლებიც თანხმდებიან ერთიან სამოქმედო გეგმებზე და მიდგომებზე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპული ინტეგრაციის პროგრესისთვის. ევროკავშირი მიზნად ისახავს უფრო მაღალ ზრდას და კეთილდღეობის მიღწევას, საქონლისა და მომსახურების ერთიანი შიდა ბაზრის საშუალებით.

სიღარიბესთან ბრძოლისა და სიმდიდრის გადანაწილების აქტიური პოლიტიკა, ევროპაში თანასწორობის უფრო მაღალ დონეს წარმოშობს, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. არარეგულირებული თავისუფალი ბაზრის პირობებში, როცა მოსახლეობის 30% შესაძლოა სიღარიბის საფრთხის წინაშე აღმოჩენილიყო, სოციალური გადარიცხვების არსებობამ 10-15%-მდე შეამცირა მოსალოდნელი შედეგი, მაშინ, როცა აშშ-ში ეს მაჩვენებელი 20-25%-მდე რჩება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს სოციალური მობილობა, მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, ევროკავშირთან შედარებით შეერთებულ შტატებში სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა რიცხვი ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიონით იზრდება.

ევროკავშირმა, იმისათვის, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო გააძლიეროს ეკონომიკა და ის დააფუძნოს მაღალკვალიფიციურ ცოდნას, კვლევებსა და ინოვაციებში ინვესტიციებს ახორციელებს, რაც უზრუნველყოფს უფრო მაღალი ხარისხის სამუშაო ადგილების შექმნას და მუშებისთვის შესაბამისი უნარების გამომუშავებას.

ევროპული სოციალური მოდელი არის მაგალითი დანარჩენი მსოფლიოს საზოგადოებისთვის, რომელიც დაფუძნებულია სოციალურ სამართლიანობასა და სოლიდარობაზე, სადაც ეკონომიკური და სოციალური წინსვლა თანაბრად მნიშვნელოვანია. ღირსეული სამუშაო პირობები და სოციალური დაცვა ებრძვის სიღარიბეს და სოციალურ გარიყულობას. სწორედ ამიტომ, სოციალური ევროპის წარმატება მნიშვნელოვანია, როგორც ევროპის მოქალაქეებისთვის, ასევე, სხვა ქვეყნებში სამართლიანი პოლიტიკური სისტემების განვითარებისთვის. [14]

ევროპის 47 სახელმწიფოსგან შემდგარი ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელთა შორის 28 ევროკავშირის წევრია. საბჭოს ყველა წევრი ხელმძღვანელი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე, რომლის მთავარი მიზანი ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის დაცვაა. საქართველო 1999 წლის 27 აპრილს გახდა ევროპის საბჭოს 41-ე წევრი სახელმწიფო, რომელმაც ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ქვეყანაში დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა უნდა უზრუნველყოს. [15]

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მეთაურებმა და მთავრობებმა 1997 წელს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს მეორე სამიტზე შეხვედრისას, მინისტრთა კომიტეტს მისცეს დავალება შეემუშავებინათ სოციალური ინტეგრაციის სტრატეგია, არსებულ პრობლემებზე რეაგირებისათვის და ევროპის საბჭოში ამ მიმართულებით, სტრუქტურული რეფორმების გასატარებლად. ამ მიზნით, შეიქმნა CDCS, რომლის ამოცანა სოციალური ინტეგრაციის სტრატეგიის მომზადება იყო, რაც შემდგომ 2001 წელს მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა. [16, 9] ევროპის საბჭოს განმარტებით, ინტეგრაცია ნიშნავს საზოგადოების შესაძლებლობას, უზრუნველყოს ყველა წევრი სახელმწიფოს მოსახლეობის კეთილდღეობა, მინიმუმამდე დაიყვანოს ყველა უთანასწორობა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს უმწეოთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. [17, 3]

სოციალური მოქალაქეობის ახლებური ხედვის დამკვიდრების ეტაპზე, ევროპული საბჭო ისწრაფვის სოციალურად დაუცველი ადამიანების უფლებების აღდგენის და შეჭირვებულ მოსახლეობათა ცხოვრების დონის გაუმჯობესებისკენ, რამდენადაც დემოკრატიული განვითარების პირობებში უმნიშვნელოვანესია ადამიანის ინდივიდუალური უფლებებისა და სოციალური სოლიდარობის ბალანსის დაცვა. შედარებითსამართლებრივი ანალიზით, შეიძლება ითქვას რომ საქართველოშიც, სწორედ ბალანსის დაცვის პრობლემაა. პოლიტიკურ დღის წესრიგშია სიღარიბის დაძლევა და საზოგადოების ფენებს შორის თანაბრობის პრინციპის განუხრელად დაცვა.

ევროსაბჭო მიიჩნევს, რომ რომელიმე სოციალური უფლების დაუცველობის შემთხვევაში ჩნდება დიდი ალბათობა სხვა უფლების არასათანადო რეალიზების, ამიტომაც ცდილობს მარგინალიზაციის სხვადასხვა საშუალებების აღმოფხვრას. ამასთან, ევროპული პოლიტიკა ცდილობს გააუმჯობესოს ზოგადი სოციალური მდგომარეობა, თუმცა ამ პრობლემის გადაჭრას ის მხოლოდ ფინანსური დახმარების გაცემასა და აქტივების ინვესტირებას არ უკავშირებს. ფაქტია, რომ ფინანსური გასაცემებით ვერ მოგვარდება ის პრობლემები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დაბალი მაჩვენებლით არის გამოწვეული. გადადგმულმა ნაბიჯებმა აუცილებლად უნდა გამოიწვიოს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესება, რისთვისაც უნდა შემუშავდეს საკანონმდებლო და სოციალური უფლებების განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტები.

მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და ქვეყნის ეკონომიკის პროგრესისთვის, ევროპის სოციალური ფონდი, განათლებისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად წამოყენებულ ინიციატივებს აფინანსებს. ამ მიზნით, ევროკავშირმა, ინტეგრაციის პოლიტიკის 2014-2020 წლების ბიუჯეტის ფარგლებში, წევრ სახელმწიფოებში 325 მილიარდი ევროს ინვესტირების განხორციელება დაგეგმა, რასაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყო ეკონომიკური აქტივებისა და სამუშაო ადგილების ზრდა. [18, 19-37]

სოციალური უფლებები ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა იმ ძირითადი მიმართულებებში, რომელზე დაყრდნობითაც ევროპა წლების განმავლობაში ვითარდება. მიუხედავად ამ ტენდენციისა, ისინი თვლიან, რომ ჯერ კიდევ შორს არიან იმ მიღწევებისგან, როცა ყველა ევროპელი ადამიანისთვის სოციალური უფლებები იქნება რეალურად და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი. მრავალი რეფორმის და წინადადებული ნაბიჯის მიუხედავად, ჯერ კიდევ არის წინააღმდეგობები ჯანდაცვის, განათლების, დასაქმების, სოციალური დაცვის, ცხოვრების პირობების სათანადო რეალიზებაში.

სოციალური უფლებების უპირატესობას ადასტურებს ევროსაბჭო იმ

სამართლებრივ დოკუმენტებში, რაც ადამიანის უფლებების განმტკიცებასა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობას ემსახურება. [16, 7] ევროკავშირის მტკიცე ინტერესს სიღარიბისა და სოციალური ჩართულობის შემთხვევა რომ წარმოადგენს, ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა 2000 წლის შემდეგ, რაც ლისაბონის სტრატეგია იქნა წარდგენილი.

ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის განხორციელების ძირითად მიზანს ევროპული საზოგადოების სოციალური უთანასწორობის გამოსწორება შეადგენს. პროგრამა – „ევროპა 2020“ – დაიგეგმა ევროკავშირის ფართო მიზნით, მათ შორის, სოციალურ პოლიტიკის სფეროში (სიღარიბესა და სოციალური ჩართულობის რიცხვების 20 მილიონით შემცირება 2020-მდე, 10-წლიან პერიოდში). [5] სწორედ ამ მოდელის გაზიარება, ქართულ რეალობაში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. იმის მიუხედავად, რომ სოციალური უფლებების დაცვა-რეალიზება ფინანსურ აქტივებს უკავშირდება, ევროპული მეთოდოლოგიისა და სიღარიბის დაძლევის გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანი იქნება ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საკითხში, რამდენადაც, ძლიერი სოციალური მემკვიდრეობა ევროპის სოციალური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ევროპული პროგრამები არამხოლოდ კეთილდღეობის გაუმჯობესებაზეა მიმართული, არამედ – სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშესაწყობადაც.

ევროპაში, სოციალური უფლებები სამ პოლიტიკურ პრინციპს ემყარება. I შემთხვევაში სოციალური უფლებები უზრუნველყოფილია სოციალური დაზღვევის და დაბეგვრის პროგრამებში, რომლის მთავარი ამოცანაა შემოსავლების განაწილება, დაცვა და სიღარიბის შემცირება. პენსიები, საარსებო მინიმუმი, უმუშევრობის შემწეობები, მშობიარობისა და ოჯახის ხელშეწყობა არის მთავარი მიმართულება, რომელსაც აფინანსებენ სახელმწიფო და კერძო დამქირავებლები. II ძირითადი პრინციპი, რომელზეც აგებულია სოციალური უფლებების ეროვნული სისტემა, არის სოციალური მომსახურების სფერო. განათლება, ჯანდაცვა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სოციალური მომსახურებების პაკეტი, რითაც ევროპული ქვეყნები ცდილობენ თავიანთი მოსახლეობის ცხოვრების

პირობების გაუმჯობესებას. ამ ღონისძიებების განხორციელებას დამატებითი პასუხისმგებლობაც აკისრია, რაც ასევე მომუშავეთა დასაქმებას გულისხმობს. III პრინციპად მიჩნეულია შრომის ბაზართან დაკავშირებული ნორმატიული და სამართლებრივი დოკუმენტაციის შექმნა, რომელიც იცავს დასაქმებასთან დაკავშირებულ უფლებებს. [16, 10-20] შედარებისთვის, ქართულმა კანონმდებლობამ, ბოლო პერიოდში მოახდინა ევროპული კანონმდებლობების ჰარმონიზაცია და ეს პროცესი უფრო მეტად დაჩქარდა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი მიზნები ხელს უწყობს მუშაობის უნარის მქონე ადამიანთა სრულ დასაქმებას, საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და სტრუქტურების ჰარმონიზებას, რასაც ის უზრუნველყოფს სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპის საჭიროების მხარდაჭერით, მუშაობის პროდუქტიულობის გაზრდით, მუშაობის ხარისხის უსაფრთხოებისა და გადამზადების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ რესურსებზე ფოკუსირებით; ამ პერსპექტივებიდან, ევროკავშირი ცდილობს რესურსი დააბანდოს ადამიანურ კაპიტალში და აღნიშნულს საკმაოდ წარმატებით ახორციელებს. ამ მხრივ, ჩვენშიც არის მზაობა რომ ზემოხსენებული საკითხები წარმატებით იქნას აპრობირებული, თუმცა ერთია ევროპული ღირებულებების გაზიარების სურვილი და მეორეა მისი აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება. არასაკმარისი ფინანსური რესურსების პირობებში შეუძლებელია საქართველომ შეძლოს ძლიერი სოციალური პოლიტიკის გატარება. სწორედ ამიტომ ხდება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას, პრიორიტეტად ირჩევს იმ პოლიტიკურ კურსს, რაშიც მოახდენს ინვესტიციების დაბანდებას და არჩევანი ამ მხრივ, უმეტესწილად განათლებასა და ჯანდაცვაზეა ორიენტირებული.

იმისათვის, რომ ევროპაში სამუშაო ძალის უმეტესი ნაწილი ყოფილიყო დასაქმებული, სოციალური კონტრაქტის იდეა წარმოადგინეს, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებდა. მასში გათვალისწინებული იყო მომუშავეთა უფლებების შესაფერისი სოციალური უსაფრთხოების დაცვა,

გენდერული უთანასწორობისა და სოციალური დისკრიმინაციის აღმოფხვრის ჩათვლით, აქტიური და მუდმივი დიალოგისთვის ხელშეწყობა, ყველა დონის სოციალურ პარტნიორებს შორის.

კონტრაქტის ეფექტურობა უნდა შეფასდეს იმ ხარისხის ანალიზით, რომლითაც სოციალური პარტნიორები მოქმედებენ კონტრაქტის მტკიცე ვალდებულებების განხორციელებაში. [13] ევროპის საბჭოს როლი სოციალური უფლებების განმტკიცებასა და სოლიდარობის პრინციპების ჩამოყალიბებაში ისტორიულად აღიარებულია, რასაც ორგანიზაცია დღემდე აგრძელებს და მისი ჩართულობა ყოველთვის განსაკუთრებულია.

სოციალური პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში ხორციელდება სამი მოდელის შესაბამისად:

სოციალურ-დემოკრატიული მოდელი, რომლის მიმართულებები გამოხატულია სახელმწიფოსგან სოციალური მომსახურების ფართო სპექტრის განხორციელებით, ქვეყნის მოსახლეობის სრულად დასაქმების შემთხვევაში. სოციალური უფლებები იგივე სამოქალაქო უფლებაა, რომლის პირობებშიც ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ისარგებლოს თანასწორუფლებიანობით. დასაქმებული მოსახლეობისთვის განკუთვნილია დამატებითი სოციალური შეღავათები. სოციალური უზრუნველყოფის სისტემიდან გამოყოფილია უმუშევრობის დაზღვევა და ის დამოკიდებულია ნებაყოფლობითობის პრინციპზე. გადასახადების ხარჯზე დაფუძნებული სოციალური უზრუნველყოფის დონე საკმაოდ მაღალია.

კორპორაციული მოდელი – სოციალური დაზღვევის მიხედვით დახმარებების სისტემის განვითარება, სადაც დახმარების გაცემა დიფერენცირებულია დასაქმების სახეების მიხედვით, დასაქმებულ ადამიანთა და პროფკავშირულ გაერთიანებათა სახელმწიფოსთან ურთიერთობების შესაბამისად. ძირითადი სოციალურ დაზღვევით მოსარგებლე ბენეფიციარები განსხვავდებიან სხვადასხვა პროფესიულ გაერთიანებებზე დამოკიდებულებისაგან.

ლიბერალური მოდელი – გულისხმობს მინიმალურ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, სადაც სოციალური დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ

დაბალ სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებზე, მაგრამ პარალელურად არსებობს მნიშვნელოვანი დონის სოციალური დახმარება. მაგალითისთვის, ინგლისში ყველასთვის ხელმისაწვდომია უფასო სამედიცინო მომსახურება, ხოლო ირლანდიაში მხოლოდ დაბალხელფასიან მოსახლეობას შეუძლია მისით სარგებლობა. აღნიშნულმა მოდელმა მაინც ჰპოვა განვითარება და გასცდა ევროპის კონტინენტის საზღვრებს (ა.შ.შ, ავსტრალია და ახალი ზელანდია).

რუდიმენტალური მოდელი – ჯერ კიდევ განვითარებად, გარდამავალ კატეგორიას მიეკუთვნება და ძირითადად გვხვდება სამხრეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ბოლო ათწლეულში შეიქმნა სოციალური უზრუნველყოფის სისტემები და ის მხოლოდ წარმოებაში დაზღვევასა და სოციალურ დაზღვევას გულისხმობს. საერთო ჯამში, ამ ქვეყნების სოციალური სისტემა ძალიან დაბალ დონეზეა.

სოციალური უფლებების განხორციელებას ყველა შემთხვევაში სჭირდება ფინანსები, რომელიც მოიზიდება, როგორც დამქირავებელთა, ისე დაქირავებულთა შენატანებიდან, საგადასახადო სისტემიდან. ეს სტრუქტურა დამახასიათებელია ევროკავშირის თითქმის ყველა წევრი ქვეყნისთვის, თუმცა მცირე სახესხვაობით. სოციალური პოლიტიკა ამ ქვეყნებისათვის უპირველესია და მისი დაფინანსების წყარო შემოსულობები და საგადასახადო შენატანებია. სახელმწიფოს წილი ყველაზე დიდია ანგლოსაქსურ და სკანდინავიური (დანია 74.2%) მოდელის ქვეყნებში. კონტინენტური ქვეყნების მოდელებში პირიქით, უფრო მაღალია კერძო სექტორის წილი (გერმანია – 29.3%, ჰოლანდია –35.2%), ხოლო სახელმწიფოს (გერმანია – 37.0%, ჰოლანდია – 27.5%) შედარებით დაბალი. [9, 311-315]

ევროპის სოციალური ქარტიით, ევროსაბჭომ პირველი ნაბიჯები გადადგა ეკონომიკური და სოციალური უფლებების კოდექსის ჩამოყალიბებისკენ. ქარტიის თანახმად, ეკონომიკური უფლებები შრომის ბაზარსა და დასაქმებას მოიაზრებს, ხოლო სოციალური უფლებები კი პირველყოვლისა ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას მოიცავს. ქარტია ცხრამეტი დამოუკიდებელი მუხლიდან პირველ ათს დასაქმებას

უთმობს, შრომის ბაზარსა და ინდუსტრიულ ურთიერთობებს, ხოლო მუხლების დანარჩენი ნაწილი სოციალურ უფლებებს ეთმობა.

დასაქმება ქარტიის ძირითად თემად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან უფლებათა უმეტესი ნაწილი ანაზღაურებად სამუშაოს შეეხება. უფლებებს შორისაა: თავისუფლად არჩეული პროფესიით საარსებო სახსრების გამომუშავების უფლება, უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო პირობების, სამართლიანი, საკმარისი ანაზღაურების და სოციალური დაცვის უფლება. გარდა ამისა, დასაქმებულებს უფლება აქვთ სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის მიზნით, პროფკავშირებში გაწევრიანების. კოლექტიური ხელშეკრულებების დადების. ქარტიით დაცულია დასაქმებულთა პროფესიული განათლების მიღების უფლება. ზოგადი ხასიათის უფლებებს შორისაა: ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება, სოციალური დაზღვევის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების მიღების უფლება. ქარტიაში ჩამოყალიბებულ უფლებათა ჩამონათვალი, ძირითადად, გულისხმობს სახელმწიფოთა ნაკისრ ვალდებულებებს, ამიტომ, ქარტია ამკვიდრებს ინსტიტუციურ და ნორმატიულ ბაზას, ქმნის კეთილსინდისიერი ქცევის კოდექსს, რომელიც სოციალურ პოლიტიკას და სოციალურ უზრუნველყოფას ეხება.

სოციალური უფლებების სფეროში კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ევროპაში 2000 წელს მიღებული ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ქარტია, რომელიც მხარს უჭერს ისეთ უმნიშვნელოვანეს ფასეულობებს, როგორცაა: ღირსება, სოლიდარობა, თავისუფლება, თანასწორობა, მოქალაქეთა უფლებები და სამართალი. დოკუმენტი საზოგადოების სტაბილურობის გარანტიაა, ეკონომიკური განვითარების და დემოკრატიის დამკვიდრების პოსტულატი. [8, 22-34]

ევროკავშირის სოციალური პოლიტიკა, საკოორდინაციო და მარეგულირებელი ნორმების კომპლექსურად შეერთების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შედეგია. [19] ამდენად, სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტის მოსაზრებით, სოციალური უფლებები ყველაზე მიუწვდომელია მათთვის, ვისაც ეს განსაკუთრებით ესაჭიროება. იმისათვის

რომ სოციალური უფლებების განხორციელება შესაძლებელი გახდეს, მაქსიმალურად უნდა აღმოიფხვრას მარგინალიზაციის ელემენტები. უპირველესად კი, უნდა მოწესრიგდეს კანონები, რომლებიც შესაძლოა თავისი ბუნებით ბოლომდე არ იყოს მორგებული სოციალური უფლებების განხორციელებაზე.

გარდა აღნიშნულისა, აუცილებელია გადაიხედოს მომსახურების არსებული საჯარო სისტემა, არის თუ არა მასში ყველა ის პროგრამა და პირობა გათვალისწინებული, რაც ეფექტიანს და მიზანმიმართულს გახდის სოციალური უფლებებით სარგებლობას. გარდა სერვისის მიმწოდებლებისა, უფლების მოთხოვნა და მიღება დამოკიდებულია ბენეფიციარზეც, მის ინტელექტუალურ, სოციალურ და კულტურულ შესაძლებლობებზეც, ამიტომ ყველაფერი უნდა იქნეს მობილიზებული საიმისოდ, რომ ადამიანმა შეძლოს სოციალური უფლებების რეალიზაცია, იმ სარგებლის მიღება, რაც განკუთვნილია სოციალური პაკეტებით. [16, 35-39]

1.2.1. სოციალური პოლიტიკა ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით

ჩვენი ქვეყნის სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ევროპული ქვეყნების სოციალური პოლიტიკის შესწავლა და მათი მდიდარი გამოცდილების გაზიარება. ევროპული ქვეყნები თავიანთი გადაწყვეტილებებით ცდილობენ შეიმუშაონ ისეთი პრევენციული ზომები, რომლებიც სრულად ორიენტირებულია ეკონომიკის ეფექტურ და მდგრად განვითარებაზე. ამის საილუსტრაციოდ შესაძლოა მოვიშველიოთ დანიის, გერმანიის, ფინეთის სოციალური ღონისძიებები, სადაც სოციალური პროგრამა შრომის სტიმულირებაზეა ორიენტირებული, რაც ზრდის ადამიანის მოტივაციას დასაქმდეს, ან უფრო ნაყოფიერი გახადოს თავისი ყოველდღიურობა. ეს მიდგომა კი ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

გერმანია – მიზანმიმართული სოციალური პროგრამებითა და განხორციელების მექანიზმებით, ერთ-ერთი მოწინავეა ევროპაში. ის

გამოირჩევა განათლების მაღალი ხარისხით და თანამედროვეობის მიღწევების დანერგვით. გერმანია ძლიერი პროფესიული განათლების განმახორციელებელ ქვეყნად რჩება, სადაც პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება ხელს უწყობს კვალიფიციურ მუშაკებს, კარგ სამსახურსა და შემოსავლის გაჩენის პერსპექტივას, ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შემცირებას. დასაქმების მაღალმა მაჩვენებელმა, სოციალური მხარდაჭერის მიმღებთა რიცხვი რეკორდულად შეამცირა. ქვეყანაში მოქმედებს მაღალი ხარისხის შერეული და კერძო ჯანდაცვის სისტემა, თუმცა ამ მიმართულებით ხარჯების შემცირება არ ფიქსირდება. უმჯობესდება ბავშვებზე ზრუნვის ხელმისაწვდომობა, საკმაოდ მაღალია ქალთა დასაქმების მაჩვენებელი. საპენსიო შეღავათები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რაც სახელმწიფოსგან უფრო მეტ სუბსიდირებას და მდგრადობის საკითხების გაძლიერებას მოითხოვს.

გერმანია საკმაოდ მაღალგანვითარებული სახელმწიფოა, თავისი სოციალური პოლიტიკით, სადაც საარსებო მინიმუმი ყველა მოქალაქისათვის გარანტირებულია. სოციალური დაცვის სისტემა ისტორიულად, დაზღვევის მოდელს ეყარება, რომელსაც საჭიროებაზე ორიენტირებული, მინიმალური შემოსავალი ავსებს. დახმარების მიმღებ უმუშევართა რაოდენობა 2017 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში 4.362 მილიონიდან – 3.924 მილიონამდე შემცირდა.

2015 წლიდან გერმანიაში მინიმალური ხელფასის სტანდარტი მოქმედებს, რომელიც შექმნილია მოსახლეობის შემოსავლების გაზრდისა და სტაბილიზაციისთვის. მინიმალური ხელფასი 2019-2020 წლებში, საათობრივად 9.19 ევროდან – 9.35 ევრომდე გაიზარდა. სამუშაო ადგილების დაკარგვაც მიმდინარე პერიოდში შესამჩნევი არ გამხდარა.

ქვეყანა გამოირჩევა მაღალი ხარისხის ინკლუზიური ჯანდაცვის სისტემით, რითაც უზრუნველყოფილია თითქმის ყველა მოქალაქე. დასაქმებულ ადამიანთა უმეტესობა დაზღვეულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემით, ხოლო საჯარო მოხელეები, თვითდასაქმებულები, მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანები და სხვა

ჯგუფები, როგორც წესი, კერძო დაზღვევით სარგებლობენ, თუმცა ეს მაინც არ ამცირებს სისტემის ხარჯებს.

გერმანიამ გაიაზრა დემოგრაფიული მდგომარეობა და 2014 წლის გადაწყვეტილებით, იმ პირებისთვის, ვისაც 45 წლის ნამსახურობის სტაჟი გააჩნდა, საპენსიო ასაკი 2 წლით შეამცირა. გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაფინანსება. რეფორმის საერთო ღირებულება 2030 წლისთვის 160 მილიარდ ევროს მიაღწევს. 2017 და 2018 წლების რეფორმებით კომპანიების საპენსიო გეგმები წახალისდა, როგორც საპენსიო დაზღვევის კანონით გათვალისწინებული სისტემა.

2019 წლის გადაწყვეტილებით, ძირითადი სახელმწიფო პენსიის შემოღებით, გერმანიამ მიზნად დაისახა სიღარიბის შემცირება. საპენსიო რეფორმის თანახმად, სახელმწიფომ გამოყო სუბსიდირება მათთვის, ვისაც 35-წლიანი გადახდა უფიქსირდება, მათი დაბალშემოსავლიანი პენსიები გაიზარდა და ძირითად პენსიასთან ერთად მარტოხელა პერებისთვის 1.250 ევრო, ხოლო წყვილებისთვის 1.950 ევროს შემოსავლით განისაზღვრა. მთავრობის მოლოდინით, რეფორმის ფარგლებში გასაწევი ხარჯები ყოველწლიურად 1.1 მილიარდ ევროდან 1.5 მილიარდ ევრომდე გაიზარდება. გარდა ამისა, მთავრობის რეფორმა შეეხო კერძო და საპენსიო ნორმების გაუმჯობესებას.

საპენსიო ფონდის ფინანსური სუბსიდიები წლების განმავლობაში რეგულარულად იზრდება, მაშინ, როცა 2017 წელს სუბსიდიებმა 67.8 მილიარდი ევრო შეადგინა, 2019 წელს იგივე ხარჯმა 98 მილიარდ ევროს მიაღწია. 2018 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით შემოღებულ იქნა „ორმაგი გაჩერების ხაზი“, რაც იმას ნიშნავს, რომ შენატანის წვლილი შემოსავლის 20% არ უნდა აღემატებოდეს და 2025 წელს ჩანაცვლების კოეფიციენტი 48% არ უნდა ჩამოსცდეს. დასაქმების მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე პენსიები სწრაფად განაგრძობს ზრდას, კერძოდ 2017 წელს 1.9 % გაიზარდა, 2018 წელს 3.22%-ით, ხოლო 2019 წელს 3.18%-ით. თუმცა ჯანდაცვის და გრძელვადიანი დაზღვევის ხარჯების ზრდა, გარკვეულწილად ამცირებს წმინდა პენსიის დონის ზრდას. [20]

შვედეთი – სოციალური კეთილდღეობის განვითარების თვალსაზრისით შესაძლოა ითქვას, რომ მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ქვეყანაში სიღარიბე და შემოსავლების უთანასწორობა დაბალია, მაგრამ ბოლო პერიოდში იზრდება და ახალგაზრდებს უჭირთ სამუშაოს მოძიება. ჯანმრთელობის დაცვა გამოირჩევა მაღალი ხარისხით, მაგრამ სერვისის მიწოდების ლოდინის დრო ხანგრძლივია, რაც სერვისით მოსარგებლეთა უკმაყოფილებას იწვევს. იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას განათლებაზე ამყარებს, შვედეთის განათლების სისტემა დაბალია, რის მიზეზადაც მასწავლებელთა კვალიფიკაციის ნაკლებობას ასახელებენ. კრიტიკოსები კი, ამ ფაქტს, ახალგაზრდების დასაქმების დაბალ მაჩვენებელს უკავშირებენ, ვინაიდან მათი მოსაზრებით, განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი უნარების გამომუშავებას, რასაც შრომის თანამედროვე ბაზარი მოითხოვს. სიტუაციის გასაუმჯობესებლად, მთავრობა განათლებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის, სასწავლო პროგრამების შემუშავებას გეგმავს, რაც წარმატებით განხორციელდა გერმანიაში. შვედეთი განათლების ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

შვედეთის ჯანდაცვის სისტემა დეცენტრალიზებულია რეგიონული მთავრობებით, რომლებიც ბიუჯეტის 90% ჯანდაცვის სერვისებზე გამოყოფენ. ჯანდაცვა იყოფა პირველად ჯანდაცვად, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს. ჯანდაცვის სექტორში არსებული ხარვეზები, მართვის არასწორი მექანიზმებითაა გამოწვეული, სადაც ჯანდაცვის პოლიტიკას ქვეყანაში სამი სხვადასხვა სექტორი: მთავრობა, სამედიცინო სექტორი და ბაზარი მართავს, რომლებიც თავის მხრივ განსხვავებულ პრიორიტეტებს აყალიბებენ და რესურსებსაც განსხვავებულადვე ანაწილებენ. ეს ბიუროკრატიული განხეთქილება უარყოფითად აისახება როგორც ხარისხზე და ინკლუზიურობაზე, ასევე ხარჯების ეფექტურად შემცირებაზეც. პაციენტების შეფასებით, მათ უწევთ ბრძოლა სერვისის ხელმისაწვდომობაზე, იქნება ეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება თუ სპეციალისტის მომსახურება. არსებული ხარვეზების გამო, ხალხი კერძო

დაზღვევით სარგებლობას არჩევს. კვლევების შესაბამისად, 2018 წელს ჯანმრთელობის კერძო დაზღვევით ქვეყანაში 650 000 ადამიანზე მეტი სარგებლობდა. კერძო დაზღვევის სწრაფი ზრდაც, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ხარვეზების არსებობაზე მიუთითებს.

შვედეთის ხელისუფლება ორიენტირებულია ძლიერი ოჯახის შექმნის ხელშეწყობისაკენ, რაც გამოიხატება მშობელთა გრძელვადიანი შვებულებების, ბავშვთა მოვლის საჯარო და კერძო დღის ცენტრების, ოჯახებისათვის შემოსავლებისა და ინდივიდუალური გადასახადების დაწესებით. საპენსიო სისტემა შვედეთში წარმატებით ახერხებს ხანდაზმულ მოქალაქეებში სიღარიბის შემცირებას. ნორდიკულ სხვა ორ ქვეყანასთან შედარებით, შვედეთს ორჯერ მეტი პენსიონერი ჰყავს, სიღარიბის ზღვართან ან მის მიღმა.

შვედეთის საპენსიო რეფორმის შედეგია სახელმწიფო და კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, რაც სამომავლოდ საპენსიო ფონდში უფრო მეტი კაპიტალის მობილიზებას უზრუნველყოფს. განაწილების პრინციპი საიმედოა, მაგრამ საფონდო ბირჟების არასტაბილურობა, რეფორმის სტაბილურობის და მდგრადობის მიმართ, გაურკვევლობას წარმოშობს. კრიტიკოსები იმასაც კი მიუთითებენ რომ, თუ ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელი არ გამოსწორდა, უმუშევრობა, კაპიტალის დაგროვებას და წარმატების ასპექტს გრძელვადიან პერსპექტივაში, საფრთხეს შეუქმნის. ხანდაზმულთა რიცხოვრივი ზრდის და საპენსიო სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად შვედეთის ხელისუფლება გეგმავს საპენსიო ასაკის თანდათანობით 67 წლამდე გაზრდას, სამუშაო ძალაში კიდევ ერთი წლით დარჩენის პირობით. [21]

ნორვეგია – სოციალური პოლიტიკის წარმატებული მოდელით ევროპის მოწინავე ქვეყანაა, რომელიც გამოირჩევა მაღალი საგანმანათლებლო პირობებით, სიღარიბის დაბალი მაჩვენებლით, კარგად დაფინანსებული ოჯახური შეღავათებით და გენდერული თანასწორობის პროგრამებით.

ნორვეგიაში, საპენსიო სისტემა იმდენად კარგად არის უზრუნველყოფილი, რომ დაბერების ზრდის ტემპის მიუხედავად, მის მდგრადობას საფრთხე ნაკლებად ემუქრება. ჯერ ერთი, რომ შობადობა სხვა ქვეყნებისგან

განსხვავებით ნორვეგიაში ბოლო ათწლეულების მანძილზე მაღალი იყო და მეორეც, ნავთობის ფონდში დაგროვილი მასიური დანაზოგები, 2006 წლიდან ოფიციალურად აღიარებულ იქნა, როგორც მთავრობის საპენსიო ფონდი, რითაც გარანტირებულია მომავლის პენსიები. 2009 წელს მიღებულმა საპენსიო რეფორმამ, რომელიც 2011 წელს ამოქმედდა, სისტემის მდგრადობა კიდევ უფრო გაამყარა. რეფორმის მიზანი, პენსიაზე გასვლისას სისტემაში მეტი არჩევანის და მოქნილობის დანერგვა იყო, თანდათანობითი დემოგრაფიული კორექტირების ახალი მექანიზმების დამატებით. ძირითადი და მთავარი, მაინც ფინანსური მდგრადობა და მისი გაუმჯობესებაა. სამომავლოდ საპენსიო ასაკის 67 – დან 70 – წლამდე გაზრდაც იგეგმება. საბაზისო მინიმალური პენსია იმდენად დიდია, რომ ის სიბერეში სიღარიბის რისკს არსებითად აღმოფხვრის. რეფორმამ გააძლიერა კავშირი შემოსავლებთან დაკავშირებული პენსიების შენატანებსა და სარგებელს შორის და გააუმჯობესა სისტემის თაობათაშორისი კაპიტალი. საპენსიო რეფორმა სარგებლობს მოსახლეობის მაღალი ნდობით. [22]

დანია – სოციალური სისტემის მაღალი განვითარებით გამოირჩევა. სოციალური დახმარებების უმეტესობა რეფორმირებულია სამუშაოს სტიმულირების გასაძლიერებლად. სიღარიბე და უთანასწორობა დაბალია, ჯანდაცვის მაღალი ხარისხის სერვისები ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისათვის. შვედეთის და ნორვეგიისგან განსხვავებით, განათლების ბიუჯეტი შემცირდა, თუმცა განათლების ხარჯები დანიაში OECD-ის ყველაზე მაღალია.

სხვადასხვა სახის კეთილდღეობის რეფორმებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მუშაობის სტიმული, თუმცა ზოგიერთი ჯგუფისთვის ამან შემოსავალიც შეამცირა, რასაც იმით ხსნიან, რომ რეფორმა ართულებს მათთვის სამუშაოს მოძიებას (სოციალური პრობლემები, კვალიფიკაციის არარსებობა). სოციალურ ტრანსფერებში მეტი წილი დასაქმებაზეა გადატანილი. ქვეყნის მთავრობის მიდგომა ზღუდავს შშმ პირების პენსიის დანიშვნას 40 წლის ასაკამდე, თუ მათ შრომისუნარიანობის მძიმე ან მუდმივი დაკარგვა არ აქვს. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო ბოლომდე ცდილობს ხელი შეუწყოს მათში შრომისთვის გამოსადეგი უნარების

მოძიებას და რეალიზებას. სოციალური დახმარება უფრო მოქნილია ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სოციალურ ღონისძიებებშია სოციალური დახმარება, საბინაო დანამატი და ბავშვის დანამატი.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები დანიაში უფასოა და ის ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომია. შესაბამისად, ჯანდაცვის ხარჯები მაღალია. 2018 წელს დანიაში ჯანდაცვის ხარჯებმა მშპ-ის 10.5% შეადგინა, აქედან 8.8% საჯარო ფინანსებით დაფინანსდა. სიცოცხლის ხანგრძლივობა 2018 წელს 81 წელი იყო და აღმავალი ტენდენცია ისევ ნარჩუნდება. ჯანდაცვის სექტორზე ზეწოლას ახდენს მედიკამენტებზე ფასების ზრდა. პრიორიტეტებში იყო კიბოს მკურნალობა. იმისათვის, რომ ხელმისაწვდომობა იყოს უკეთესი, სახელმწიფომ გადაწყვიტა გაზარდოს მედ-პერსონალის რაოდენობა და ამისთვის შესაბამისი სახსრებიც გამოყო.

დანის საპენსიო პოლიტიკა კარგად ორგანიზებულია და შეიცავს, სამსვეტიან საპენსიო სისტემას. I სვეტი ფინანსდება გადასახადებით და დანამატებით. II სვეტი, კერძოდ ორგანიზებული შრომის ბაზარზე პენსიებით და III სვეტი ეს არის, სადაზღვევო კომპანიების, კერძო ბანკების და სხვადასხვა ფონდების მიერ შემოთავაზებული გადასახადებით დაფინანსებული პენსია. ეს მოდელები უზრუნველყოფს ხანდაზმულობის ასაკში მიღებულ შემოსავლებთან შედარებით, გონივრულ ანაზღაურებას. [23]

ფინეთი – გამოირჩევა სოციალური ინკლუზიით, ბავშვთა სიღარიბის დაბალი და ქალთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით. საპენსიო სისტემა ამცირებს სიღარიბეს, მაგრამ მთავრობა დამატებით ცდილობს სოციალური დახმარებების გაზრდას. ფინეთი არახელსაყრელი ქვეყანაა ემიგრაციისთვის, ძნელია შრომის ბაზარზე ემიგრანტთა ინტეგრირება, რთულია ბინადრობის უფლების მოპოვება. შვედეთისგან განსხვავებით, ფინეთი გამოირჩევა მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაციით. განათლებაზე ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისთვის თანაბარი და უფასოა. მიუხედავად განათლების ასეთი მიღწევებისა, ფინეთის ხელისუფლების პრიორიტეტებს შორისაა: სიღარიბის შემსუბუქება, უთანასწორობის აღმოფხვრა, გარიყულობის შემცირება. ქვეყნის სწრაფვას განათლებისკენ ისიც ადასტურებს, რომ 2020 წლის ბიუ-

ჯეტით, განათლებისა და კვლევების დასაფინანსებელი თანხები გაიზარდა.

ჯანდაცვის პოლიტიკამ ფინეთში საზოგადოების ჯანმრთელობის საგრძნობი გაუმჯობესება უზრუნველყო, რამაც გამოიწვია, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება და ჯანდაცვის ეფექტური დაზღვევის სისტემის განვითარება. ფინეთის მოსახლეობა სარგებლობს ჯანდაცვის ფართო სპექტრზე ხელმისაწვდომობით და დაბალი დანახარჯებით. ხანდაზმულთა რაოდენობა აქაც მზარდია, მაგრამ არა ისე, როგორც ევროპის ქვეყნებში. ხელისუფლებამ დროულად იზრუნა და სოციალურად მდგრადი ფინეთის 2020 სტრატეგია შეადგინა, სადაც გაწერა ფინეთის სოციალური და ჯანდაცვის პოლიტიკის მიმდინარე მიზნები.

ფინეთის საპენსიო სისტემა ორსვეტიანია. ის მოიცავს, ძირითად პენსიას, რომელიც შედგება ეროვნული პენსიისა და საგარანტიო, სავალდებულო დასაქმების საფუძველზე, შემოსავლებთან დაკავშირებული პენსიისაგან. ნებაყოფლობითია პროფესიული და კერძო საპენსიო სისტემებში მონაწილეობა, მაგრამ ფინეთის მოსახლეობა ცდილობს საპენსიო ასაკისთვის მეტი დანახოვი შექმნას. წარმატებული პოლიტიკის საფუძველზე ფინეთის ხელისუფლებამ შეძლო ადეკვატური საპენსიო უზრუნველყოფის შეთავაზება, რითაც თავიდან აიცილა ხანდაზმულთა სიღარიბის პრობლემა, თუმცა პრობლემის ნიშნები ღრმად ხანდაზმულებსა და მარტოხელა პენსიონერებში მაინც შეინიშნება. დემოგრაფიულმა პრობლემებმა ბოლო წლებში, სამუშაო ძალის შენარჩუნებასა და საპენსიო სისტემის ფისკალური მდგრადობის თვალსაზრისით, პრობლემების წარმოშობის რისკი გაზარდა. სტრატეგიები მიზნად ისახავს პენსიაზე გასვლის წახალისებას. 2019 წელს Mercer-ის გლობალურმა საპენსიო ინდექსმა, ფინეთის საპენსიო სისტემა შეაფასა, როგორც მეოთხე საუკეთესო მსოფლიოში. [24]

ამერიკის შეერთებული შტატები – მრავალი წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის სისტემამ მსოფლიოში საუკეთესო ზრუნვის შედეგი უზრუნველყო, თუმცა უაღრესად არაეფექტურად. სახელმწიფომ დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზე მნიშვნელოვნად შეამცირა პროგრამის განხორციელება. პროგრამაში არსებული ხარვეზების

შესავსებად და პროგრამით მოსარგებლეთა სტატისტიკის გაზრდის მიზნით, 2010 წელს მიღებულ იქნა კანონი, „პაციენტთა დაცვისა და ხელმისაწვდომი მოვლის შესახებ“ (ACA), რომელსაც ხშირად “Obamacare” უწოდებენ.

შტატები ბოლო პერიოდში, ეკონომიკური უთანასწორობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, რომელიც კვლავ მზარდია. შეერთებული შტატები OECD-ს 41 ქვეყანას შორის, ხუთეულში შედის იმ მოსახლეობის პროპორციის მიხედვით (17.3%), რომელიც საშუალო შემოსავლის 50%-ზე ნაკლებს იღებს. სოციალური უზრუნველყოფის საპენსიო პროგრამა, შეერთებული შტატების მთავარი საჯარო საპენსიო სისტემაა, რომელიც ავსებს დამსაქმებელზე დაფუძნებულ საპენსიო გეგმებს, გადასახადებით დაფინანსებულ საპენსიო შემნახველ გეგმებს და კერძო საპენსიო ანგარიშებს.

სოციალური უზრუნველყოფა ფინანსდება დასაქმებულთა და დამსაქმებელთა სავალდებულო შენატანებით, ჯამში ხელფასის 12,4%, წელიწადში 120 000 აშშ დოლარის ხელფასის პირობებში. საჯარო სისტემის სახელფასო ჩანაცვლების მაჩვენებელი საშუალოდ 45%-ია, რაც OECD-ის საშუალოზე დაბალია, თუმცა დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებისთვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია. კომპანიებზე და კერძო ანგარიშებზე დაფუძნებული სარგებელი, ხელფასის შეცვლის განაკვეთს 80%-მდე ზრდის. ამასთან 78 მილიონ ამერიკელს, კომპანიებზე დაფუძნებულ საპენსიო გეგმებზე წვდომა არ აქვს. რაც შეეხება საპენსიო სისტემის არსებობის მიზანს (სიღარიბის პრევენცია, თაობათაშორისი თანასწორობა და ფისკალური მდგრადობა), აშშ-ს საპენსიო სისტემა ნაწილობრივ წარმატებულია ხანდაზმულთა სიღარიბის შემცირებაში. თაობათაშორის სამართლიანობასთან მიმართებაში ძნელია სისტემის შეფასება. ისტორიულად, ყოველი მომდევნო საპენსიო ჯგუფი გულუხვ სუბსიდიებს იღებს იმჟამინდელი მუშაკებისგან, მაგრამ ხანდაზმულ ადამიანთა ზრდა საფრთხეს უქმნის მომავალ საპენსიო ჯგუფებს, მოსალოდნელი სარგებლის პოტენციური დანაკარგებით. სისტემა ასევე საფრთხის წინაშეა ფინანსური მდგრადობის მიმართულებითაც. [25]

1.3. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სოციალური პოლიტიკის საკითხთა აღსრულების პრაქტიკა და გამოწვევები

საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობა, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შედეგად 1996 წელს დაიწყო და ხელშეკრულება ძალაში 1999 წელს შევიდა. [26] 2013 წლის 29 ნოემბერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტის ფარგლებში შედგა „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ“ (AA) შეთანხმება. 2014 წლის 27 ივნისს შეთანხმებას ხელი მოეწერა [27], რომლის მიზანია მხარეებს შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნა. ასოცირების შეთანხმებით (AA) ხაზგასმულია საქართველოს მისწრაფება ევროპული ღირებულებებისადმი, რაზედაც დგას ევროკავშირის დემოკრატიული ცხოვრების მექანიზმები, როგორცაა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი დაცვა კანონისმიერი მოთხოვნების შესაბამისად. შეთანხმება თავისი შინაარსით იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველია, რომ მისი შესრულება გარდაუვალს ხდის ქვეყნის ევროპული არჩევანის განხორციელების პროცესს. ამდენად, საქართველო ვალდებულია გაატაროს ყველა ღონისძიება, საერთო ღირებულებებისა და ინტერესების დასაცავად. [11. 3-4; 11]

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია დაახლოებით 1990 წლებიდან დაიწყო. ევროპულ სტანდარტებთან ქვეყნის დაახლოების მისწრაფებამ, ქვეყანას ეტაპობრივად ბევრი სარგებელი მოუტანა. მთელი ამ პერიოდის მონაპოვარი, საქართველოს და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებაა (AA), რის შედეგადაც საქართველომ თავისუფალი სავაჭრო სივრცით სარგებლობის უფლება მოიპოვა. შეთანხმებით, ქართულ პროდუქტს ევროპის ბაზარზე, რომელსაც 500 მილიონი მომხმარებელი ჰყავს, მოხვედრის შანსი გაუჩნდა. [28] ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით ქვეყანა უნდა დაუახლოვდეს ევროპის ქვეყნებს და მათ განვითარების დონეს. ქვეყნის პირველი ამოცანა შეთანხმებასთან დაკავშირებით, ევროპის გაერთიანების გადაწყვეტილებების, რეგულაციებისა და რეკომენდაციების ქვეყნის კანონმდებლობაში ასახვა და საკანონმდებლო ბაზის ევროპულ კანონმდებლობასთან

სრულად დაახლოებაა. შეთანხმება გაწერილია ვადის გარეშე, თუმცა საკანონმდებლო რეგულაციების შესრულებისთვის 2029 წელია განსაზღვრული, რადროსაც ვალდებულებითი ნაწილი სრულად დასრულებული უნდა იყოს. [28]

შეთანხმების მე-14 თავი სრულად ეთმობა და არეგულირებს ისეთ სფეროებს, რასაც ქვეყნის სოციალური პოლიტიკა მოიცავს, კერძოდ: დასაქმება, რადროსაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, რისთვისაც უნდა შეიქმნას ისეთი სამართლებრივი ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ღირსეულ პირობებს. გასატარებელი რეფორმების შედეგად ქვეყანაში ევროპული სტანდარტების ჯანდაცვის სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს. შეთანხმების მე-14 თავი შეიცავს XXX–XXXI დანართებს, სადაც დეტალურადაა გაწერილი ის კონკრეტული ღონისძიებები, რაც უნდა განახორციელოს სახელმწიფომ სოციალური პოლიტიკისა და თანასწორობის, დასაქმებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. ყოველი დავალების შესასრულებლად, შეთანხმებაში, კონკრეტული ვადებია განსაზღვრული. ასოცირების შეთანხმებით მხარეები თანხმდებიან, რომ ყველაფერს გააკეთებენ მდგრადი განვითარების, უმთავრესი ამოცანების შესასრულებლად. აღიარებენ, რომ სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დაცვის განვითარება მათი ვალდებულებაა.

ასოცირების შეთანხმების ნაწილია საპენსიო სისტემის რეფორმა ქვეყანაში, რამაც ხელი შეუწყო პროცესის დაჩქარებას და ჩამოყალიბებას, შედეგად, დღეს ქვეყანას აქვს ევროპული სტანდარტის, დაგროვებითი საპენსიო სისტემა. შრომის პირობების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეიქმნა ახალი მიმართულება, რომელიც გააკონტროლებს შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვას, მათ შორის დასაქმებულთა უფლებების რეალიზებას. ამ ფუნქციების განსახორციელებლად ჩამოყალიბდა ახალი სამსახური სსიპ – საქართველოს შრომის ინსპექციის სააგენტო, რომლის ვალდებულება, შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა, პრევენცია და რეალიზაცია იქნება.

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ასევე, ჩამოყალიბდა ახალი სამსახური, სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომელ-

მაც ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესისა და დასაქმების მაძიებელი პირების ერთ-მანეთთან დაახლოებას, ახალი სამუშაო ადგილების მოძიებას და დასაქმების პოლიტიკის მაქსიმალურად რეალიზებას. [29, 41] სამსახურს გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი აქვს 2020 წლის მუშაობის ანგარიში, სადაც მოცემულია ინფორმაცია განხორციელებული ქმედებების შესახებ. ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უმუშევრობის აღმოფხვრა და დასაქმების სურვილი ქვეყანაში აქტუალობას არ კარგავს. [30]

ჩამოთვლილი მიღწევები, ქვეყნის განვითარებისკენ წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების მონაპოვარია. ასოცირების შეთანხმება, სრულად, 2016 წლიდან ამოქმედდა. ხუთი წელი არც ისე ბევრია იმისთვის, რომ მნიშვნელოვანი სარგებლის მიღების პერიოდად ჩაითვალოს, თუმცა სარგებლიანობა ეტაპობრივად გაგრძელდება და მას კიდევ უფრო მეტად იგრძნობს ქვეყნის მოსახლეობა. შეთანხმება რჩება, რეფორმებისა და სტანდარტების დამამკვიდრებელ ძირითად ფაქტორად.

მიუხედავად იმ სიკეთებისა, რაც ასოცირების შეთანხმებამ ქვეყანას მოუტანა, ჯერ კიდევ რჩება ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორცაა კანონის უზენაესობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, მწვავე სოციალური პრობლემები, სიღარიბე და უმუშევრობა, რაც ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესს. [26] ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მთავარ ინსტრუმენტს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 დღის წესრიგი წარმოადგენს, რომელიც ევროკომისიასთან თანამშრომლობით პერიოდულად მუშავდება [31]. ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები ასევე გათვალისწინებულია 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის მიზნებში და ამოცანებში, სადაც ყურადღება გამახვილებულია, როგორც დოკუმენტის ასევე, შესასრულებელი ვალდებულებების მნიშვნელობაზე. [32]

ევროკავშირთან შეთანხმების არსებობა არის გარანტი საქართველოს მოსახლეობის მომავალი განვითარების, რათა მან ვალდებულებების აღსრულებით უზრუნველყოს ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

თავი 2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ანალიზი

2.1. ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებით გათვალისწინებული სოციალური პროექტები

ბიუჯეტი წარმოადგენს ქვეყნის მთავარ საფინანსო დოკუმენტს, რომლის რეგულირებასაც სახელმწიფო თავისი ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით ახორციელებს. ბიუჯეტზე დაყრდნობით შესაძლებელია ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა, რამდენადაც, ბიუჯეტი ძირეულ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ბიუჯეტირების (დაგეგმვა, დამტკიცება, აღსრულება, ანგარიშგება) პროცესის საჯაროობა და გამჭვირვალობა საბიუჯეტო პროცესის აუცილებელი ელემენტია, რომელიც სახელმწიფოს ეხმარება ძირეული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში და ასევე დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. სახელმწიფოში არსებულ სხვადასხვა დონის ბიუჯეტთა ერთიანობა ქმნის სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემას, რომელიც აგებულია ბიუჯეტების ეკონომიკურ ურთიერთობათა და იურიდიულ ნორმათა ერთობლიობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და სხვა საჭიროებების პრიორიტეტებს. ის პირდაპირ ან ირიბად ახდენს გავლენას მოსახლეობის კეთილდღეობაზე, შესაბამისად, ცხოვრების დონეც დამოკიდებულია სწორ, ეფექტურ და დროულ გადაწყვეტილებებზე. ბიუჯეტი უნდა იყოს ყოვლისმომცველი, გამჭვირვალე, დამოუკიდებელი, ერთიანი და მოსახლეობის სოციალური დაცვის უპირველესი მექანიზმი, რომელიც საზოგადოების ინტერესებიდან და მოთხოვნებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ბიუჯეტის მომზადების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიზნის განსაზღვრას, რაც გულისხმობს იმას, თუ როგორ უნდა განაწილდეს სახელმწიფო სახსრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ვინაიდან ფულადი რესურსი სრულად ვერ

პასუხობს არსებულ მოთხოვნებს, მნიშვნელოვანია პრიორიტეტების სწორად და მიზანმიმართულად განსაზღვრა და აღსრულება. ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მაჩვენებელია. [33]

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების ერთობლიობას, რომელიც სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით უზრუნველყოფს რესურსების განაწილებას.

ის წარმოადგენს გეგმას თუ, როგორ უნდა დაიხარჯოს თანხები სხვადასხვა სფეროებში, როგორცაა: განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, სახელმწიფოს თავდაცვა. ბიუჯეტი განსაზღვრავს ასაღები სახელმწიფო ვალისა და სესხის გადახდის სტრუქტურას; ის გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რა დროსაც უნდა მოხდეს ხარჯებისა და შემოსავლების დაბალანსება. შემოსავლის ზრდა ხელს უწყობს უფრო მეტი პროექტის დაფინანსებას და ნაკლები სახელმწიფო ვალის აღებას. ბიუჯეტი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას წინა წლებში გაწეული ხარჯის შესახებ და მომავალ ხარჯვასთან დაკავშირებით, საპროგნოზო მაჩვენებელს. ზოგადად ბიუჯეტი არის ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი, რომელიც კარგად წარმოაჩენს, თუ როგორია ქვეყნის ძირითადი სამოქმედო მიმართულებები. [34, 35]

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია საკუთარი ფინანსური რესურსის ქონა. აღნიშნულთან დაკავშირებით კონსტიტუციაში გვხვდება ჩანაწერი, რომლითაც დაფიქსირებულია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ქონების და ფინანსების გამიჯვნა [7], კერძოდ: „ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია საკუთარი ქონება და ფინანსები“. ევროპული ქარტიის მე-9 მუხლიც, სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებსა და ფინანსებს ეხება. [35]

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის მუნიციპალიტეტის ფუნქცი-

ებისა და ვალდებულებების შესრულების გეგმა, ის დამოუკიდებელია სხვა ბიუჯეტისაგან და მის დამოუკიდებლობას საკუთარი შემოსავლები და გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებამოსილება განაპირობებს. [36]

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვა უნდა ემსახურებოდეს ისეთ პროგნოზირებას, რომელიც ორიენტირებული იქნება დადებითი შედეგის მიღებაზე და მუნიციპალური მმართველობის განვითარება-გაუმჯობესებაზე. [37. გვ 114]

ადგილობრივი ფინანსების მეშვეობით, სახელმწიფოები ეროვნულ პოლიტიკას აქტიურად ატარებენ. ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხების გადაცემით, ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ფარგლებში განათლების, ჯანდაცვის, სოციალური, ინფრასტრუქტურის და სხვა სფეროების განვითარებას. მსოფლიოში იზრდება ადგილობრივ ფინანსებზე დამოკიდებულ პროექტთა წრე, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებიან უნივერსიტეტები, მსხვილი ჯანდაცვის ობიექტები, შიდა უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები და სხვა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ქვეყნის ძირითადი საბიუჯეტო სისტემის ნაწილია. მასზე ასევე ვრცელდება საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის, ბიუჯეტის ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის, უნივერსალურობის პრინციპები. ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ურთიერთობა საბიუჯეტო სისტემაში შემავალ სხვა ბიუჯეტებთან, უზრუნველყოფილია ერთიანი სამართლებრივი ბაზით, ერთიანი ფულადი სისტემით, საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ერთიანობით, ბიუჯეტის მომზადების, შესრულებისა და ანგარიშვალდებულების ერთიანობის და ბიუჯეტის შესრულების ინფორმაციის გაცემის სავალდებულოობით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, დედაქალაქსა და რეგიონებს შორის შესაძლებლობის გათვალისწინებით საკმაოდ არათანაბარი მდგომარეობაა, შესაძლებელია ითქვას, რომ ამ ფონზე თბილისის მუნიციპალი-

ტეტის მოსახლეობა ბევრად უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება, რეგიონებში მაცხოვრებლებთან მიმართებაში. ვინაიდან, თბილისის ბიუჯეტი მეტი პროგრამისა და სოციალური პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევა. ბოლო წლებში იკვეთება ტენდენცია მოსახლეობის რეგიონებიდან თბილისში გადმოსახლების და თბილისის რეგისტრაციის მოპოვების, რათა მათ ისარგებლონ იმ სოციალური სარგებლით, რასაც თბილისის ბიუჯეტი ადგილობრივთათვის უზრუნველყოფს. იმისათვის, რომ შეფერხდეს აღნიშნული პროცესი, ნორმატიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულია, რიგი დათქმები, რომელიც მოსარგებლეს უწესებს თბილისში განსაზღვრული პერიოდით რეგისტრაციას. [38]

დამოუკიდებელი საქართველოსთვის რთული აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრინციპების რეალიზება [2, 4], რაც განაპირობა კატაკლიზმებმა და იმ ომებმა, რომლის შედეგად ქვეყანამ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები დაკარგა. შიდა დაპირისპირება, რთული კრიმინოგენული მდგომარეობა, ენერგო და სატრანსპორტო კოლაფსი, რასაც შედეგად ქვეყნის ეკონომიკის ვარდნა, უმუშევრობა და ინფლაცია მოჰყვა. ამ მძიმე მემკვიდრეობის ფონზე ქვეყანას ხელახლა მოუწია რთული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამოსვლა. დღემდე, სახელმწიფოს უპირველეს გამოწვევად, ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება რჩება. [12, 3]

გარდამავალი პერიოდიდან (1995-2003) მოყოლებული, საქართველომ ეკონომიკის ზრდის სტაბილურ მაჩვენებელს ვერ მიაღწია, რაც დამოკიდებული იყო დიდ საინვესტიციო პროექტებზე. ამის შედეგად, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მოუწია სოფლის მეურნეობის სექტორში გადანაცვლება, რამაც ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად ვარდნა გამოიწვია. დასუსტდა სახელმწიფო ინსტიტუტები და გაიზარდა კორუფციის მაჩვენებელი. 2004 წლიდან მთავრობის ხისტმა და შეუვალმა პოლიტიკამ და ამასთან, ლიბერალურმა მეთოდებმა გამოიწვია ეკონომიკური ზრდის განვითარება. შემდგომ უკვე 2005-2006 წლების რუსულმა ემბარგომ

მნიშვნელოვნად დააზარალა განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნის ეკონომიკა. 2008 წლის აგვისტოს ომამაც გავლენა იქონია პროცესებზე, მაგრამ ამ შემთხვევაში უცხოელი პარტნიორების თანადგომით, სახელმწიფომ შეძლო კრიზისული სიტუაციის განმუხტვა.

პარალელურად, არადამაკმაყოფილებელი და დაბალია შრომის ბაზრის მაჩვენებელი, რაც შესაძლოა ლოგიკურიც იყოს. დასაქმებულთა უმრავლესობა სოფლად და არაფორმალურ სექტორში საქმდება. მეორე მხრივ, დამსაქმებლები განვითარების შეფერხების მთავარ ფაქტორად მუშახელის შესაბამისი უნარების არარსებობას ასახელებენ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიდგომა, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსის დარეგულირებისთვის.

1990-იანი წლების ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა გამოიწვია ქვეყნის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია. მიგრანტების დახმარება თავიანთი ოჯახებისთვის იყო ქვეყნის ეკონომიკისთვის წინგადადგმული ნაბიჯი. იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობისთვის ფულადი გზავნილები სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი მექანიზმი აღმოჩნდა. [39] უფრო მეტიც ექსპერტთა შეფასებებით მიგრაციიდან გამოგზავნილმა ფულადმა რესურსმა 2005-2006 წლებში, 800 მილიონიდან 1 მილიარდ \$-მდე ზრდა განიცადა, ხოლო 2010 წლის მონაცემებით, ფინანსური გზავნილები ქვეყანაში პირდაპირ განხორციელებულ უცხოურ ვალუტას მნიშვნელოვნად აღემატებოდა. [40, 30]

მიგრაციის მასშტაბებმა, მეორე მხრივ ასევე, უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. საქსტატის მონაცემებით, ბოლო 20 წლის მანძილზე, დაახლოებით მილიონმა ადამიანმა დატოვა საქართველო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გათვლებით, 2050 წლისთვის საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით მილიონით შემცირდება. ასევე ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია სოფლად მცხოვრები ადამიანების ქალაქში გადასახლება, რაც კიდევ უფრო უარყოფითად აისახა ეკონომიკაზე. [39, 3-8]

დღესდღეობით, საქართველო შედის იმ ქვეყნების ჩამონათვალში,

რომელთა მოსახლეობის დაქირავებით დასაქმებული მუშახელი საზღვარგარეთ უფრო მეტია, ვიდრე თავის ქვეყანაში. [40 გვ.30]

პრობლემების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია ეფექტური რეფორმების გატარება ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: ჯანდაცვა, სოციალური დახმარება, დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა. პროცესში შესაძლებელია ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ამ მიმართულებით, რაც დაეხმარება ქვეყანას სიღარიბის შემცირებაში და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. [41, 1-4]

სოციალური დაცვა საქართველოში ძირითადად სამი მნიშვნელოვანი ელემენტისგან შედგება, ეს არის: პენსიები, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარებები, რომლებიც თავის მხრივ გადანაწილებულია სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებში. ქვეყანაში არსებობს სადღეღამისო სათემო სერვისები შ.შ.მ. პირებისთვის და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის, მაგრამ მათი გავრცელების არეალი მცირეა და სრულად არ მოიცავს ყველა მუნიციპალიტეტს.

სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული იყო 3.854.900.0 ლარი; აქედან თანხის უმეტესი ნაწილი - 2.600.000.0 ლარი, მიმართულია საპენსიო ფონდში (2021 წლის ბიუჯეტის გეგმა), პენსიის გაცემის უზრუნველსაყოფად. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალურ დახმარებაზე (სოციალურ შემწეობებზე) მიმართულია 891.000 ლარი. ჯანმრთელობის დაცვის და მისი შესაბამისი ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 1.920.516 ლარი, საიდანაც მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვაზე 800.000 ლარია გამოყოფილი.

ყველაზე დიდი სოციალური პროგრამა, რასაც სახელმწიფო თავის მოქალაქეებისთვის ახორციელებს, არის მათი საპენსიო უზრუნველყოფა. იმისათვის, რომ ხანდაზმულ ადამიანებს ჰქონდეთ საშუალება დაიკმაყოფილონ მათი აუცილებელი საჭიროებები ინფლაციასთან მიმართებაში, მთავრობამ საკანონმდებლო დონეზე შემოიღო პენსიის ინდექსაცია, ხოლო შემდგომ სახელმწიფო ბიუჯეტში უზრუნველყო შესაბამისი რესურსის გათვალისწინება ინდექსაციასთან მიმართებაში. ინდექსაციის შესაბამისად,

ყოველწლიურად 70 წლამდე ასაკის პენსიონერისათვის, ბოლო 12 თვის ინფლაციის დაანგარიშებით პენსია არანაკლებ 20 ლარით და 70 წელს და ზემოთ პენსიონერისთვის, ინფლაციისა და ბოლო 6 თვის განმავლობაში, მშპ – ზრდის მაჩვენებლის 80%-ის ჯამის გათვალისწინებით, არანაკლებ 25 ლარით გაიზრდება. საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილია პენსიის 70 წლამდე – 300 ლარი და 70 და მეტი წელი – 350 ლარამდე ზრდა. [44, 40] პენსიის მიღებაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლის ასაკიდან, ხოლო მამაკაცებს – 65 და ის მიეცემათ მთელი სიცოცხლის მანძილზე, გარდა კანონისმიერი განსაკუთრებული შემთხვევებისა. [43]

საქართველოში არსებობს პენსიის გაცემის რამდენიმე სახეობა, როგორცაა ასაკობრივი, შ.შ.მ. პირებისთვის განკუთვნილი, მარჩენალდაკარგულთა – 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთათვის განკუთვნილი პენსიები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებული პირებზე. ჩამოთვლილთა გარდა, სახელმწიფო გასცემს კომპენსაციებსა და სტიპენდიებს, იმ შემთხვევაში თუ ნამსახურობის ვადა ამოიწურა, 65 წლის ასაკს მიაღწია, პიროვნებას დაუდგინდა შეზღუდული შესაძლებლობა, გარდაიცვალა მარჩენალი ოჯახში. [45]

პენსიის მიმღებთა საერთო რაოდენობას საქსტატის მონაცემების შესაბამისად 2020 წელს შეადგენს 958.317 პენსიონერი, მათ შორის: ასაკით პენსიონერი 783.705 ადამიანი, სოციალური პაკეტის მიმღები 174 612. აქედან, შშმ – 126 638; მარჩენალდაკარგული – 21 978; პოლიტრეპრესირებული – 108; სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები – 10 013; ომის მონაწილეები – 15 493; საყოფაცხოვრებო სუბსიდირების მიმღებნი – 375 და სხვა – 7; ეს მონაცემები ყოველწლიურად მზარდია (ცხრ. 1). [46]

სოციალური მხარდაჭერა მიმართულია იმ პირებზე, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს მზრუნველობას, ამავდროულად არიან უსახლკაროები და უკიდურეს სიღატაკეში. მოსახლეობის სოციალურ მხარდაჭერას სახელმწიფო ახორციელებს საარსებო შემწეობის სახით, გასცემს რეინტეგრაციის

შემწეობას, მინდობით აღზრდის ანაზღაურებას, სრულწლოვან პირზე ოჯახური გარემოს შექმნის ანაზღაურებას, არაფულად სოციალურ დახმარებას და სოციალურ პაკეტებს. [47]

ცხრილი 1. საქსტატი - პენსიის მიმღებთა რაოდენობა წლების მიხედვით

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა, სულ, ათასი	857.0	866.2	874.9	887.3	898.1	910.0	934.3	958.3
მ. შ. პენსიის მიმღები (ასაკით პენსიონერი), ათასი	686.7	697.2	707.7	720.2	732.1	745.0	762.6	783.7

წყარო: საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>)

საარსებო შემწეობის მისაღებად მოქალაქემ უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით და სპეციალურად შეავსონ ოჯახის დეკლარაცია, სადაც აისახება სოციალურ-ქონებრივი მდგომარეობა. ამის შემდგომ, სპეციალური პროგრამის მეშვეობით ხდება ოჯახისთვის შესაბამისი სოციალური (ნედლი) ქულის მინიჭება. [9, 243-244]

სოციალური შემწეობების სახით სახელმწიფო ასევე გასცემს დევნილთა შემწეობას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის. [48] სახელმწიფო გასცემს საყოფაცხოვრებო სუბსიდიას, მოსახლეობის განსაკუთრებულ სეგმენტზე, როგორებიცაა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლნი, ომის ვეტერანები, ომში დაღუპულ სამხედროთა შვილები. დახმარება გაიცემა ასევე მარტოხელა პენსიონერებზე, ბრმებზე, ობლებზე, შშმ პირებზე. სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ომში დაღუპული სამხედროების ოჯახის წევრებისთვის დახმარება ტრანსფერის სახით გაიცემა. მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე დახმარება გაიცემა როგორც საპენსიო დანამატის სახით, ისე სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში. [12, 3-4;11] საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2020 წელს რეგისტრირებულია 330 943 ოჯახი, ხოლო საარსებო შემწეობას იღებს – 146 619 ოჯახი. [46]

სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს პენსიებისა

და სოციალური დაცვის პარალელურად, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს. პრიორიტეტულია დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა და მისი პრევენცია, პირველადი ჯანდაცვა და მისი რეფორმა, ოჯახის ექიმის როლის გაზრდა საზოგადოებაში, ციფრული ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის დანერგვა. ადამიანის ჯანმრთელობა და მისი შენარჩუნება მნიშვნელოვანი მონაპოვარია სახელმწიფოსთვის, ვინაიდან დაავადებათა დროული დიაგნოსტიკა და მისი პრევენცია მოითხოვს ნაკლებ ფინანსურ დანახარჯებს, როგორც სახელმწიფოსგან, ასევე პაციენტის პირადი სახსრებიდან.

გარდა სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლებისა, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობის და მათი აუცილებელი და საჭირო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. მუნიციპალიტეტების ჩართულობა ამ მიმართულებით განხილულია თბილისის მაგალითზე, რომლისთვისაც ისევ მნიშვნელოვან გამოწვევად და პრიორიტეტად რჩება ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარებების მიმართულებით, თბილისის მაცხოვრებელთათვის იმ პროგრამების დაფინანსება, რაც მათ საჭიროებებს დააკმაყოფილებს. გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახთა სხვადასხვა სახის და კატეგორიის დახმარება, შ.შ.მ. პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათებით სარგებლობა, მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა, სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ოჯახების სხვადასხვა სოციალური დახმარებები, მრავალ სხვა შეღავათთან ერთად და ა.შ.

ფინანსდება ჯანმრთელობის მდგომარეობის ისეთი დაავადებები, როგორებიცაა აუტიზმი ბავშვებში და მისი აბილიტაცია, ხორციელდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტები, დაავადებათა სკრინინგული მომსახურება და ტრანსპლანტაცია.

სოციალური დაცვის კუთხით ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი

სერვისების დაფინანსება, რაც აუცილებელია ბენეფიციართა ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. თბილისში რეგისტრაციის მქონე და სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელთ, მრავალშვილიან ოჯახებს, შ.შ.მ. პირებს და სხვა შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფთ მიეწოდებათ სოციალური საჭიროებების შესაბამისი სერვისები. შ.შ.მ. ბავშვებს უფინანსდებათ საკურორტო სარეაბილიტაციო მომსახურება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით სარგებლობა, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიანებს ეწევათ სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებები, ფინანსდება მუნიციპალური თავშესაფრის ხარჯები. [38]

სახელმწიფოს ძალისხმევა გაატაროს ხელმისაწვდომი სოციალური პოლიტიკა, არსებული პრობლემის ბოლომდე გადაჭრას მაინც ვერ ახერხებს. ისევ გამოწვევად რჩება ჯანდაცვის კუთხით მოსახლეობის წილობრივი მონაწილეობით გადასახდელი თანხის საკითხი, ვინაიდან ადამიანს, ხშირ შემთხვევაში მისი გადახდის ფინანსური რესურსიც არ გააჩნია, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში ყველა გასაწევ მომსახურებაზე, შესაბამისი ფასებია განსაზღვრული. [49] მოქალაქეს, კლინიკაში მიმართვისას, მომსახურებას კლინიკის მიერ დადგენილი ფასების ფარგლებში სთავაზობენ, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფოს განსაზღვრულ ასანაზღაურებელ თანხას. განსხვავების შევსებას დამატებით, თანამონაწილეობის პრინციპით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს. პრობლემურია მოქალაქის თანაგადახდის ფარგლებში დარჩენილი გადასახდელი თანხაც, ვინაიდან ჩასატარებელი მომსახურების ფასის სიდიდიდან გამომდინარე, თანაგადახდის პროცენტული მაჩვენებელიც მოქალაქისთვის დაუძლეველია. სახელმწიფოს ამ მიმართულებით მართებს ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა ეს უთანასწორობა სამედიცინო სერვისებში იყოს საჭიროებებთან მიახლოებული და სახელმწიფოსგან დაფინანსებული პროგრამების უზრუნველყოფა ემსახურებოდეს რეალურ შედეგს, ფინანსების ხარჯვის მიზნობრიობის ეფექტურობას. გაზრდილი სამედიცინო სერვისიდან გამომდინარე მოქალაქეს არ უნდა უწევდეს უარის თქმა მისაღები სერვისის ჩატარებაზე.

ამ ზოგად მდგომარეობას, მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში დაემატა COVID-19-ის პანდემია და მისი თანმდევი რყევები, ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა და გაუფასურება, რამაც გამოიწვია ფასების რეკორდული ზრდა და არასტაბილურობა.

სოციალური განვითარება საქართველოში უნდა დაეყრდნოს სწრაფ და ეფექტურ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისათვის და მოსახლეობის დასაქმებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას. ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული სარგებელი უნდა გადანაწილდეს საზოგადოებაში სამართლიანად, რა დროსაც მაქსიმალურად იქნება დაცული თანასწორობის პრინციპი. აუცილებელია ქვეყანაში შემუშავდეს თავისუფალი ეკონომიკური საბაზრო ურთიერთობები, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანი კონკურენციის ზრდას ეკონომიკის ყველა მწარმოებლისათვის. ამასთან, აუცილებელია განვითარებაზე ორიენტირებული რეგულაციები, რაც ბიზნესის ხელშეწყობას მოემსახურება და ხელს შეუშლის უკანონო მონოპოლიზაციას. [8, 23-34]

ამ მძიმე მდგომარეობის ფონზე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ზრუნვა და თანადგომა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური ყოფის შესამსუბუქებლად, რაშიც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება.

2.2. სოციალური პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები

სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლება შესაბამისი სამსახურების მეშვეობით უზრუნველყოფს. ცენტრალურ დონეზე, სოციალური პოლიტიკის განმახორციელებლად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გვევლინება, თავისი შესაბამისი სამსახურებით თუ დანაყოფებით. [50] ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების, წარმართვას და განხორციელებას სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო ხელმძღვანელობს, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სოციალური პროგრამებისა

და სახელმწიფო გასაცემების მიკუთვნების საკითხების გადაწყვეტას, მოქალაქეთა მიმართვიანობის შესწავლას, მოკვლევას, განხილვასა და საბოლოო აღსრულებას. [51]

სოციალური პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკას თბილისის მუნიციპალიტეტში, ისე როგორც ცენტრალურ დონეზე, განსაზღვრავს საკანონმდებლო ბაზა, სადაც ის ადგილობრივ თვითმმართველობაში არჩეულ თუ დანიშნულ წევრებს უწესებს ანგარიშვალდებულებას, რომ ნებისმიერ დროს მიიღონ მოქალაქე და მას, მისთვის საჭირო და აუცილებელი საკითხების გადაწყვეტაში დროული დახმარება გაუწიონ. მუნიციპალიტეტის ორგანოები და იქ დასაქმებული თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობისათვის შექმნან სათანადო პლატფორმა, შესაბამისი ორგანიზაციულ და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ხელი შეუწყონ კოლეგიურ დაწესებულებაში მოქალაქეთა სხდომებზე დასწრებას, განსახილველ საკითხებთან მიმართებით მათი აზრის დაფიქსირებას.

მოქალაქეთა ჩართულობის და აქტივობის შედეგია (რაიონული გამგეობებისადმი მიმართვიანობის, მაჟორიტარ დეპუტატებთან და საკრებულოს რიგით წევრებთან შეხვედრებზე წამოყენებული მოთხოვნების ანალიზი), ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვა. ვინაიდან იქ გაწერილი პროგრამები და პროექტები მორგებულია ადგილობრივ მოსახლეობის თხოვნებს და საჭიროებებს, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის მჭიდრო კავშირი მიუთითებს ქვეყანაში დემოკრატიული განვითარების ტენდენციებზე.

სოციალური პროგრამების მიწოდებისას, დიდ როლს თამაშობს პროფესიონალიზმი, ანუ სწორი მენეჯმენტი. იქ, სადაც პროფესიონალიზმის ნაკლებობაა, სამართლიანი განაწილების პრინციპი დარღვეულია, ზედმეტად ბიუროკრატიულია შიდა წარმოების მექანიზმები, გაზრდილია ადმინისტრაციული ხარჯები და შესუსტებულია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების პრინციპები. აქედან გამომდინარე, სოციალური პოლიტიკის

განმახორციელებელი მენეჯმენტის სისტემა მუდმივ ცვლილებებს განიცდის. მნიშვნელოვანია პროფესიონალი კადრის მენეჯერად ჩამოყალიბება, რადგანაც სოციალური კეთილდღეობის მიმწოდებლები სახელმწიფოებრივად უნდა აზროვნებდნენ და გრძნობდნენ ფინანსურ პასუხისმგებლობას. ისინი მუდმივად უნდა იაზრებდნენ თანხის ხარჯვის მიზნობრიობასა და გეგმურობას.

მუნიციპალური მმართველობის მომავალი განვითარებისთვის, ადამიანური რესურსების სწორად შერჩევა და მართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. [37, გვ 259]

გარდა იმისა, რომ საჯარო სექტორში საქმიანობა, კერძო სექტორის მსგავსად მოითხოვს დასაქმებულის მორალურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მიღებული პრაქტიკაა დამატებითი ფინანსური კონტროლის მექანიზმი, შიდა თუ გარე აუდიტის მეშვეობით. თუმცა, რეალურად აუდიტი მხოლოდ ფინანსური ნაწილით არ შემოიფარგლება და მას უწევს საჯარო პერსონალის მომსახურების ხარისხის შეფასება. ასევე, იმის გაანალიზება, მიმდინარე ქმედებით, რამდენად მიღწევადია დასახული მიზნის შესრულება. ხშირად დაგეგმილი მიზნის ბოლომდე მიღწევა წინააღმდეგობრივია. მაშინ, როცა ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს სოციალური ხარჯების შემცირებას, ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის გაზრდას, ამით შესაძლოა ამავედროულად, ხელი შეეშალოს ადგილობრივ დონეზე დაგეგმილი სოციალური პროექტების შესრულების და განვითარების მიზანს.

სოციალური პოლიტიკის პრაქტიკაში განმახორციელებელ ორგანოს, თბილისის მუნიციპალიტეტში მერიის სტრუქტურული ერთეული, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური წარმოადგენს, რომელიც შექმნილია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის და კონტროლის განხორციელების მიზნით, [52] ხოლო თბილისის რაიონულ გამგეობებში, გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა განხორციელების მიზნით, ფუნქციონირებს სოციალური პროექტების მართვის განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური მიმართულების პროექტების დროულად და ხარისხიანად მიწოდებას. [53]

დასახელებული სამსახურების მეშვეობით თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი სოციალური პროექტების მართვასა და პრაქტიკაში განხორციელებას. სოციალურ პროექტთა სახეობები სამსახურებისთვის განსხვავებულია. იმ შემთხვევაში, თუ საკითხი თავისი სირთულით არ ცდება რაიონული გამგეობის კომპეტენციას და უფლებამოსილებას, მისი გადაწყვეტა და დაკმაყოფილება ხდება გამგეობის დონეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხს განიხილავს თბილისის მერიის საქალაქო სამსახური. პრაქტიკულ ნაწილში, მოქალაქეთა მიერ განცხადებების წარდგენის შემდგომ, შესაბამისი სამსახურები შეისწავლიან საკითხს და თემატიკის მიხედვით ახდენენ სისტემატიზაციას. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, საკითხი კომისიაზე განიხილება და მიღებული შედეგი მოქალაქეს ეცნობება. სოციალური პროგრამებით სარგებლობის წესები და კრიტერიუმები კანონით რეგულირდება, სადაც უმნიშვნელოვანესი თანასწორობის პრინციპის დაცვა და პროგრამით მოსარგებლეთა მეტი რაოდენობის უზრუნველყოფაა.

თავი 3. საქართველოს საპენსიო სისტემა და მისი განვითარების ტენდენციები

3.1. საპენსიო რეფორმის მნიშვნელობა და საჭიროება

ქართული საპენსიო სისტემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ძველი მოდელის გამტარებლად დარჩა. პენსია გადაიხდებოდა სოციალური შენატანებიდან და მის ადმინისტრირებას ერთიანი საპენსიო ფონდი უზრუნველყოფდა. საპენსიო ვალდებულება ქვეყნისთვის მაშინაც ძალიან მაღალი იყო.

გარდამავალი პერიოდის მწვავე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ისე, როგორც სხვა ყველა სფეროში, საპენსიო სისტემასაც სერიოზული პრობლემა შეუქმნა. იმ ვითარებაში, პენსიის გაცემის მიზნის შენარჩუნება ვერ მოხერხდა და ის სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული გახდა, რა დროსაც პენსია საპენსიო ასაკის ყველა პირისთვის თანაბარი გახდა.

1998 წლიდან – 2004 წლამდე პენსიის ოდენობა 14 ლარს შეადგენდა. მიმდინარე ინფლაციის გამო მისი მსყიდველობითუნარიანობაც ძალიან დაბალი იყო. 2004 წლიდან კი დაიწყო პენსიის „აღმავლობის“ გზა. [54, 78-79]

1995 წელს შემოღებული იქნა სოციალური პენსია, რომელიც დაანგარიშდებოდა მიმდინარე წლის საპენსიო ფონდის შემოსავლების პენსიონერთა რაოდენობაზე გაყოფით. პარალელურად იგეგმებოდა საპენსიო რეფორმის გაგრძელება, რასაც მიმდინარე პერიოდის ეკონომიკურმა გავლენებმა ხელი შეუშალა. [55, 2]

1996 წელს, არსებული მდგომარეობისა და საბიუჯეტო ხარჯების შემცირების მიზნით, საპენსიო ასაკი 5 წლით გაიზარდა, რაც შრომითი პენსიისთვის 65 (კაცი) და 60 (ქალი) წელს შეადგენდა, ხოლო სოციალური პენსიისთვის 70 და 65 წელს.

2003 წელს იყო მზაობა საპენსიო სისტემა გადასულიყო სავალდებულო სადაზღვევო პრინციპზე, რაც მოიცავდა საბაზისო და სადაზღვევო ნაწილს. ამასთან, საკანონმდებლო ბაზაც შემუშავდა, რასაც შემდგომ პოლიტიკურმა ცვლილებებმა ხელი შეუშალა, რომელიც 2005 წელს „სახელ-

მწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მიღებით საერთოდ გაუქმდა. ახალი კანონით, პენსიის უზრუნველყოფის წყაროდ ისევ სახელმწიფო ბიუჯეტი დარჩა და ამავდროულად, პენსია განისაზღვრა ყველასათვის ერთნაირად, შრომითი სტაჟისა და შენატანების გათვალისწინების გარეშე. [56, 80].

2007 წლის სექტემბრიდან 2012 წლის სექტემბრამდე პენსია შედგებოდა ძირითადი პენსიისა და პენსიის დანამატისაგან, სამუშაო სტაჟის შესაბამისად და განისაზღვრებოდა შემდეგნაირად: პენსიონერს, რომელსაც ჰქონდა 5 წლამდე შრომის სტაჟი ემატებოდა – 2 ლარი; 5-15 წლამდე – 4 ლარი; 15-25 წლამდე – 7 ლარი; 25 და ზევით – 10 ლარი.

2010 წელს რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს საპენსიო სისტემის პრაქტიკაში რეალიზაციას და ის, დღევანდელი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ დაქვემდებარებაში გადავიდა. [55, 6]

2012 წლის აგვისტოში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პენსია ყველა პენსიონერისათვის გათანაბრდა და გახდა ფიქსირებული. გაუქმდა საპენსიო დანამატი, სტაჟისა და ნამსახურობის წლების მიხედვით. პენსია 67 წლის და ზემოთ პირებისთვის გაიზარდა 125 ლარამდე, ხოლო სხვა დანარჩენისთვის გახდა 110 ლარი. 2013 წლიდან ასაკობრივი განსხვავებულობაც მოიხსნა და ყველასათვის ერთნაირად 125 ლარი გახდა. 2013 წლის სექტემბრიდან პენსია 150 ლარამდე გაიზარდა. 2004 წელს რეფორმის დაწყებიდან – 2021 წლის მიმდინარე ეტაპამდე, საპენსიო თანხა (ეტაპობრივად) დაახლოებით 14-ჯერ გაიზარდა (14 ლარიდან – 240 ლარამდე).

მოქმედი საპენსიო რეგულაციებით, საპენსიო ასაკად განსაზღვრულია ქალებში 60 წელი და მამაკაცებში 65 წელი. სისტემა განსაზღვრავს ყველასათვის ერთნაირ მიდგომას. შესაბამისი ასაკის მიღწევისთანავე საქართველოში, ყველა მოქალაქეს ენიშნება ასაკობრივი ანუ სოციალური პენსია, რომლის მოცულობა 70 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის განისაზღვრება 240 ლარით, ხოლო 70 და მეტი ასაკის ადამიანისთვის – 275 ლარით. არსებული პენსია ძირითადად წარმოადგენს ადამიანის შრომითი შესაძლებლობების

შემცირების მაკომპენსირებელ შემოსავალს. ის დაფუძნებულია სოლიდარობის პრინციპზე და მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტია მისი დამფინანსებელი. პენსია, არ მოიცავს დანამატს ან რაიმე გათვლას შრომისა და ნამსახურობის წლების შესახებ. ფიქსირებული პენსიის არსი ძირითადად ემსახურება სიღარიბის შემცირებას ქვეყანაში, ანუ პენსიონერთა სიღარიბისგან დაცვას ხანდაზმულობის ასაკში, თუმცა საკითხავია, თუ რამდენად შეუძლია მას ეს დაცვა, მაშინ, როცა მისი შეფარდება საშუალო ნომინალურ ხელფასთან მიმართებით 19%-ია.

პენსიის დანიშნულება და მიზანი ადამიანის ცხოვრების დონის ისეთ პირობებში შენარჩუნებაა, რაშიც ის საპენსიო ასაკამდე ცხოვრობდა. [40 გვ.49]. არსებული პენსია წარმოადგენს, საპენსიო უზრუნველყოფის სამსვეტიანი მოდელის პირველი სვეტის მაგალითს, რომელიც თავისი არსით სიღარიბესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ის ამავდროულად ხასიათდება მნიშვნელოვანი ხარვეზებით, როგორცაა სამართლიანობა, ეფექტიანობა და ფინანსური სტაბილურობა. მოქმედი საპენსიო მოდელის უსამართლობას განაპირობებს მისი დაბალი ჩანაცვლების კოეფიციენტი 19%-ი, მაშინ როცა ეს ჩანაცვლება სხვა ქვეყნებში 40%-დან – 78% მერყეობს (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნები (OECD), ევროკავშირის ქვეყნები).

მოქმედი საპენსიო ხარჯები, რომელიც პენსიონერზე გაიცემა ძალიან მცირეა და ის სულ მცირედით ცდება საარსებო მინიმუმს (ცხრ. 2).

ცხრილი 2. საქსტატი - შრომისუნარიანი მამაკაცების საარსებო მინიმუმი

2021 წელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი, ლარი	195.6	197.2	201.0	202.8	205.6	214.5	218.3	221.1	216.3	224.2		

წყარო: საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi>)

საპენსიო სისტემისთვის მნიშვნელოვანი ხანდაზმული ადამიანის საბაზისო შემოსავლის ქონა და სიღარიბის დაძლევაა, მაგრამ ის ასევე არასამართლიანია იმ ადამიანებთან მიმართებით, რომელთაც თავიანთი

საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდათ შეტანილი საზოგადოებრივი თუ საგადასახადო მიმართულებით ვალდებულებების შესრულებაში. უფრო მეტიც, იმ ადამიანთათვის, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მაღალი შემოსავლის გამომმუშავებლები იყვნენ, მათთვის დაბალია არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტი. პენსიას, ჩანაცვლების შედარებით მაღალი მაჩვენებლის შეთავაზება შეუძლია დაბალშემოსავლიანი ადამიანებისთვის, ვიდრე საშუალო და საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონეთათვის. აქედან გამომდინარე, სოციალური პენსია ძირითადად წარმოადგენს საზოგადოების შეძლებული ფენიდან შემოსავლების განაწილებას, შედარებით დაბალშემოსავლიან კატეგორიაზე.

ერთსვეტიანი საპენსიო სისტემა ხასიათდება არაეფექტურობით. მას არ შეუძლია ჩანაცვლების მაღალი კოეფიციენტის შემოთავაზება, მაშინაც კი, როცა ქვეყანაში ეკონომიკური განვითარებისა და ერთ ადამიანზე საშუალო შემოსავლის გათვალისწინებით ამის მიღწევა შესაძლებელია. მიუხედავად პენსიის ეტაპობრივად გაზრდისა და საპენსიო ხარჯების მკვეთრი ზრდისა, ჯერ კიდევ დაბალია ჩანაცვლების კოეფიციენტი. ერთსვეტიანი საპენსიო სისტემა ასევე არაეფექტურია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვისაც, ვინაიდან აქ გადახდილი თანხა ხმარდება ხარჯვას და ის არ ქმნის დანაზოგებს და საინვესტიციო გარემოს, როგორც ამას მეორე და მესამე სვეტი უზრუნველყოფს. მეორე და მესამე სვეტი მნიშვნელოვნად ზრდის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს.

მოქმედ საპენსიო სისტემას ასევე არასამართლიანს უწოდებს ბელგიელი მკვლევარი მარტინ ჰუთსებაუთი და თვლის, რომ ის უბიძგებს პენსიონერს არაფორმალური მუშაობის შესრულებისკენ და ამის მიზეზად სამუშაო ისტორიის, ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობის შეფასების და პენსიაზე ადრე გასვლის შესაძლებლობის არარსებობას ასახელებს. [57]

დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, მოქმედი საპენსიო სისტემა ფინანსური სტაბილურობის მიმართულებითაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. 2030 წლისთვის მოსალოდნელია სამუშაო ძალის 77,000 ადამიანით შემცირება და პენსიონერთა რაოდენობის 212,000

ადამიანით გაზრდა, რაც დასაქმებულ ერთ ადამიანზე, პენსიონერთა რაოდენობის 31%-დან – 42%-მდე გაზრდას გულისხმობს. ბალანსის დარღვევა დასაქმებულებს მძიმე ტვირთად დააწვება. შესაბამისად, ამ პირობებით ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა შეუძლებელი იქნება. პენსიონერთა რაოდენობის ყოველწლიური მატება სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც საპენსიო სისტემისთვის კიდევ უფრო მეტი რესურსის მოძიებასა და ფინანსური სტაბილურობის არსებობას მითხოვს. [58]

მსოფლიო ბანკი, თავის ანგარიშებში, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამომავლოდ ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდას განვითარებული ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით, რაც გამოიწვევს საპენსიო უზრუნველყოფისთვის გასაცემი თანხების ზრდას, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის ბიუჯეტს და გადასახადის გადამხდელ მოსახლეობას, ვინაიდან ისიც დაბერებად ერების კატეგორიას მიეკუთვნება (ცხრ.3). [46]

ცხრილი 3. საქსტატი - ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდა წლების მიხედვით

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა, სულ, ათასი	857.0	866.2	874.9	887.3	898.1	910.0	934.3	958.3
მ. შ. პენსიის მიმღები (ასაკით პენსიონერი), ათასი	686.7	697.2	707.7	720.2	732.1	745.0	762.6	783.7

წყარო: საქსტატი (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>)

საქართველოში, მოსახლეობის დაბერების სწრაფი განვითარების ტემპი, მსოფლიო ბანკის 2010 წლის მონაცემებით 14%-ს შეადგენდა, ხოლო 2030 წლისთვის შესაძლოა მაჩვენებელმა 21 %-ს მიაღწიოს. მისივე განმარტებით, ეს პროცესი მნიშვნელოვანი წნეხი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. ამიტომ აუცილებელია გამოსავლის ძებნა, საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით, რათა მომავალში ბიუჯეტს გაუადვილდეს ამ

პროცესის უმტკივნეულოდ გადატანა. მსოფლიო ბანკი თავის ანგარიშებში (The World Bank, 1994) იმ თავითვე ხაზს უსვამდა, რომ იმ ფონზე, როცა ასე მზარდია მოსახლეობის დაბერება, სახელმწიფოს საპენსიო სისტემა ვერ გაუძლებს ტვირთს და ამისთვის უმჯობესია დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოტანა, რომელიც გახდება სამომავლოდ საპენსიო სისტემის ძირითადი შემადგენელი, ხოლო სახელმწიფო თავისი საბაზისო პენსიით კი უზრუნველყოფს სიღარიბის შემცირებას. [59]

პენსიის მიმღებთა რაოდენობა საქართველოში წლების მიხედვით მზარდია და ის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით ასე გამოიყურება. 2016 – 720,194; 2017 – 720,067; 2018 – 745,001; 2019 – 762,621; 2020 – 738,705; ხოლო რაც შეეხება თბილისს, მისი შედეგები ასეთია: 2016 – 202,418; 2017 – 207,883; 2018 – 213,597; 2019 – 221,092; 2020 – 229,198. [46]

სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ხარჯებიც შესაბამისად ყოველწლიურად განიცდის მატებას: 2016 – 3 150 058.1 ათ. ლარი, რაც ბიუჯეტის ხარჯების 36.0%; 2017 – 3 324 267.1 ათ. ლარი, ხარჯების 35.5%; 2018 – 3 501 326.1 ათ.ლარი, ხარჯების 36.7%; 2019 – 3 946 606.1 ათ. ლარი, ხარჯების 39.6%; 2020 – 5 343 171.8 ათ. ლარი, ხარჯების 42.6%; მათ შორის, საპენსიო უზრუნველყოფა, ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა თავისი ფინანსური დანახარჯებიდან გამომდინარე. შესაბამისად მზარდია საპენსიო უზრუნველყოფის საბიუჯეტო დანახარჯებიც წლების მიხედვით: 2016 – 1 571.0 მლნ. ლარი; 2017 – 1 685.9 მლნ. ლარი; 2018 – 1 716.7 მლნ. ლარი; 2019 – 1 938.2 მლნ. ლარი; 2020 – 2 246.2 მლნ.ლარი. [60]

ასაკობრივი პენსიის ძირითადი ფუნქცია დღეს საქართველოში არის ხანდაზმულ ადამიანთა სოციალური დაცვა სიღარიბისგან, რაც ასევე დასტურდება სხვადასხვა კვლევებით, მათ შორის: 2010 წელს მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 100 ლარიანმა საპენსიო უზრუნველყოფამ ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი 15% შეამცირა, ხოლო UNICEF-ის მონაცემების მიხედვით, 75-85 წლის ხანდაზმულ ადამიანთა სიღარიბის დონე 37-დან –

10%-მდე შემცირდა. გამომდინარეობს, რომ სოციალური პენსია არის მნიშვნელოვანი ბრძოლის იარაღი სიღარიბის შესამცირებლად. თუმცა აქ საუბარია სიღარიბის შემცირებაზე და არა არსებული საბაზისო პენსიის საკმარისობაზე და მისით, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა-შენარჩუნებაზე. სამომავლოდ ის კიდევ უფრო დაკარგავს ამ ფუნქციას, ვინაიდან, მოსალოდნელია ხანდაზმულთა რაოდენობის ზრდა და სამუშაო ძალის მქონე ადამიანთა კლება. დღეს საქართველოში, საპენსიო ასაკის მოსახლეობის 95% სარგებლობს საპენსიო სისტემით, რაც მოთხოვნის დიდი მაჩვენებელია. იმისათვის, რომ სიბერე იყოს უზრუნველყოფილი, აუცილებელია გაზრდილი შემოსავლების არსებობა, ამიტომაც მნიშვნელოვანია საპენსიო რეფორმა, კერძო დანაზოგების სისტემის ჩამოყალიბება, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია.

საპენსიო რეფორმის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დაიწყო საუბარი. 2014 წელს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიაც „საქართველო 2020“ ეხება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. იმისათვის, რომ სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს ჩანაცვლების განაკვეთის მოსალოდნელ დონეზე დარჩენა, აუცილებელია განხორციელდეს საპენსიო რეფორმა. ამასთან, ამ ნაბიჯის გადადგმის მიზნობრიობას ამყარებს გაეროს მონაცემები, პენსიონერთა მოსალოდნელი ზრდასთან დაკავშირებით, რომელიც 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 25%-ს მიაღწევს, რაც თავის მხრივ სოციალური ხარჯების ზრდას გამოიწვევს. ამავე დოკუმენტით დასაბუთებულია ისიც, რომ აუცილებელია დღეს არსებული პენსიის ინფლაციის პრინციპთან მიბმა, რათა გათვალისწინებულ იქნეს მსყიდველობითუნარიანობა და პენსიონერთა სოციალური მდგომარეობა. [61]

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 3 730 000 შეადგენს, რაც წინა აღწერის მონაცემებიდან (4.4 მილიონი) განსხვავებულია. ამ მაჩვენებლებიდან გამომდინარე ნავარაუდევია, რომ 2060 წლისთვის მოხდება სამუშაო ძალის მქონე ადამიანთა 275,000-ით კლება. იგივე აღწერის შესაბამისად, 16-65 წლის

ასაკის ადამიანთა რაოდენობა დღეისათვის 2.35 მილიონია, თუმცა სამომავლოდ ნავარაუდევია 2.075 მილიონამდე კლება, რაც მკვეთრად აისახება საპენსიო ასაკის მოსახლეობის თანაფარდობაზე დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობასთან მიმართებაში. თუ დღეს ეს შედარება დასაქმებულსა და პენსიონერს შორის 30%-ია, 2060 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზრდება და შესაძლოა 50% გახდეს. თუ დღეს ოთხი დასაქმებული ინახავს ერთ პენსიონერს, 2060 წლისთვის ოთხ დასაქმებულს მოუწევს ორი პენსიონერის შენახვა, რაც საბიუჯეტო თანხებზე უარყოფითად იმოქმედებს.

2014 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, 2.47 მილიონი შრომისუნარიანი ადამიანიდან მხოლოდ 1.73 მილიონია აქტიური, ხოლო მათ შორის 1.1 მხოლოდ გადასახადის გამძღველი და 695 ათასი ადამიანი 6 თვეზე მეტი ხნით გადასახადის გამძღველი იმ ფონზე, როცა პენსიონერთა რაოდენობა 783 705 (2020 წლის მონაცემებით) ათასს აღემატება. როგორც ციფრებიდან ირკვევა, საკმაოდ დიდია თანაფარდობის დარღვევა დასაქმებულებსა და პენსიის მიმღებებს შორის. ეს თანაფარდობა 2030 წლისთვის 1.1 მიაღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ჯეროვნად ვეღარ უზრუნველყოფს სოციალური ვალდებულებების შესრულებას. ამ მდგომარეობაში საპენსიო რეფორმის აუცილებლობა მნიშვნელოვანია, რასაც ასევე ცხადყოფს, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზიც.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა მოქალაქეს აძლევს საშუალებას თვითონ დაგეგმოს საპენსიო შემოსავალი და არ იყოს ბიუჯეტზე დამოკიდებული. განვითარებული ქვეყნების უმეტესობა ცდილობს კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვას თავიანთ ქვეყნებში. კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა ემსახურება „განსაზღვრული დანაზოგის“ ჩვევის ჩამოყალიბებას (Defined Contribution). ფონდში დაგროვებული თანხის მოცულობა დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე, დასაქმების ხანგრძლივობაზე და საპენსიო ფონდის ამონაგებზე, რაც იქნება მოქალაქის მიერ საპენსიო ასაკში მისაღები სარგებელი. ახალი სისტემა ყველა შეფასებით უფრო სამართლიან, სოლიდარულ და გარანტირებულ მიდგომას ჰპირდება მოქალაქეებს. დაგროვებითი საპენსიო სისტემის მონაწილე პირები

ამავდროულად, მიიღებენ სახელმწიფო, საბაზისო პენსიას, ხოლო სოციალური და კერძო პენსია, ორივე ერთად უზრუნველყოფს უკეთესი ჩანაცვლების კოეფიციენტს. 6 % შენატანის ფონზე, საშუალო ხელფასის მქონე პირების ჩანაცვლების კოეფიციენტი დაახლოებით იქნება 30 %. მისაღები სარგებლის ძირითად კომპონენტი მაინც ყოველთვიური ხელფასია, რომლის პროცენტული მაჩვენებელიც ირიცხება ფონდში. საპენსიო ფონდში შენატანების ოდენობა განსაზღვრულია 6%-ით, მაგრამ შესაძლოა გარკვეული პერიოდის შემდგომ ამ მაჩვენებელმა ზრდაც განიცადოს. არის ქვეყნები (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები), სადაც იგივე მოდელით შენატანების პროცენტული მაჩვენებელი 3%-დან 9%-მდე დაინერგა, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებში კი 10%-დან – 16%-მდე. დანაზოგების (6 %) პროცენტული მაჩვენებელი ნაწილდება დამსაქმებელს, დასაქმებულსა და სახელმწიფოს ხელისუფლებას შორის. მთავრობის ჩართულობა ამ პროცესში არის მნიშვნელოვნად წამახალისებელი ფინანსური ფაქტორი მოქალაქეებისთვის. ფონდში არსებული შენატანები, მოგება და გასაცემი თანხები თავისუფლდება დაბეგვრისაგან და ისევე, როგორც სახელმწიფოს და დამსაქმებლის მიერ შეტანილი 2-2%. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საპენსიო სარგებელი ექვემდებარება დასაბეგრ შემოსავლის წყაროს, მაგრამ სახელმწიფო აქაც კეთილი ნების პრინციპით უდგება საკითხს და იყენებს დამატებით წახალისების ფორმას. 6% დაუბეგრავი შემოსავალი კიდევ უფრო გაზრდის სამომავლოდ ჩანაცვლების კოეფიციენტს. [55]

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საპენსიო სქემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, გარდა იმ მოქალაქეთათვის, რომელთაც კანონის ამოქმედების მომენტისთვის (2018 წლის 6 აგვისტო) ჯერ არ იყვნენ 40 წლის ასაკს მიღწეულები, ხოლო სხვა ნებისმიერ დასაქმებულ თუ თვითდასაქმებულ პირს, ვინც დასაქმებიდან თუ თვითდასაქმებიდან იღებს ფინანსურ შემოსავალს, ქალებს 55 წლამდე და მამაკაცებს 60 წლამდე. ასევე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის. [62]

საპენსიო სისტემამ ფუნქციონირება 2019 წლიდან გაცემულ ხელფა-

სებზე დაიწყო. მაღალშემოსავლიან პირებზე სახელმწიფო შენატანები ნაკლებია ან საერთოდ არ გაცივმა (წლის განმავლობაში შემოსავლის ჯამური თანხა: 24 000 ლარამდე – 2%, 24 000-დან – 60 000 ლარამდე – 1%, 60 000 ლარს ზემოთ – 0%). სისტემაში გაწევრიანების შემთხვევაში დასაქმებული გადა-რიცხავს ხელფასის განსაზღვრულ ოდენობას (2%) სახელმწიფოს მიერ შექმნილ საპენსიო ფონდში, მასთან ერთად კი სახელმწიფო (2%, 1%, 0%) და დამსაქმებელიც შეიტანს (2%) დასაქმებულის სასარგებლოდ. ფონდში დაგროვებული თანხების განკარგვას (ინვესტირებას), სპეციალურად შერჩეული კერძო კომპანია უზრუნველყოფს.

რეფორმის მიმართ განსხვავებული იყო ექსპერტთა მოსაზრებები და ისინი ძირითადად დაგროვებითი საპენსიო მოდელის ორ სხვადასხვა ვერსიაზე, სახელმწიფო და კერძო დაგროვებით სისტემების ჩამოყალიბებაზე მიუთითებდნენ.

სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო სისტემაში მოიაზრება სახელმწიფო პენსიის ფონდის შექმნა, სადაც შენატანებს განახორციელებს დამსაქმებელი დაქირავებულის სასარგებლოდ და დასაქმებული, რომელიც ხელფასიდან შენატანის სახით ჩარიცხავს განსაზღვრულ ოდენობას, რომლის მართვასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს. **კერძო დაგროვებითი პენსიის შემთხვევაში** კი, საპენსიო ფონდში თანხების შეტანას დაქირავებულის სახელზე გახსნილ ანგარიშზე ახორციელებს, როგორც დამქირავებელი, ისე დაქირავებული, თანხების მართვას კი კერძო კომპანია ახორციელებს, ხოლო სახელმწიფო მაკონტროლებლის ფუნქციას ასრულებს. ორივე მოდელის შემთხვევაში, სამომავლოდ მისაღები პენსიის ოდენობისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქის მიერ მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში საპენსიო ფონდში შეტანილი თანხების მოცულობა და ამ თანხების განკარგვის შედეგად მიღებული დამატებითი სარგებელი. [54]

საპენსიო გასაცემები ბიუჯეტში ყოველწლიურად განიცდის ზრდას. ამ ფონზე საპენსიო სისტემის რეფორმა და დაგროვებით საპენსიო მოდელზე გადასვლა წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც თავისუფალი ფულის მოპოვების უალტერნატივო გზაა. განხორციელებული რეფორმა მნიშვნე-

ლოვანი შეღავათია, როგორც ქვეყნის ფინანსური პოლიტიკისთვის, ისე პენსიონერთა კეთილდღეობისთვის. კონსერვატიული გათვლებით 6 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდში დაახლოებით 5 მილიარდი ლარის მობილიზება უნდა მოხდეს, რაც შესაძლოა მოხმარდეს ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სისტემაში ჩართვის ნებაყოფლობითი პრინციპი, რამდენად სარგებლიანია. დაგროვებითი საპენსიო სისტემა თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს და მისი შედეგი მნიშვნელოვანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. [63]

ახალი საპენსიო სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებით, საპენსიო სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული აუდიტის ფინანსური ანგარიში 2019 (IFRS) თანახმად, 2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობდა 795 ათასი მონაწილე. საპენსიო სააგენტომ 2021 წლის 2 ნოემბერს გამოაქვეყნა სტატისტიკური მონაცემები დაგროვებით საპენსიო სისტემასთან მიმართებაში, სადაც დეტალურად განმარტა, რომ მიმდინარე ეტაპისთვის აქტივების მოცულობა შეადგენდა 1.83 მილიარდ ლარს, სადაც 234 მილიონი ლარი დარიცხული სარგებელია. აქტივები განთავსებულია ქართულ კომერციულ ბანკებში, რომელსაც ერიცხება ეფექტური წლიური სარგებელი 11.1% ოდენობით. ფონდში დაგროვილი თანხების 62% დაბანდებულია სადეპოზიტო სერტიფიკატებში და შესაბამის ვადიან დეპოზიტებში, ხოლო 38% სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე. აქტივები ინვესტირებულია ეროვნულ ვალუტაში.

2018 წლის 6 აგვისტოს ამოქმედდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის ძალითაც, იმ პირებისთვის, რომელთაც კანონის ამოქმედებამდე არ შესრულებიათ 40 წელი, დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვა იყო სავალდებულო. 2021 წლის 02 ნოემბრის მონაცემებით, ბაზაში რეგისტრირებულია 1 მილიონ 212 ათასი მონაწილე. მათ შორის 245 296 მონაწილე, კანონის მოთხოვნით, სავალდებულო წესითაა რეგისტრირებული, ხოლო დანარჩენი – ნებაყოფლობითი პრინციპით.

სქემის მონაწილეთა რაოდენობა ყოველთვიურად დაახლოებით 11

000-ზე მეტი ადამიანით იზრდება. საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარი 168 ათასმა ადამიანმა განაცხადა და ეს ამ უფლების მატარებელთა 41%-ს შეადგენს. მონაცემები პერიოდულად განიცდის ცვლილებას, რაც ეტაპობრივად ქვეყნდება ვებგვერდზე www.pensions.ge. [65]

სისტემა წარმატებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში და ის საქართველოშიც ჰპოვებს თავის განვითარების პერსპექტივებს. იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ მიმდინარეობს და რამდენად სწორად ხორციელდება ფონდში დაგროვილი თანხების მართვა და განკარგვა, რომელიც რეალურად 2019 წლის 1 იანვრიდან დარიცხული ხელფასებიდან დაიწყო, მნიშვნელოვანია სამომავლოდ განხორციელდეს კვლევა, ფონდში არსებული თანხების მართვა/განკარგვის მიმართულებით, კერძოდ რამდენად სწორად და მომგებიანად მიმდინარეობს ეს პროცესი და მიიღებს თუ რა ქვეყანა იმ მოსალოდნელ სარგებელს, რასაც დაგროვებით საპენსიო სისტემის რეფორმისგან ელოდება.

თუმცა, მთავრობის შემოთავაზებული საპენსიო რეფორმის პროექტი მაინც გააკრიტიკა, ბელგიელმა მკვლევარმა მარტინ ჰუთსებაუთმა (საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში, კომენტარები და ალტერნატივები 2017), სადაც მან განაცხადა, რომ მთავრობის მიდგომა საპენსიო დანაზოგებთან მიმართებაში, გრძელვადიან პერსპექტივაში კარგია, მაგრამ მას რომ გადაეხედა საგადასახადო სისტემისთვის, შესაძლებელი იყო ეპოვა მეტი შემოსავლის მიღების რესურსი, რაც ხელს შეუწყობდა საბაზისო სისტემის კიდევ უფრო გაზრდას და გამყარებას. [57]

3.2. ევროპის საპენსიო სისტემის საუკეთესო პრაქტიკა და შედარებითი ანალიზი ქართულ საპენსიო რეფორმასთან

თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოებმა თავიდანვე გააანალიზეს და ჩათვალეს, რომ მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან მიმართებაში საპენსიო რეფორმა გარდაუვალი იქნებოდა. ისეთმა დემოგრაფიულმა მდგომარეობამ, რასაც მოჰყვა შობადობის შემცირება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა და ერების დაბერებისკენ

მიდრეკილება, სამუშაო ძალის შემცირება, ფინანსური კრიზისი, წარმოშვა საპენსიო პოლიტიკის ფორმირების აუცილებლობა. აღნიშნული საჭიროების დამადასტურებელია 1994 წელს, მსოფლიო ბანკის სახელით გამოქვეყნებული ნაშრომი (Averting The Old Age Crisis: Policies to Protect the Old and Promote Growth), რომლითაც აღიარებულია, რომ არსებული სისტემის ახლით ჩანაცვლების გარეშე, სამომავლოდ საკითხი გახდება ძნელად მოგვარებადი. ამიტომ, გამოსავალი მხოლოდ მოსალოდნელ კრიზისთან დროული რეაგირებაა.

1990 წლებიდან წარმოშობილმა ფინანსურმა თუ ეკონომიკურმა პროცესებმა ბევრ ქვეყანაში შექმნა პრობლემები საჯარო და კერძო ფინანსების კუთხით. იგივე პერიოდს დაემთხვა საპენსიო სისტემაში საპენსიო ასაკის მოსახლეობის დიდი რაოდენობის გაწევრიანება, რომელთა საპენსიო გასაცემებიც დიდ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვდა. 1940-1960 წლებში შობადობის მაჩვენებელი მსოფლიო მასშტაბით პიკურ მდგომარეობაში იყო, აღნიშნულიდან გამომდინარე, ე.წ. „პენსიონერთა ტალღა“ (Baby Boomers) ყველაზე მასშტაბურად შეიძლება ჩაითვალოს. [66]

საპენსიო სისტემა და რეფორმის აუცილებლობით გამოწვეული პრობლემები საერთოა ევროპის განვითარებული ქვეყნებისთვისაც. ბოლო პერიოდის განმავლობაში მათ (შვედეთი, გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) შეძლეს რეფორმის უზრუნველყოფა და ახალი საპენსიო სისტემის დანერგვა.

პოლონეთმა და უნგრეთმა აირჩია რეფორმის ის ფორმა, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს სახელმწიფო პენსიის სრულად გაუქმებას და მის ჩანაცვლებას სავალდებულო დაგროვებითი შენატანებით.

განვითარებადმა ქვეყნებმა (არგენტინა, ურუგვაი, კოლუმბია და ხორვატია) იმის დასადასტურებლად, რომ ითვალისწინებენ საერთაშორისო მიდგომებს და მოთხოვნებს, მსოფლიო ბანკის მითითებებით განახორციელეს მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალური და საპენსიო კუთხით გასაწევ თანხებთან მიმართებაში.

მსოფლიოში ყველა ქვეყანას თავიანთ სოციალურ-ეკონომიკურ

მდგომარეობაზე გათვლილი მოდელი გააჩნია. ქვეყნებმა უნდა უზრუნველ-
ყოს თავისი ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით მორგებული,
მოდელის შექმნა და გაზიარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, რომელიმე
მოდელის პირდაპირ გადატანა ვერ იქნება გამართლებული და მომგებიანი
შესაბამისი ქვეყნისთვის.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის უცხოური გამოცდილების შესწავ-
ლისას საინტერესოა **ესტონეთის** მაგალითის შესწავლა, რომელიც თავისი
ისტორიული წარსულით, საქართველოს მსგავსად პოსტსაბჭოთა ქვეყნების
რიგებიდან წარმოდგება, დემოგრაფიულადაც და ქვეყნის სიდიდის
მაჩვენებლითაც ანალოგიურია. ესტონეთმა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის
მოპოვებამდე მოახერხა და 1990 წელს შექმნა სოციალური ფონდი, რითაც
საპენსიო სისტემა და ფონდის შემოსავლები გაიმიჯნა სახელმწიფო
ბიუჯეტისგან. იმავდროულად მიღებული კანონის შესაბამისად დაწესდა
სოციალური გადასახადი 20% ოდენობით და მისი გადახდის ვალდებულება
დამქირავებელს დაეკისრა. ქვეყანაში იყო მცდელობა პენსია მაქსიმალურად
დაეახლოებინათ ხელფასთან და ის უნდა ყოფილიყო მინიმალური
ხელფასის – 85% ტოლი, მაგრამ გარდამავალი პერიოდის მძიმე ეკონომიკური
მდგომარეობიდან გამომდინარე ეს ვერ განხორციელდა, პირიქით ჩანაც-
ვლების კოეფიციენტი 36%-დან 16%-მდე დაეცა. მოსახლეობის უკმაყოფი-
ლება იმანაც გამოიწვია, რომ 1991 წელს მიღებული საპენსიო კანონით
დაწესდა თანაბარი პენსია, რომელიც არ ითვალისწინებდა ნამსახურობის
წლებს, რაც შემდგომ უკვე 1993 წელს მიღებული კანონით შეიცვალა და
პენსია დამოკიდებული გახდა სამუშაო წლებზე, რაც საბაზისო პენსიას
ემატებოდა. ასევე ქვეყნის ხელისუფლებამ გაანალიზა მოსალოდნელი
რისკები და გადაწყვიტა საპენსიო ასაკის ეტაპობრივად გაზრდა, რომელიც
2003 წლისთვის ჯამში 5 წლით უნდა გაზრდილიყო. აქვე შემცირდა პენსიის
მისაღებად სამუშაო სტაჟი 15 წლამდე (მანამდე არსებული: კაცი – 25, ქალი –
20). ახალი რეგულაციებით, საპენსიო სისტემით, პენსიის ოდენობა
დამოკიდებული იყო დამქირავებლის შენატანების საშუალო მაჩვენებელზე
და სამუშაო სტაჟზე. ასევე, ვინაიდან არ იყო განსაზღვრული პენსიის

ავტომატური ინდექსაცია, ის ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული და შესაბამისად პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტიც განიცდიდა ცვლილებას (40%-67%). 1997 წელს, ესტონეთში, შეიქმნა სოციალური უსაფრთხოების რეფორმის კომისია, რომელიც საფუძველია საპენსიო სისტემის დაგროვებითი მოდელის შექმნის. ის აერთიანებდა ფინანსთა და სოციალურ საკითხთა სამინისტროების წარმომადგენლებს და დარგის ექსპერტებს. კომისიის მიერ საპენსიო რეფორმის კონცეფციის შემუშავებით, დღეს ესტონეთში მოქმედებს სამსვეტიანი საპენსიო სისტემა, რომელიც მოიცავს: I სახელმწიფო პენსიას; II სავალდებულო კერძო დაგროვებითი პენსიას; III ნებაყოფლობითი კერძო დაგროვებითი პენსიას. შემუშავებული კონცეფციის თანახმად, საპენსიო რეფორმამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოება ხანდაზმულ ასაკში და სახელმწიფო საფინანსო ხარჯების შემცირება. მეორე სვეტის არსებობა ემსახურება ადამიანთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაზრდას, რითაც მან თავად უნდა იზრუნოს და შექმნას უსაფრთხო და უზრუნველი გარემო ხანდაზმულობის ასაკისთვის და ის არ უნდა იყოს სახელმწიფოს კეთილი ნების შემყურე, რაც ასევე შეამსუბუქებს ბიუჯეტის ტვირთს სამომავლოდ, რომელიც ისედაც ვერ უპასუხებდა არსებულ გამოწვევებს. [56, 38-52]

საპენსიო სისტემა **რუმინეთში** სამსვეტიანია, რომელიც 2008 წლის რეფორმის შემდეგ ჩამოყალიბდა. *პირველი სვეტი* წარმოადგენს სახელმწიფო საბაზისო პენსიას და ის დამოკიდებულია მუშაობის პერიოდში სახელმწიფოში შეტანილი სოციალური შენატანების ოდენობაზე. ნორმალური სამუშაო მდგომარეობის დროს ხელფასის 31,3% იხდის დამქირავებელი, ხოლო რთულპირობებიან სამუშაოზე ეს შენატანი 41,3% შეადგენს, მ.შ 10,5% დაქირავებული იხდის. პენსიის მიღების უფლებამოსილება გააჩნია ადამიანს, რომელიც სულ მცირე 15 წლის განმავლობაში ახორციელებდა სოციალურ შენატანებს. პენსიის მისაღებად ასევე საჭიროა შრომითი სტაჟი ქალებისთვის – 28,6 წელი – კაცებისთვის 33, 6 წელი, რომელიც სამომავლოდ 35 წლამდე უნდა გაიზარდოს. 2009 წლიდან ქვეყანაში მუშაობს მინიმალური გარანტირებული საპენსიო სისტემა, ხოლო მათ, ვისი პენსია გარანტი-

რებულზე ნაკლებია, მის შევსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტი. პენსია მიზნულია ინდექსაციასთან 100% სამომხმარებლო კალათაზე და 50% საშუალო ხელფასის ზრდასთან, ხოლო 2030 წლიდან ინდექსაცია მხოლოდ ფასების ზრდასთან მიმართებაში განხორციელდება. *მეორე სვეტი* ემსახურება დაგროვებითი პენსიის სავალდებულო ხასიათს, რომელიც ამოქმედდა 2008 წლიდან და წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის წყაროს საპენსიო ასაკის ადამიანისთვის. პირველ ეტაპზე ეს შენატანები 2% შეადგენდა, ხოლო 2016 წლისთვის 6% მიაღწია. აქაც, როგორც ესტონეთის შემთხვევაში პენსიის ოდენობა დამოკიდებულია კერძო საპენსიო ანგარიშის გახსნის დღიდან, ფონდში შეტანილ თანხებზე და მისი ინვესტირების შედეგად მიღებულ შემოსავლებზე (ე.წ. DC სქემა). ფონდების საქმიანობას რეგულირებას და ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო. რეგულირების ფარგლებში აქტივების 70% ინვესტირება დასაშვებია სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, ხოლო აქტივების მაქსიმუმ 50% აქციებში. საპენსიო სისტემაში ჩართვა სავალდებულოა 35 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის, რომელთაც საპენსიო ასაკამდე ექნებათ საშუალება გააკეთონ შესაბამისი დანაზოგი და უზრუნველყონ თავიანთი კეთილდღეობა ხანდაზმულ ასაკში. 35-45 წლის ასაკის ადამიანებს მიეცათ არჩევანის შესაძლებლობა, თავად აირჩიონ, ჩაერთონ ახალ დაგროვებით სისტემაში თუ დარჩნენ ძველი სისტემის მონაწილენი, ხოლო 45 წელს ზემოთ კატეგორია კი, ავტომატურად დარჩა ძველ სისტემაში. სისტემაში ჩართვის შემდგომ ადამიანს ერთმევა სისტემიდან გასვლის უფლება. *მესამე სვეტი* ნებაყოფლობითი ინდივიდუალური შენატანებია და ეფუძნება განსაზღვრული შენატანების პრინციპს. მესამე სვეტი 2007 წლიდან ფუნქციონირებს და 2012 წლისთვის მასში დარეგისტრირებული იყო 260 ათასი ადამიანი, რაც დასაქმებულთა მცირე ნაწილია და მათი შენატანები არ უნდა იყოს ხელფასის 15%-ზე მეტი.

საფრანგეთში საპენსიო სისტემა ორსაფეხურიანია. ის გადანაწილებით სისტემის ფარგლებში ხორციელდება და მოიცავს სახელმწიფო საპენსიო სქემას და სავალდებულო პროფესიულ საპენსიო სქემას. სახელმწიფო პენსიები აქაც სოციალური შენატანებიდან ანაზღაურდება, რომელსაც

დამქირავებელი და დაქირავებული ორივე იხდის. შენატანებით ძირითადად დღევანდელ პენსიონერები ფინანსდება. საპენსიო ასაკი 2010 წლისთვის 60 წელს შეადგენდა, ხოლო 2017 წლისთვის 62 წლამდე გაიზარდა. პენსია დამოკიდებულია დასაქმების წლიურ შემოსავალზე 25 წლის მანძილზე. სრული პენსიის მისაღებად საჭიროა 41,5 წლის განმავლობაში სოციალური გადახდების არსებობა, ხოლო 2010 წლიდან ეს მოთხოვნა გაიზარდა 43 წლამდე. ჩანაცვლების კოეფიციენტი საფრანგეთში 50% უტოლდება, ხოლო ყველაზე შეჭირვებული და ღარიბი მოსახლეობისთვის ეს მაჩვენებელი 85% უტოლდება. თუ პირი სოციალური უსაფრთხოების შეტანას ვერ ახერხებს და აქვს გარკვეულ დროზე ნაკლები, პენსიის მოცულობა 1,25% მცირდება, ხოლო მათ ვინც არსებობისთვის მინიმალურსაც ვერ აგროვებს სახელმწიფო მათთვის სოციალური დახმარების პროგრამებს ახორციელებს.

საფრანგეთში არსებობს კიდევ დამატებით პროფესიული საპენსიო სქემები, რომლებიც თავის მხრივ კიდევ ორი სახისაა. ერთი, სადაც გაწევრიანებულია ყველა კატეგორიის დასაქმებული (ARRCO) (დასაქმებულთათვის დამატებითი საპენსიო სქემების ასოციაცია) და მეორე, სადაც გაწევრიანებულია მენეჯერული მიმართულებით დასაქმებულთა კატეგორია (AGIRC) (მენეჯერული პერსონალისათვის დამატებითი საპენსიო სქემების ასოციაცია). ისინი განეკუთვნებიან კერძო ინსტიტუტებს და მათი მიზანი სიბერეში ცხოვრების უზრუნველყოფაა და არა მოგებაზე ორიენტირება და იმართებიან სოციალური პარტნიორების მიერ. პენსიის ოდენობა დამოკიდებულია მუშაობის პერიოდში შენატანებზე და არა განსაზღვრულ წლებზე, როგორც სახელმწიფო პენსიის შემთხვევაში. ასევე არსებობს ნებაყოფლობითი საპენსიო სქემები, სადაც ხელფასის 25% გადარიცხვა შეუძლია გაწევრიანების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს და ამ სქემაში გაწევრიანებულია დასაქმებულთა 2,4%. ეს უკანასკნელი სუსტადაა განვითარებული საფრანგეთში და მათი შექმნა შეუძლია კერძო საფინანსო ორგანიზაციებს.

ნიდერლანდებში საპენსიო ასაკი 65 წელია, რომელიც 2021 წლიდან გაიზარდა 67 წლამდე. სრული მოცულობის პენსიის მისაღებად მოქალაქეს

ესაჭიროება ქვეყანაში მუშაობის 50 წლიანი სტაჟი. დასაქმების თითო წელი შეადგენს ფიქსირებული პენსიის 2%. წლების მიხედვით პენსიის ოდენობაც მცირდება 50 წელს ქვემოთ ნამსახურობაზე შესაბამისი პროპორციით, ხოლო მათ, ვინც ვერ აგროვებს მინიმალური სახელმწიფო პენსიას, სახელმწიფოსგან დამატებით იღებს სოციალურ დახმარებას. ქვეყანაში დაქირავებულთა სასარგებლოდ, საპენსიო სქემების შექმნის დიდი ისტორია არსებობს, სადაც დასაქმებულთა 90%-ზე მეტია გაწევრიანებული. შეთანხმების თანახმად დასაქმებულის ხელფასის ნაწილი განთავსდება კომპანიის, ან მრეწველობის დარგის საპენსიო ფონდში, საიდანაც ხდება მათი სამრეწველოდ გამოყენება. პენსიის ოდენობა დამოკიდებულია მუშაობის მანძილზე ფონდში შეტანილ თანხებზე. გარდა ზემოაღნიშნული სქემებისა ქვეყანაში არსებობს კერძო დაგროვებით საპენსიო სქემა, რომელიც ნებაყოფლობითია და მასში თვითდასაქმებულები არიან გაწევრიანებული.

აშშ-ის საპენსიო სისტემა ჩვეულებრივ სამსვეტიანია და შეიძლება ითქვას მრავალფეროვანი, თავისი განვითარების ისტორიით. *პირველი სვეტი* აქაც სოციალური უსაფრთხოების შენატანებიდან ფინანსდება, სადაც შენატანებს თანაბრად ახორციელებს დამქირავებელი და დაქირავებული, თითოზე 6,2% ოდენობით. თვითდასაქმებული კი ერთიანად 12,4% იხდის. შენატანები არ იბეგრება, მაგრამ გასაცემები იბეგრება თუ შემოსავალი განსაზღვრულ ნიშნულს გადააჭარბებს. საპენსიო ასაკი აშშ-ი 66 წელია (2012წ), ხოლო 2022 წლისთვის 67 წლამდე უნდა გაიზარდოს. სახელმწიფო პენსია ორი ნაწილისგან შედგება: **შემოსავლებზე დამოკიდებული და მიზნობრივი პენსია**. *შემოსავალზე დამოკიდებული* პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი საშუალოდ 45%-ია, დაბალშემოსავლიანთათვის 54%, ხოლო ყველაზე მაღალშემოსავლიანთათვის 39%. პენსიის ოდენობა დამოკიდებულია ხელფასის ოდენობაზე, ყველაზე შემოსავლიანი 35 წლის მანძილზე. *მიზნობრივი პენსია* კი განსაზღვრულია მათთვის, ვისი შემოსავალიც დადგენილ ზღვარს არ აღემატება და პირს შეუსრულდა 65 წელი და მეტი. პენსიის ოდენობა 8 376\$ (წყვილისთვის – 12 576\$) წელიწადში. შესაძლებელია ვადაზე ადრე 62 წლიდან პენსიაზე გასვლა, რა დროსაც მცირდება

მისაღები პენსიის რაოდენობა თითოეული წლისთვის 6,67% და პირიქით გვიან გასვლა 70 წლამდე, რა დროსაც პენსია 8% იზრდება, თითო გადავადებული წლისთვის. *მეორე სვეტი* – ნებაყოფლობითი პროფესიული დაგროვებითი პენსიაა, რაც საუკეთესო გზაა სახელმწიფო პენსიის შევსებისა და სიბერის უზრუნველსაყოფად. საფუძვლად ჩანაცვლების კოეფიციენტი 45% იზრდება 82%-მდე, თუ დასაქმებული ყოველწლიურად 30-40 წლის მანძილზე გადარიცხავს ხელფასის 9%. მიუხედავად ამ საუკეთესო გამოცდილებისა, შრომისუნარიანი ადამიანების მხოლოდ 47% ჩართული კერძო დაგროვებით სისტემაში, 42% პროფესიულ დაგროვებით სისტემაში და 22% ინდივიდუალურ დაგროვებით საპენსიო სქემაში. გარკვეული რაოდენობა ჩართულია ორივე სქემაში. *მეორე სვეტის პენსიები* თავის მხრივ ასევე ორი სახისაა: ერთი, სადაც ლიმიტირებულია შენატანების ოდენობა (Defined contribution pensions schemes) – DC სქემები და მეორე, სადაც განსაზღვრულია გასაცემი პენსიის ზღვარი (Defined benefit pensions schemes) DB. *მესამე სვეტი* – ინდივიდუალური დამატებითი დაგროვებითი საპენსიო სისტემა ამერიკის კონგრესის მიერ 1974 წელს იქნა შემოღებული და ის IRA (Individual Retirement Arrangement) სქემის სახელითაა ცნობილი. სქემაში გაწევრიანება შეუძლია ყველა დასაქმებულს დამოუკიდებლად, ვისაც კიდევ უფრო უზრუნველყოფილი სიბერე სურს. შენატანებზე აქაც დასაქმებულისთვის დაწესებულია შეზღუდვები. პენსია იბეგრება გაცემის დღიდან, ხოლო შენატანები და საინვესტიციო მოგება გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

დიდი ბრიტანეთი – საპენსიო სისტემა სამსვეტიანია. *პირველი სვეტი* – სახელმწიფო პენსია ორი სახისაა: **საბაზისო**, რომელიც ნამსახურობის წლებზეა დამოკიდებული და მისი მაქსიმუმი 155 გირვანქა სტერლინგია კვირაში და მეორე, **საპენსიო კრედიტი**, ფინანსური გასაცემი ღარიბი პენსიონერებისთვის, რომლის შემოსავალი 155,60 გირვანქა სტერლინგზე ნაკლებია მარტოხელობის შემთხვევაში (237,55 წყვილებში). პენსიის ამ სვეტის, დაფინანსების წყაროა სოციალური შენატანები სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებისგან.

ა) დასაქმებული რომლის შემოსავალი კვირის განმავლობაში შეადგენს 153-805 გირვანქა სტერლინგამდე ხელფასიდან იხდის 9,05%, მეტი შემოსავლის პირობებში კიდევ ემატება 1%. ბ) თვითდასაქმებული, რომლის წლიური შემოსავალია 5 885 გირვანქა სტერლინგზე მეტია, კვირაში 2,7 გირვანქა სტერლინგს იხდის. წლიური 7 956 - 41 867 გირვანქა სტერლინგის შემოსავლის 9% და მეტი შემოსავლის შემთხვევაში კიდევ დამატებით 2%. ბ) იმ შემთხვევაში თუ დასაქმებულის ხელფასი კვირაში 153 გირვანქა სტერლინგზე მეტია დამსაქმებელი იხდის ხელფასის 11,9%.

მეორე სვეტი კერძო დაგროვებითი პენსიაა, რომელიც ასევე ორი სახისაა: ა) სადაც შენატანების ოდენობა განსაზღვრულია და პენსიის ოდენობა დამოკიდებულია ფონდში დაგროვებულ თანხაზე და ბ) სადაც განსაზღვრულია გასაცემის ოდენობა, რომელიც მუშაობის წლებზე და ხელფასზეა დამოკიდებული, მაგრამ არა ფონდში დანაგროვის ოდენობაზე.

2008 წელს მიღებული რეგულაციებით დამსაქმებელი ვალდებულია ავტომატურად ჩართოს დასაქმებული საპენსიო სისტემაში, ამის შემდეგ დასაქმებულს ერთი თვის ვადაში შეუძლია სისტემიდან გასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის რჩება სისტემის მონაწილედ და იწყებს ყოველთვიური შენატანების განხორციელებას ხელფასიდან ფონდში. ფონდში დასაქმებულის სასარგებლოდ შენატანებს ახორციელებს ასევე დამსაქმებელი და სახელმწიფო.

დასაქმებულთა ავტომატური ჩართვის სქემა იმართება სახელმწიფოს მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კორპორაციისგან, რომელიც დამოუკიდებელი საჯარო უწყებაა (National Employment Saving Trust) და ანგარიშვალდებულია პარლამენტთან. თანხების ინვესტირებასაც იგივე უწყება NEST უზრუნველყოფს. ავტომატური ჩართვის მექანიზმის ამოქმედების შემდეგ, სქემის მონაწილეთა რაოდენობამ მოიმატა. თუ ეს ციფრი 2004-12 წლებში 10,7 მილიონს შეადგენდა 2014 წლისთვის კი 13,9 მილიონამდე გაიზარდა. დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობა პროფესიული დაგროვებითი სისტემის მონაწილეა.

დამსაქმებლები თანდათანობით აუქმებენ სქემებს, სადაც განსაზ-

ღვრულია გასაცემი პენსიის ოდენობა და მის ნაცვლად დასაქმებულებს სთავაზობენ DC სქემებს, სადაც შენატანების ოდენობა განსაზღვრულია, ვინაიდან პირველი სქემა წამგებიანი აღმოჩნდა მათი ფინანსური მდგომარეობისათვის. შესაბამისად 2015 წლისთვის, 2014 წელთან შედარებით DB სქემებში გაწევრიანებულთა რაოდენობა 3,4 % შემცირდა (1,75 მილიონი ადამიანი), რაც მნიშვნელოვანი კლების მაჩვენებელია 2006 წელთან შედარებით, როცა სქემის მონაწილე 3,5 მილიონი ადამიანი იყო.

მესამე სვეტი – დამატებითი კერძო დაგროვებითი პენსიაა, ვისაც იმაზე მეტის დაგროვების სურვილი აქვს ვიდრე, პროფესიული ან თვითდასაქმებულთა სქემით შეძლებდა. პენსიის ოდენობა დამოკიდებულია შეტანილ თანხებზე, საპენსიო შენატანი განთავისუფლებულია გადასახადისგან. სქემის მონაწილეთა რაოდენობა 2014 წლის მონაცემებით 6,4 მილიონი ადამიანია, რაც 1,1 მილიონით მეტია 2012 წლის მაჩვენებელთან. რის მიზეზადაც ავტომატური სქემის ჩართვის ეფექტი სახელდება.

ახალი ზელანდიის საპენსიო სისტემაც სამსვეტიანია (Wilmington Publishing & information Ltd, 2016). **პირველი სვეტი**, სახელმწიფო პენსია, **მეორე სვეტი** პროფესიული დაგროვებითი პენსია და **მესამე სვეტი** კერძო, ინდივიდუალური დამატებითი დაგროვებითი პენსია.

ა) სახელმწიფო პენსიის მისაღებად აუცილებელია 20 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ, პირის 10 წელი ახალ ზელანდიაში ცხოვრება, ხოლო აქედან, 50 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ 5 წელი. პენსია გაიცემა საერთო გადასახადებიდან და მისი მიზანია ხანდაზმულთა სიღარიბისგან დაცვა. პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი 40%. პენსიის ოდენობა (2014) 421 ზელანდიური დოლარია კვირაში. ის მზარდია სამომხმარებლო ფასების ზრდასთან ერთად.

ბ) პროფესიული დაგროვებითი პენსის სქემაში გაწევრიანება აქაც 2007 წლიდან ავტომატური (KiwiSaver scheme) ჩართვის ხასიათისაა. მიზანი სქემაში მონაწილეთა რაოდენობის გაზრდაა, ვინაიდან 2005 წელს დასაქმებულთა მხოლოდ 30% იყო ჩართული. სქემა, კერძო კომპანიების (KiwiSaver providers) მიერ იმართება, მაგრამ მასში მონაწილეობა სრულად პირის

პასუხისმგებლობაზე და ის არ არის გარანტირებული სახელმწიფოსგან.

პენსიის ოდენობა აქაც ფონდში შენატანების და საინვესტიციო მოგების ერთობლიობაზე დამოკიდებული. სქემაში ჩართვა შესაძლებელია 18-დან – 65-წლამდე. თანხების გატანა შეიძლება 60 წლის ან მეტი ასაკის პირისთვის და სქემაში ჩართვიდან 5 წელის შემდეგ. ყოველი ახალი დასაქმება, სქემაში ავტომატური ჩართვის პირობაა, ხოლო სხვა დასაქმებულები ნებაყოფლობით ერთვებიან მასში. არჩევანის შესაბამისად დასაქმებულის იხდის ხელფასიდან 3%-ს, 4%-ს ან 8%-ს. ავტომატური ჩართვის შემთხვევაში დამსაქმებელი დასაქმებულის ხელფასიდან რიცხავს 3% დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე, თუ დასაქმებული უფრო მეტის გადარიცხვას არ მოისურვებს. სქემაში ჩართვა თვითდასაქმებულსაც შეუძლია.

პენსიები გაიცემა 65 წლის ასაკიდან და სქემაში გაწევრიანებიდან 5 წლის მერე, თუ პირი 60 წლის ასაკში ჩაერთო სქემაში. დანაზოგების ვადაზე ადრე გატანა შესაძლებელია სხვადასხვა კანონისმიერი შეზღუდვებით: ა) პირველი საცხოვრებლის შესაძენად იმ პირობით, თუ ანგარიშზე დარჩება 1000 ახალ ზელანდიური დოლარი. ამ პირობის შესასრულებლად საჭიროა მინიმუმ სქემაში 3 წლიანი მონაწილეობა. ბ) მძიმე ფინანსური მდგომარეობის დროს; გ) ავადმყოფობის; დ) მუდმივ საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლისას. პირის გარდაცვალების შემთხვევაში დანაზოგი მის მემკვიდრეს გადაეცემა. ავტომატური ჩართვის სქემის ამოქმედებიდან სულ უფრო ნაკლები ადამიანი ტოვებს სქემას. 2015 წლის მონაცემებით სქემის მონაწილეთა რაოდენობამ 2,5 მილიონამდე მიაღწია. ამავე პერიოდში საპენსიო სქემის დანაგროვმა თანხამ 28,5 მილიარდი ახალზელანდიური დოლარი შეადგინა, რაც 2014 წელთან შედარებით 1/3 მეტია. ასევე მკვეთრად გაიზარდა საინვესტიციო მოგებაც. თუ ის, 2013 წელს 0,4 მლრდს შეადგენდა 2015 წელს 3 მლრდს მიაღწია. გარდა KiwiSaver სქემისა სახელმწიფოში სხვა სქემებიც არსებობს, მაგრამ KiwiSaver სქემისგან განსხვავებით ის სქემები საგადასახადო სუბსიდირებით არ სარგებლობენ და შესაბამისად, მასში დასაქმებულ მონაწილეთა რაოდენობაც (2003 – 13,89%; 2012 – 10%) თანდათან კლებულობს. [56, 38-74]

3.3. თბილისის მოქალაქეები არსებული საპენსიო სისტემის შესახებ (კვლევის შედეგები)

ნაშრომის ჰიპოთეზის შესამოწმებლად, პასუხობს თუ არა საქართველოს საპენსიო სისტემა არსებულ გამოწვევებს და გაიზრდება თუ არა ხანდაზმულთა კმაყოფილება საპენსიო თანხის გაზრდის შედეგად, ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის რაოდენობრივი კვლევა. კვლევა დაიგეგმა იმისთვის, რომ თავად პენსიონერების მოსაზრებებით გაანალიზებულიყო „საპენსიო სისტემის შეფასება ხანდაზმულ ადამიანთა მიერ და მისი შესაბამისობა არსებულ გამოწვევებთან მიმართებით“, თუ როგორია მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დღეს და რამდენად პასუხობს არსებული საპენსიო სისტემა მათ საჭიროებებს. კვლევისთვის შემუშავდა სპეციალური კითხვარი.


კვლევა მოიცავდა თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ათივე რაიონში. კვლევა ჩატარდა ანონიმურად, 2021 წლის 21 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით პერიოდში, ელექტრონულად. პირველადი, რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა „თოვლის გუნდის“ მეთოდით და გამოკითხულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 300 პენსიონერი, შერჩევის ცდომილება არის მთელი შერჩევისთვის $\pm 5,7\%$ (95%-იანი სანდობით).

შეძლებისდაგვარად იყო მცდელობა, თანაბარი რაოდენობის გამოკითხული ყოფილიყო თითოეული რაიონიდან. შედეგად, თითოეულ რაიონში გამოკითხულთა რაოდენობა მერყეობს 24-დან 39-მდე შერჩეულ რესპონდენტთან. გამოკითხვა მიმდინარეობდა სატელეფონო საშუალებით. რესპონდენტებს განემარტათ თუ, რა მიზნით ტარდებოდა კვლევა, რასაც მათი მხრიდან დადებითი აქტივობა მოჰყვა და ინტერესით ერთვებოდნენ გამოკითხვაში.

1. რესპონდენტთა სქესის მიხედვით გადანაწილება

გამოკითხული 300 რესპონდენტიდან 72,6% ქალია, ხოლო 27,4% – კაცი, რაც თანხვედრაშია ქვეყანაში არსებულ ფაქტობრივ სურათთან – სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით, ქვეყნის

მასშტაბით არსებული 783 705 ათასი პენსიონერიდან – 71,4% ქალია და 28,6% – კაცი, ხოლო თბილისში კი 229 198 პენსიონერიდან – 74,5% ქალი და 25,5% კაცი, რაც კიდევ უფრო ზრდის სანდოობას, წინამდებარე კვლევის შერჩევისა და მისი შედეგების განზოგადების მიმართ (იხ. გრაფიკი №1).




გრაფიკი № 1. გადანაწილების სქემის მიხედვით

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

2. რესპონდენტთა გადანაწილება რაიონების მიხედვით

რაიონების მიხედვით გამოკითხულ რესპონდენტთა გადანაწილება კი შემდეგი სახისაა: ვაკე – 8,2%, საბურთალო – 13,1%, მთაწმინდა – 11,5%, კრწანისი – 8,0%, გლდანი – 10,8%, ნაძალადევი – 11,0%, დიდუბე – 9,6%, ჩუღურეთი – 7,5%, ისანი – 9,2%, სამგორი – 11,1% (იხ. გრაფიკი №2).




გრაფიკი № 2. რესპონდენტთა რაიონული გადანაწილება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

3. გამოკითხულ რესპონდენტთა ასაკობრივი გადანაწილება

გამოკითხულ რესპონდენტთა ასაკობრივი გადანაწილება შემდეგი სახისაა: 70 წლამდე (ქალები 60-დან – კაცები-65 წლიდან) – 46,1%, 70-80 წლის რესპონდენტთა – 38,4%, ხოლო 80 წელს ზემოთ რესპონდენტთა – 15,5% (იხ. გრაფიკი №3).



გრაფიკი № 3. ასაკობრივი გადანაწილება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

მიღებული შედეგები დამუშავდა რაოდენობრივი კვლევის სტატისტიკურ პროგრამაში **SPSS**. საქართველოში საპენსიო სისტემის შესაბამისობისა და არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის გამოიყო შემდეგი ცვლადები: **ასაკი, დასაქმება და შემოსავალი**, რომელთა საშუალებითაც გაანალიზდა პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა, მათ დამოკიდებულება საპენსიო სისტემის, დაგროვებითი საპენსიო სისტემისა და საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის მიმართ; ასევე, საპენსიო შემოსავლების გადანაწილება პროდუქტებსა და სერვისებზე.

4. სქესის მიხედვით საპენსიო თანხის გადანაწილება

რესპონდენტის სქესსა და საპენსიო თანხის პრიორიტეტულ გადანაწილებას შორის, თუ რა პროდუქტებისა და სერვისების შესყიდვას

ახერხებენ პენსიონერები აღნიშნული თანხით, ერთმანეთთან ანალიზით გამოიკვეთა, რომ ცვლადებს შორის ასოციაციის დონის $X^2=10,219(3) p=0,017$, რაც ნიშნავს, რომ 98,3%-ით სანდოა ამ ორ ცვლადს შორის კავშირით დასკვნების გამოტანა.


კითხვაზე „რას ხმარდება თქვენი ყოველთვიური პენსიის ძირითადი ნაწილი?“ გამოვლინდა, რომ გამოკითხული პენსიონერები, საპენსიო თანხის ძირითად ნაწილს იყენებენ მედიკამენტების და საკვები პროდუქტების შესაძენად: კონკრეტული მაჩვენებლები კი ასე გადანაწილდა – 50,0% მედიკამენტები, 10,4% – საკვები პროდუქტები, 6,4% – კომუნალური გადასახადები, და 33,2% – ყველა ზემოთ ჩამოთვლილის უზრუნველყოფის მიზნით (იხ. გრაფიკი №4).

საპენსიო თანხის 50% მედიკამენტებში დახარჯვის შემდეგ, გამოკითხულ პენსიონერებს არსებობისთვის რჩებათ არსებული პენსიის ნახევარი, ხშირ შემთხვევაში უფრო ნაკლებიც, რითაც თითქმის წარმოუდგენელია, თვის განმავლობაში არსებობისთვის აუცილებელი საჭიროებებით უზრუნველყოფა. პენსიონერები, ადასტურებენ და მიუთითებენ, ცხოვრების მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დარჩენილი თანხის არასაკმარისობის გამო, მათ უწევთ უარის თქმა აუცილებელი მოხმარებისთვის საჭირო პროდუქტზე.

ანალიზმა აჩვენა, რომ სქესის მიხედვით საპენსიო თანხის გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს: გამოკითხულ ქალთა – 54,8% პენსიის თანხას, მედიკამენტების შესაძენად იყენებს, ხოლო მამაკაცთა მხოლოდ – 37,0%. მეორე მნიშვნელოვან კატეგორიას – საკვებ პროდუქტებს – კი ქალთა 8,8% და მამაკაცთა – 14,8%, რაც შეეხება კომუნალურ გადასახადებში, საპენსიო თანხის ხარჯვას: 4,6% – ქალი და 11,1% – მამაკაცი. თანხის ხარჯვის მნიშვნელოვანი წილი მოდის კატეგორიაზე, „ყველა ზემოთ ჩამოთვლილზე“ – ქალების – 31,8% ახერხებს, რომ ოთხივე კატეგორია (მედიკამენტები, საკვები პროდუქტები, კომუნალური გადასახადები და სხვა საჭიროებები) უზრუნველყოს თავისი პენსიით და კაცების – 37,0%.

კვლევის შედეგად გამოვლენილი მონაცემებით შესაძლოა ვივარაუ-

დოთ, რომ მამაკაცებს, დღემდე შენარჩუნებული აქვთ ოჯახის მარჩენლის ფუნქცია.



გრაფიკი № 4. საპენსიო თანხების გადანაწილება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

5. ასაკის გავლენა დასაქმებაზე

ასაკსა და დასაქმების სტატუსს შორის ასოციაციის სანდოობა არის 99% ($\chi^2=20,836(2) \quad p<0,001$). ზოგადად, გამოკითხულთა 17% არის დასაქმებული, ხოლო 83% დაუსაქმებელი. მიღებულმა შედეგებმა ცხადჰყო რომ, რაც უფრო იზრდება ხანდაზმულობის ასაკი, მით უფრო იზრდება უმუშევრობის დონეც: **70 წლამდე რესპონდენტთა** – 26,8%-ია დასაქმებული და 73,2% დაუსაქმებელი; **70-დან 80 წლამდე ასაკის რესპონდენტთა** – 12,1%-ია დასაქმებული და 87,9% – დაუსაქმებელი, **ხოლო 80 წელს** გადაცილებულ რესპონდენტთა აბსოლუტური მაჩვენებელი – 100%-ია დაუსაქმებელი.

6. დასაქმების კატეგორიები

კატეგორიების მიხედვით, გამოკითხულ პენსიონერთა დასაქმება, სხვადასხვა სექტორში, კვლევის შედეგად ასეთია: გამოკითხულთა 8% დასაქმებულია კერძო სექტორში, 5,7% – საჯარო სექტორში, 3,0% – თვითდასაქმებულია სამეწარმეო საქმიანობაში, ხოლო – 83,3% კი დაუსაქმებელია.


70 წლამდე გამოკითხულთა – 14,5% დასაქმებულია კერძო სექტორში, გამოკითხულთა – 8,7% საჯარო სექტორში, 3,6% – თვითდასაქმებულია,

ხოლო 73,2% – დაუსაქმებელია; 70-დან 80 წლამდე გამოკითხულ პენსიონერთა – 3,5% კერძო სექტორშია დასაქმებული, 4,3% – საჯარო სექტორში, 3,5% თვითდასაქმებულია, ხოლო – 88,7% კი დაუსაქმებელია.

ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულება გულისხმობს, სახელმწიფოს საპენსიო ასაკის მოქალაქეთათვის დასაქმებაში ხელშეწყობას.

7. ასაკი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

ასაკსა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის ასოციაციის სიმძლიერე 99%-ია. კვლევის შესაბამისად, **240 ლარი** შემოსავალი აქვს გამოკითხულ რესპონდენტთა – 25,8%-ს. **275 ლარი** აქვს გამოკითხულთა – 48,8%-ს, **240-დან - 937 ლარამდე** გამოკითხულთა – 24,1%-ს, ხოლო **937 ლარს ზემოთ** შემოსავალი კი, გამოკითხულთა მხოლოდ – 1,3%-ს.



გრაფიკი № 5. შემოსავალი ასაკის მიხედვით

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი ასაკობრივ ჯგუფებში კი შემდეგი სახისაა: **70 წლამდე** რესპონდენტების 55,1% – 240 ლარი, 9,4%-ს – 275 ლარი, 32,6%-ს 240 ლარიდან – 937 ლარამდე, 2,9%-ს 937 ლარი და ზემოთ; **70 წლიდან 80 წლამდე** გამოკითხულ რესპონდენტთა 9%-ს 240 ლარი, გამოკითხულთა 81,7%-ს 275 ლარი, გამოკითხულთა 17,4%-ს 240 ლარიდან 937 ლარამდე, ხოლო 937 ლარზე მეტი შემოსავალი თვეში არ აქვს არცერთ გამოკითხულს აღნიშნულ ასაკობრივ დიაპაზონში. იგივე მდგომარეობა

რეობაა 80 წელს ზემოთ გამოკითხულ პენსიონერებში – არცერთ მათგანს არ აქვს 937 ლარზე მეტი შემოსავალი და ასევე 240 ლარი. **80 წელს ზემოთ** გამოკითხულ რესპონდენტთა 84,8%-ს აქვს 275 ლარი და 15,2%-ს – 240 ლარიდან 937 ლარამდე შემოსავალი (იხ. გრაფიკი №5).

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზმა ასაკობრივ ჭრილში ცხადჰყო, რომ გამოკითხულ პენსიონერთა უმრავლესობისთვის, შემოსავლის ძირითად წყაროს საპენსიო შემოსავალი შეადგენს. რასაც ცხადჰყოფს, რომ დამატებითი შემოსავლის (275+) მქონე პენსიონერების რაოდენობა მცირდება ასაკის მატებასთან ერთად.


8. ასაკი და პენსიის მნიშვნელობა ყოველდღიურობაში

საპენსიო თანხის მნიშვნელობასა და ასაკს შორის ასოციაციის სიმძლიერის სანდოობა არის 96,7%.

კითხვაზე „რა როლი უჭირავს ყოველთვიურ სოციალურ პენსიას თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში“, გამოკითხულ რესპონდენტთა 76,7% პასუხობს, რომ ძირითადი შემოსავლის წყარო არის საპენსიო თანხა, 8,7%-თვის მეტნაკლებად ძირითადი, 7,3%-სთვის – საშუალო, 4,0%-სთვის – მეტნაკლებად უმნიშვნელო, 3,7%-სთვის – უმნიშვნელო და 0,3%-ს არ აქვს კითხვაზე პასუხი.

საპენსიო შემოსავლის როლი ასაკობრივ ჭრილში კვლევის შედეგად ასე გამოიყურება: **70 წლამდე** გამოკითხული რესპონდენტების 69,6%-სთვის ძირითადი შემოსავლის წყაროა, გამოკითხულთა 13,0%-სთვის მეტნაკლებად ძირითადი, გამოკითხულთა 5,1%-სთვის – საშუალო, 6,5%-სთვის – მეტნაკლებად უმნიშვნელო, 5,1%-სთვის – უმნიშვნელო და 0,7 პროცენტს არ აქვს პასუხი. **70-80 წლის** ასაკობრივ სეგმენტში: გამოკითხულთა 81,7%-სთვის არის ძირითადი შემოსავლის წყარო, 4,3%-სთვის – მეტნაკლებად ძირითადი, 9,6%-სთვის - საშუალო, 2,6%-სთვის – მეტნაკლებად უმნიშვნელო, 1,7%-სთვის – უმნიშვნელო; **80 წელს** ზემოთ მყოფი პენსიონერების – 85,1% კი ძირითადად დამოკიდებულია საპენსიო შემოსავალზე, გამოკითხულთა 2,1%-ი – მეტნაკლებად ძირითადად, 8,5%-სთვის - საშუალოდ, ხოლო 4,3%-სთვის – უმნიშვნელოდ (იხ. გრაფიკი №6).

კვლევის ანალიზიდან შესაძლოა დავასკვნათ, რომ პენსიონერთა უმრავლესობა დამოკიდებულია პენსიაზე და ის, მათი არსებობის ძირითადი წყაროა, რაც გავლენას ახდენს მათი ცხოვრების დონეზე. არსებული საპენსიო თანხით, მით უფრო 7,7%-ი (საქსტატი) ინფლაციის დონის გათვალისწინებით, შეუძლებელია აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილება.




გრაფიკი № 6. საპენსიო თანხაზე დამოკიდებულება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

9. ასაკის გავლენა პენსიის გარდა დამატებითი სხვა შემოსავლის არსებობაზე

ასაკსა და სოციალური პენსიის გარდა სხვა დამატებითი შემოსავალს შორის არის კავშირი და მისი სიძლიერე 99%-ია. გამოკითხულთა 39,5%-ს აქვს დამატებითი სხვა შემოსავალი, ხოლო 60,5%-ს არ აქვს.

70 წლამდე რესპონდენტთა 51,4%-ს აქვს დამატებითი შემოსავალი, **70-80 წლის** ასაკის გამოკითხულების 30,2%-ს და **80 წელს ზემოთ** პენსიონერების – 27,7%-ს; შესაბამისად, დამატებითი შემოსავალი **არ აქვს 70 წლამდე** გამოკითხულთა – 48,6%-ს, **70-80 წლის** პენსიონერებში – 69,8%-ს და **80 წელს ზემოთ** მყოფების – 72,3%-ს (იხ. გრაფიკი №7).



გრაფიკი № 7. პენსიის გარდა სხვა დამატებითი შემოსავალი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ


კვლევამ ცხადჰყო, რომ რაც უფრო იზრდება პენსიონერთა ასაკი, მით უფრო მცირდება მათი დამატებითი შემოსავლის არსებობა, რაც შესაძლოა დასაქმების შემცირების ფაქტორითაც იყოს განპირობებული.

10. ასაკი და დაგროვებითი საპენსიო სისტემა

ასაკსა და დაგროვებით საპენსიო სისტემისადმი დამოკიდებულებას შორის კავშირის სანდოობა არის 98,3%-ია. გამოკითხულ რესპონდენტთა – 2,7% დაგროვებით საპენსიო სისტემას აფასებს, როგორც ძალზედ დადებითს, გამოკითხულთა 12,3% – დადებითად, 11,3% – არც დადებითად და არც უარყოფითად, 28,0% – უარყოფითად, 13,0% – ძალზედ უარყოფითად, 32,7% – აცხადებს, რომ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.

ასაკობრივ ჯრილში კი ეს დამოკიდებულებები შემდეგნაირად იცვლება: **70 წლამდე** გამოკითხულებში: 2,9% აფასებს მას, როგორც ძალზედ დადებითს, 15,1% – დადებითად, 10,8% – არც დადებითად და არც უარყოფითად, 24,5% – უარყოფითად, 15,8% – ძალზედ უარყოფითად, 30,9% – აცხადებს რომ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს; **70-დან 80 წლამდე** რესპონდენტების 3,5% აფასებს მას, როგორც ძალზედ დადებითს, 12,2% – დადებითად, 13,9% – არც დადებითად და არც უარყოფითად, 35,7%

– უარყოფითად, 8,7% – ძალზედ უარყოფითად, 26,1% – აცხადებს, რომ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს; ხოლო 80 წელს ზემოთ არცერთი გამოკითხული არ აფასებს დაგროვებით საპენსიო სისტემას ძალზედ დადებითად, 4,3% აფასებს დადებითად, 6,5% – არც დადებითად და არც უარყოფითად, 19,6% – უარყოფითად, 15,2% – ძალზედ უარყოფითად, 54,3% – აცხადებს, რომ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.



გრაფიკი № 8. დაგროვებითი საპენსიო სისტემისადმი დამოკიდებულებაზე ასაკის გავლენა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რაც უფრო იზრდება რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო მცირდება დაგროვებითი საპენსიო სისტემისადმი დადებითი დამოკიდებულების პროცენტული მაჩვენებელი და მეორე მხრივ, ასევე მცირდება ინფორმირებულობის მაჩვენებელი – 80 წელს გადაცილებულ რესპონდენტთა 54,3% აცხადებს რომ, არ ფლობს ინფორმაციას საკითხთან მიმართებით (იხ. გრაფიკი №8).

აღნიშნული ანალიზით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემისადმი არაინფორმირებულობა გავლენას ახდენს უარყოფით დამოკიდებულებაზე, რასაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებს მათი ნეგატიური პირადი გამოცდილება საქართველოში 90-იან წლებში დაკარგული ანაზრებისა და საპენსიო დანაზოგებისა.

11. ასაკი და საპენსიო თანხის მსყიდველობითუნარიანობის შეფასება

ასაკს ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პენსიის თანხის მსყიდველობითუნარიანობის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულებაზე (97%-იანი სანდოობით).


ზოგადად, რესპონდენტთა 37,2% თვლის, რომ პენსიის მსყიდველობითუნარიანობა უფრო მეტი იყო რეფორმამდე (2004 წლამდე – 14 ლარი), გამოკითხულთა 40,6% თვლის, რომ რეფორმის შემდეგ, ხოლო გამოკითხულთა 22,1% აცხადებს რომ არ იცის.

ასაკობრივ ჭრილში, ასაკის მატებასთან ერთად, მით უფრო მეტი გამოკითხული თვლის, რომ საპენსიო თანხას მეტი მსყიდველობითუნარიანობა ჰქონდა 2004 წლამდე, რეფორმამდე, როცა პენსია 14 ლარს შეადგენდა: **70 წლამდე – 29,9%, 70-80 წლის – 36,5% და 80 წელზე მეტის – 60,9%.**

რეფორმის შემდეგ მეტ მსყიდველობითუნარიანობას ანიჭებს **70 წლამდე** გამოკითხულ პენსიონერთა 46,7%, **70-80 წლის** ასაკის – 37,4% და **80 წელს** ზემოთ მყოფთა – 30,4%; ხოლო აღნიშნულ კითხვაზე „არ ვიცი“ პასუხი დააფიქსირა 70 წლამდე გამოკითხულთა 23,4%-მა, 70-80 წლის – 26,1%-მა და 80 წელს ზემოთ მყოფთა 8,7%-მა (იხ. გრაფიკი №9).

მსყიდველობითუნარიანობის შეფასებისას, რესპონდენტთა უმრავლესობა მართალია ასახელებდა რეფორმის შემდგომ პერიოდს, მაგრამ იქვე აღნიშნავენ, რომ რეალურად, დიდ განსხვავებას ვერ ხედავენ, ვინაიდან პენსიის ზრდასთან ერთად იზრდება ინფლაციის მაჩვენებელი და შესაბამისად პენსიის მსყიდველობითუნარიანობის კოეფიციენტიც პარალელურად მცირდება. აქაც, რეფორმამდე არსებული პენსიის მსყიდველობითუნარიანობის დადებითად შეფასებისას ძირითადად გამოირჩევიან, უფრო მეტი ასაკის გამოკითხულები, რისი მიზეზიც შესაძლოა იყოს საბჭოთა

პერიოდში ცხოვრების გავლენა, რაც დღემდე დადებითად ახსენდებათ.



გრაფიკი № 9. მსყიდველობითუნარიანობის შეფასება ასაკის ჭრილში


წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

12. ასაკის გავლენა საპენსიო ასაკის შემცირების საჭიროებისადმი

ასაკსა და საპენსიო ასაკის შემცირების საჭიროებას შორის ასოციაციის სიძლიერე არის 99%-იანი. **70 წლამდე** გამოკითხულ რესპონდენტთა 81,9% თვლის, რომ საპენსიო ასაკი უნდა შემცირდეს, **70-დან 80 წლამდე** რესპონდენტთა – 63,8% და **80 წელს** ზემოთ მყოფი პენსიონერების – 63,0%; ხოლო საპენსიო ასაკის შემცირების საჭიროებას ვერ ხედავს **70 წლამდე** გამოკითხულთა 18,1%, **70-დან 80 წლამდე** გამოკითხულთა – 23,3% და **80 წელს** ზემოთ გამოკითხულთა – 30,4%; ასაკის შემცირებასთან ერთად, კითხვაზე არ აქვს პასუხი **70-დან 80 წლამდე** რესპონდენტთა 12,9% და **80 წელს** ზემოთ მყოფების 6,5%.

ზოგადად, რესპონდენტთა 72% თვლის, რომ უნდა შემცირდეს საპენსიო ასაკი, გამოკითხულთა 22% – თვლის, რომ არ უნდა შემცირდეს, ხოლო 6%-ს არ აქვს პასუხი (იხ. გრაფიკი №10).

გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე თვლის, რომ საპენსიო ასაკი უნდა შემცირდეს და არგუმენტად ასახელებენ უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს (18,5% – უმუშევრობის დონე, საქსტატი, 2021 წ).




გრაფიკი № 10. საპენსიო ასაკისადმი დამოკიდებულება ასაკის ჭრილში

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

13. დასაქმება და მისი გავლენა პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე

რესპონდენტთა დასაქმებასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის ასოციაციის სიძლიერე არის 99%. გამოკითხულ დასაქმებულთა 6,0%-ს აქვს – 240 ლარი, გამოკითხულ დასაქმებულთა 4,0%-ს – 275 ლარი, 82,0%-ს – 240 ლარიდან 937 ლარამდე და 8,0%-ს – 937 ლარი და ზემოთ, ხოლო გამოკითხულ დაუსაქმებელთა 29,7%-ს – 240 ლარი, 57,8%-ს – 275 ლარი, 12,4% – 240 ლარიდან 937 ლარამდე და გამოკითხული დაუსაქმებელი რესპონდენტებიდან არცერთს არ აქვს 937 ლარზე მეტი შემოსავალი.



გრაფიკი №11. დასაქმების გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე


წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

პენსიონერ მოქალაქეთა დასაქმებულობასა და მათ ყოველთვიურ

შემოსავალს შორის არის კავშირი, რომელსაც შეუძლია ახსნას 99%-ით შედეგები. გამოკითხულ დასაქმებულ რესპონდენტთა 80,4%-ს აქვს – 240 ლარიდან 937 ლარამდე ყოველთვიური შემოსავალი, 937 ლარზე მეტი შემოსავალი კი მხოლოდ – 5,9%-ს, ხოლო 13,7%-მა უარი განაცხადა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე; დაუსაქმებელ რესპონდენტებში კი, 240 ლარი აქვს რესპონდენტთა – 35,7%-ს და 275 ლარი 64,3%-ს. როგორც კვლევიდან დავინახეთ დაუსაქმებელ რესპონდენტებში არცერთს არა აქვს 275 ლარზე მეტი შემოსავალი (იხ. გრაფიკი №11).

14. დასაქმება და საპენსიო შემოსავალზე დამოკიდებულება

დასაქმების სტატუსის გავლენა საპენსიო შემოსავალზე დამოკიდებულებას შორის სანდოობა 99%-ია. დასაქმებულ გამოკითხულთა მხოლოდ 29,4%-ია ძირითადად დამოკიდებული საპენსიო თანხაზე, მაშინ, როდესაც დაუსაქმებელი პენსიონერების დამოკიდებულების მაჩვენებელი 86,3%-ია; ასევე, დასაქმებულთა 35,3% – მეტნაკლებად ძირითადად, 15,7% – საშუალოდ, 11,8% – მეტნაკლებად უმნიშვნელოდ, 5,9% – უმნიშვნელოდ და 2,0%-ს კითხვაზე არ აქვს პასუხი; საპენსიო თანხის მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება დაუსაქმებელ პენსიონერებში: 86,3% – ძირითადად არის დამოკიდებული, 2,8% – მეტნაკლებად ძირითადად, 5,2% – საშუალოდ, 2,4% – მეტნაკლებად უმნიშვნელოდ, 3,2% უმნიშვნელოდ.




გრაფიკი № 12. დასაქმება და საპენსიო შემოსავალზე დამოკიდებულება

წყარო: შედეგნილია ავტორის მიერ

საერთო სურათი კი ასეთია: თბილისში მცხოვრებ პენსიონერთა 76,7% დამოკიდებულია ძირითადად საპენსიო შემოსავალზე, მხოლოდ 8,3%-ია დამოკიდებული მეტნაკლებად ძირითადად, 7,0% – საშუალოდ, 4,0% – მეტნაკლებად უმნიშვნელოდ, 3,7% – უმნიშვნელოდ და 0,3%-ს არ აქვს კითხვაზე პასუხი (იხ. გრაფიკი №12).

15. საპენსიო შემოსავლის გარდა, სხვა დამატებითი შემოსავალი

გამოკითხულ რესპონდენტთა 39,7% აცხადებს, რომ მას აქვს საპენსიო შემოსავლის გარდა სხვა, დამატებითი შემოსავალი; აქედან, დაუსაქმებელ პენსიონერთა 27,7% აცხადებს, რომ მას აქვს სხვა შემოსავალი. აქ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი დამოკიდებულები არიან ოჯახის წევრებსა და ნათესავებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ყოველდღიურ საჭიროებებს ფინანსურად. ასევე, გამოკითხულთა 2% აცხადებს, რომ არის დასაქმებული, მაგრამ არ აქვს შემოსავალი ანუ, მათ შემოსავალი არის არასტაბილური და დროებითი ხასიათის. დაუსაქმებელ პენსიონერთა 72,3% კი, სრულად არის დამოკიდებული საპენსიო თანხაზე. ზოგადად, კი საპენსიო თანხაზე დამოკიდებულება არის 60,3% (იხ. გრაფიკი №13).




გრაფიკი № 13. დასაქმება და საპენსიო თანხაზე დამოკიდებულება

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

16. დასაქმების გავლენა დაგროვებით საპენსიო სისტემის შეფასებაზე

დასაქმებულობის გავლენას დაგროვებითი საპენსიო სისტემაზე აქვს სანდოობის 95%. დასაქმებულ გამოკითხულთა, მხოლოდ – 3,8% აფასებს სისტემას ძალზედ დადებითად, 19,2% – დადებითად, 13,5% – არც დადებითად

და არც უარყოფითად, 34,6% – უარყოფითად, 15,4% – ძალზედ უარყოფითად და 13,5% გამოკითხული დასაქმებული კი აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია; რაც შეეხება გამოკითხულ დაუსაქმებელ რესპონდენტებს: 2,4% აფასებს სისტემას ძალზედ დადებითად, 11,2% – დადებითად, 10,8% – არც დადებითად და არც უარყოფითად, 26,5% – უარყოფითად, 12,4% – ძალზედ უარყოფითად და 36,5% გამოკითხული დაუსაქმებელი კი აცხადებს რომ არ აქვს ინფორმაცია (იხ. გრაფიკი №14).



გრაფიკი № 14. დასაქმება და დაგროვებითი საპენსიო სისტემის მიმართ დამოკიდებულება


წყარო: შედეგნილია ავტორის მიერ

17. შემოსავლების გავლენა პენსიონერთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე

შემოსავლების გავლენა გამოკითხული პენსიონერების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ანალიზისთვის, განხილულია შემდეგი ცვლადების ერთმანეთთან ასოციაციის სანდოობა და მიღებული შედეგებია:

პენსიონერის შემოსავალსა და საპენსიო თანხაზე დამოკიდებულებას შორის, ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით არსებობს ასოციაცია და ამ ასოციაციის შედეგად შეგვიძლია მისი გავლენა 99%-ით გავზომოთ.

კვლევის შედეგად: **240 ლარის** მქონე პენსიონერთა – 84,3% ძირითადად არის დამოკიდებული საპენსიო თანხაზე, 5,6% – მეტნაკლებად ძირითადად არის დამოკიდებული, 2,2% – საშუალოდ, 4,5% – მეტნაკლებად უმნიშვნელოდ, 3,4% – უმნიშვნელოდ; **275 ლარის** შემოსავლის მქონე გამოკითხულთა 87,5% – ძირითადად არის დამოკიდებული საპენსიო თანხაზე, 1,3% – მეტნაკლებად ძირითადად არის დამოკიდებული, 6,9% – საშუალოდ, 1,3% – მეტნაკლებად უმნიშვნელოდ, 3,1% – უმნიშვნელოდ; **240 ლარიდან 937 ლარამდე** შემოსავლის მქონე გამოკითხულთა – 36,6% დამოკიდებულია საპენსიო თანხაზე, 39,0% – მეტნაკლებად ძირითადად არის დამოკიდებული, 9,8% – საშუალოდ, 9,8% – მეტნაკლებად უმნიშვნელოდ, 4,9% – უმნიშვნელოდ; ხოლო რაც შეეხება, **937 ლარს ზემოთ** შემოსავლის მქონე პირები, კვლევის შედეგად არ არიან დამოკიდებულები საპენსიო თანხაზე, გამოკითხულთა 33,3% არის დამოკიდებული უმნიშვნელოდ და 66,7% – მეტნაკლებად უმნიშვნელოდ (იხ. გრაფიკი №15).




გრაფიკი № 15. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დამოკიდებულება შემოსავალზე

წყარო: შედეგენილია ავტორის მიერ

შედეგებიდან ჩანს, რომ რაც უფრო მეტია დამატებითი შემოსავლის რაოდენობა, მით უფრო ნაკლებია პენსიაზე მათი დამოკიდებულება.

18. სხვა შემოსავალი და პენსიონერის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

სხვა შემოსავლის არსებობასა და სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას შორის არსებობს 99%-იანი სანდოობა. რესპონდენტები, რომელთაც აქვთ პენსიის გარდა დამატებითი შემოსავალი: 240 ლარის შემოსავლის მქონე გამოკითხულთა – 34,8% აქვს დამატებითი შემოსავალი; 275 ლარის შემოსავლის მქონე გამოკითხულთა – 23,8% აქვს დამატებითი შემოსავალი; 240 ლარიდან – 937 ლარამდე შემოსავლის მქონეთა – 97,6% აქვს დამატებითი შემოსავალი; 937 ლარს ზემოთ შემოსავლის მქონეთა – 100%. ხოლო, ის გამოკითხული რესპონდენტები, რომელთაც არ აქვთ დამატებითი შემოსავალი 240 ლარი აქვს – 65,2%-ს, 275 ლარი – 76,3%-ს და 2,4% – 240 ლარიდან 937 ლარამდე (იხ. გრაფიკი №16).




გრაფიკი № 16. დამატებითი შემოსავალი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

19. შემოსავლის დონის გავლენა დაგროვებით საპენსიო სისტემაზე

შემოსავლის დონის გავლენა დაგროვებითი საპენსიო სისტემისადმი გამოკითხულთა დამოკიდებულებაზე არის 96,2%. რესპონდენტები, რომლებსაც აქვთ 240 ლარი შემოსავალი, მათგან დაგროვებით საპენსიო სისტემას ძალზედ დადებითად აფასებენ მხოლოდ – 3,3%, დადებითად –

10,0%, არც დადებითად და არც უარყოფითად – 10,0%, უარყოფითად – 24,4%, ძალზედ უარყოფითად – 16,7%, ამ კატეგორიის შემოსავლის მქონე რესპონდენტთა – 35,6% კი აცხადებს, რომ არ ფლობს სათანადო ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე; **275 ლარის შემოსავლის** მქონე რესპონდენტების – 1,9% აფასებს დაგროვებით საპენსიო სისტემას ძალზედ დადებითად, 11,9% აფასებს – დადებითად, 11,9% – არც დადებითად და არც უარყოფითად, 27,5% – უარყოფითად, 10% – ძალზედ უარყოფითად და 36,9% აცხადებს, რომ არ ფლობს ინფორმაციას; **240 ლარიდან 937 ლარამდე შემოსავლის** მქონე რესპონდენტების 2,4% აფასებს დაგროვებით საპენსიო სისტემას – ძალზედ დადებითად, 19,0% აფასებს – დადებითად, 11,9% – არც დადებითად და არც უარყოფითად, 35,7% – უარყოფითად, 16,7% – ძალზედ უარყოფითად და 14,3% აცხადებს, რომ არ ფლობს ინფორმაციას; რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომელთა შემოსავალი მეტია ვიდრე **937 ლარი**, აქ გვხვდება მხოლოდ ორი კატეგორია: 33,3% ძალზედ დადებითად აფასებს დაგროვებით საპენსიო სისტემას და 66,7% უარყოფითად (იხ. გრაფიკი №17).



გრაფიკი № 17. შემოსავლის გავლენა დაგროვებით საპენსიო სისტემისადმი დამოკიდებულებაზე

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

20. საყოველთაო ჯანდაცვა და პენსიონერთა დამოკიდებულება

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საყოველთაო ჯანდაცვის

სისტემით სარგებლიანობისა და კმაყოფილების დონეს შორის გამოკითხულთა დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციაც მნიშვნელოვანია. შესაბამისად, რესპონდენტთან შემოსავლის ცვლილება, როგორ გავლენას ახდენდა მათ მიერ დანახულ ხარვეზებზე არის შემდეგნაირი: იმ რესპონდენტების, 5,6% რომელთაც აქვთ **240 ლარი თვლის**, რომ ბიუროკრატია არის ის მთავარი ფაქტორი, რაც მათ უკმაყოფილებას ზრდის, 7,9% სხვა ხარვეზს ხედავს სისტემაში, ხოლო 86,5%-ს არ აქვს ინფორმაცია; **275 ლარის შემოსავლის** მქონე მოქალაქეების 8,8% ბიუროკრატით იყო უკმაყოფილო, 3,8% – მომსახურე პერსონალის დამოკიდებულებით, 8,1% – სხვა ფაქტორით და 79,4%-ს არ ჰქონდა პასუხი; **240 ლარიდან 937 ლარამდე** შემოსავლის მქონე გამოკითხულთა 7,3% ბიუროკრატias ასახელებს, 12,2% მომსახურე პერსონალის დამოკიდებულებას, 80,5%-ს კი არ აქვს კითხვაზე პასუხი; **937 ლარზე მეტი** შემოსავლის მქონე პირებიდან კი 66,7%-ს არ აქვს კითხვაზე პასუხი და მხოლოდ 33,3% – სხვა ფაქტორს ასახელებს და არა რომელიმე ჩამოთვლილთაგან – ბიუროკრატias და მომსახურე პერსონალის დამოკიდებულებას.


ზოგადი შეფასებით საყოველთაო ჯანდაცვის სისტემასთან მიმართებით, გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 7,5% ბიუროკრატით არის უკმაყოფილო, 3,8% მომსახურე პერსონალის დამოკიდებულებით, 7,2% სხვა ფაქტორით და 81,6%-ს არ აქვს კითხვაზე პასუხი. **შემოსავალსა და საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში ხარვეზებს შორის ასოციაცია სტატისტიკურად მნიშვნელოვანია**, ე.ი. ასოციაცია არსებობს და მისი სანდოობა 96,2%-ია (იხ. გრაფიკი №18).

გამოკითხულ 300 რესპონდენტს შორის 216-მა ისარგებლა საყოველთაო ჯანდაცვის სისტემით და მათგან 148 აცხადებს, რომ კმაყოფილია სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პროგრამით, რაც მთლიანად გამოკითხულთა 49%-ს შეადგენს. სერვისით კმაყოფილების მაჩვენებელი მიიღწევა იმ რესპონდენტების ხარჯზე, რომლებმაც პროგრამის ფარგლებში ისარგებლეს ქირურგიული მომსახურებით და მათ მომსახურების თანხის 70-90% საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში დაუფინანსდათ, რაც მნიშვნელოვანი

შეღვათი იყო მათთვის, როგორც ფინანსურად ასევე, სიცოცხლის შენარჩუნების თვალსაზრისითაც. მათი შეფასებით, რომ არა საყოველთაო ჯანდაცვა, მათი სიცოცხლე რისკის ქვეშ იყო და ისინი თავისი სახსრებით ამ მომსახურების მიღებას ვერ შეძლებდნენ.

გამოკითხულთა ნაწილისთვის, უკმაყოფილებას და ხშირ შემთხვევაში გაღიზიანებას და უიმედობასაც კი, იწვევდა მათთვის სასურველი და საჭირო მომსახურების, პროგრამის ფარგლებში დაუფინანსებლობა. რესპონდენტები საუბრებში განმარტავდნენ მიზეზებს, რომლის თანახმადაც, გამოკვლევების ჩატარების მიზნით სამედიცინო დაწესებულებაში მისულებს, პროგრამის ფარგლებში მხოლოდ სისხლის საერთო ანალიზს სთავაზობდნენ უფასოდ, რისი ღირებულებაც გაცილებით დაბალია იმ გამოკვლევებსა და ანალიზებთან შედარებით, რაც მეტად სჭირდებოდათ, ასაკიდან გამომდინარე. შესაბამისად, მათთვის პროგრამის არსებობა განიხილება უარყოფითად.

მეორე მნიშვნელოვანი მხარდამჭერი პროგრამა, რასაც სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში სთავაზობს პენსიონერ მოქალაქეებს არის მედიკამენტებით უზრუნველყოფა. აქაც რესპონდენტები სააფთიაქო ბიუროკრატიაზე და ყოველთვიურად ფასების 100-დან – 300 %-მდე ზრდას ასახელებენ, რაც მათ დიდ უკმაყოფილებას წარმოშობს.



გრაფიკი № 18. შემოსავლის გავლენა საყოველთაო ჯანდაცვის ხარვეზებზე

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

3.4. თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზი

ჩატარებული რაოდენობრივი კვლევით გამოვლინდა გამოწვევები, რომელზეც პენსიონერი მოქალაქეები ამახვილებენ ყურადღებას. გამოიყო შემდეგი ძირითადი ტენდენციები: ა) იმ ფონზე, როცა გამოკითხულ პენსიონერთა 76% პენსია შეადგენს ძირითად შემოსავალს და ამ პენსიის 50%-ს ისინი მედიკამენტებში ხარჯავენ, რას სთავაზობდა სახელმწიფო ან, რას გეგმავდა სამომავლოდ; ბ) მაშინ როცა, საპენსიო თანხის წინსწრებით, სესხის სახით გამოტანის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი 30,65%-ია, რაც უმძიმეს ხდის პენსიონერთა ყოფას, რას გეგმავდა სახელმწიფო პრობლემის გადასაჭრელად; გ) რა ხედვა ჰქონდა სახელმწიფოს ინფლაციასთან და მედიკამენტებზე ფასების 100-დან - 300%-მდე ზრდის დასარეგულირებლად და დ) სად იყო პრობლემა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებაში, რომელიც იმ სეგმენტის უკმაყოფილებას იწვევდა, ვისაც ქირურგიული მანიპულაციით არ უსარგებლია და მხოლოდ, სამედიცინო კვლევებით სარგებლობის სურვილი ჰქონდათ. იმისათვის, რომ გარკვეულიყო სახელმწიფოს ხედვა, გამოვლენილ საკითხებთან მიმართებაში მომზადდა შესაბამისი კითხვარი. ვინაიდან, პოლიტიკის შემქმნელებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ მომხდარიყო, საპენსიო სისტემის შეფასება და რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ასპექტების ანალიზი და შესაბამისი სამომავლო აქტივობების განხილვა.

შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან, რომელიც უკავშირდება (COVID-19) გავრცელების შეზღუდვას და დაწესებული რეგულაციების დაცვის მიზნიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა პირისპირ ინტერვიუების წარმოება გარდა, ერთი გამონაკლისი შემთხვევისა, სადაც ინტერვიუსთვის შეხვედრა, რესკონდენტის სურვილით, რეკომენდაციების დაცვის გათვალისწინებით დაიგეგმა. გამომდინარე აღნიშნულიდან, შემუშავებულ კითხვარზე დაყრდნობით მომზადდა შესაბამისი წერილები, რომლებიც გაეგზავნა საქართველოს მთავრობისა და წარმომადგენლობითი ორგანოს შესაბამის უწყებებს.

წარმოდგენილი პასუხების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, რა დროსაც იზრდება ხანდაზმულთა რაოდენობა და მცირდება სამუშაო ძალის მქონე პირთა რაოდენობა, რომლებიც ასევე, ბიუჯეტში გადასახადის გადამხდელს წარმოადგენენ, სახელმწიფოს მიერ შემუშავდა დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელიც 2019 წლიდან სრულად ამოქმედდა. საპენსიო რეფორმამ გამოიწვია 2020 წლის ივლისში, სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის წესის დამტკიცება, რამაც უნდა უზრუნველყოს ფისკალური მდგრადობა, საპენსიო ხარჯების სტაბილიზაციის გზით. შედეგად საერთაშორისო სავალუტო ფონდებთან შეთანხმებით, გადაწყდა, რომ: 70 წლამდე პენსიონერისათვის პენსია ყოველწლიურად გაიზრდება ინფლაციის გათვალისწინებით, მინიმუმ 20 ლარით და 70 და უფროსი ასაკის პენსიონერთათვის, პენსია ყოველწლიურად ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის 80% ოდენობით, მინიმუმ 25 ლარით გაიზრდება. ცვლილება ხელს შეუწყობს საპენსიო ხარჯების სტაბილურობის შენარჩუნებას და გრძელვადიან პერიოდში მშპ-ის 5.2 % არ აღემატება.

საპენსიო თანხის წინსწრებით სესხის სახით გატანის შემთხვევაში, არსებულ საპროცენტო განაკვეთთან მიმართებაში საკითხი პრობლემურია. კერძო საბანკო ორგანიზაციებთან მრავალმხრივი მუშაობის მიუხედავად, შეუძლებელი გახდა საპროცენტო განაკვეთის შემცირება. ვინაიდან საპროცენტო განაკვეთი დათვლილია ყველა მოსალოდნელი რისკის გათვალისწინებით და მისი კიდევ უფრო შემცირება არამომგებიანია. შესაბამისად, ისინი ვერ შეძლებენ ბაზარზე ნაკლები საპროცენტო განაკვეთით ოპერირებას. მეორე შემთხვევაში, თუ სახელმწიფო იგივე საქმის განხორციელებას ვალდებულებაში აიღებს, ეს სახელმწიფო რესურსების ხარჯებს გაზრდის, რაც ასევე ფინანსურად წამგებიანი იქნება.

იმისათვის, რომ მოხდეს წამლის ფასების რეგულირება, სახელმწიფომ გადაწყვიტა შექმნას ეროვნული ლაბორატორია, რომელიც საქართველოში ოპერირებად წამლის ხარისხს გააკონტროლებს, რათა ფასის კლების ხარჯზე არ მოხდეს წამლის ხარისხის დაწვეა. ფასიც და ხარისხიც მათივე

განმარტებით მკაცრად უნდა დარეგულირდეს. რაც შეეხება უკმაყოფილებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობისას, ძირითადად გამოწვეულია პენსიონერების მხრიდან პირველადი ჯანდაცვის ანუ ოჯახის ექიმის ინსტიტუტის უგულებელყოფით, ისინი არ მიმართავენ ოჯახის ექიმს და პირდაპირ კლინიკაში, პროგრამის ფარგლებში ითხოვენ კვლევის ჩატარებას, რაზედაც უარის მიღება მათ უკმაყოფილებას წარმოშობს. სახელმწიფო აგრძელებს მუშაობას საზოგადოებაში ოჯახის ექიმის ინსტიტუტის როლის გასაძლიერებლად.

დასკვნა

სოციალური პოლიტიკა არის სახელმწიფო რესურსების ისე დაგეგმვა და განხორციელება, რომელმაც მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დაცვა, რა დროსაც მათი ყოველდღიური ყოფა უნდა გახდეს ადეკვატური ცხოვრების არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში. საქართველოსთვის და ქალაქ თბილისისთვის სამაგალითოა ევროპის ქვეყნების გამოცდილება, რომელზედაც ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება.

ქართული სახელმწიფოს სწრაფვა მომავალი განვითარებისკენ, გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, ნათლად გამოიხატა 2014 წელს გაფორმებული ევროპასთან ასოცირების შეთანხმებით, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ ოჯახთან. შეთანხმება სხვა არაერთ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის კარდინალურად გაუმჯობესებაზეც არის ორიენტირებული. ამ მიმართულებით საქართველოში და მათ შორის თბილისში, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია სოციალური პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით, მათ შორის ბევრია გასაკეთებელი საპენსიო უზრუნველყოფის კუთხით. არსებული საბაზისო პენსია ემსახურება სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებას, თუმცა ვერ პასუხობს პენსიონერთა ღირსეულ სიბერეს.

კვლევის თანახმად, არსებული საპენსიო სისტემის სამომავლო მოლოდინებიც არასაიმედოა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაანალიზებიდან და შეფასებიდან გამომდინარე, რაც სამომავლოდ მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის საფინანსო სექტორს და შრომით ძალას.

უცხოური გამოცდილება, რომლის ნაწილობრივი იმპლემენტაცია მოხდა ქართულ კანონმდებლობაში, მხედველობაშია ის, რომ შემოდებულ იქნა დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რამაც სამომავლოდ უნდა უზრუნველყოს ფინანსური ხარჯის შემცირება, ხოლო დანაზოგების შექმნამ

კი, პროგრამაში მონაწილე პირებს საპენსიო ასაკში ღირსეული პირობები შესთავაზოს.

კვლევამ ცხადჰყო პენსიონერთა მიმომე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა. გამოკითხულ რესპონდენტთა 76%-თვის არსებული სოციალური პენსია არის ერთადერთი ფინანსური შემოსავლის წყარო და უმეტესობა მიღებული პენსიის (240 ან 275) 50%-ს მედიკამენტების შესაძენად ხარჯავს, დარჩენილი თანხის მინიმალური ოდენობით კი ცდილობენ მომდევნო პენსიამდე თავის გატანას – საკვები პროდუქტებისა და კომუნალური გადასახადების უზრუნველყოფით.

გამოკითხულ პენსიონერთა უმეტესობას, საპენსიო თანხა სესხის სახით, წინსწრებით აქვს გამოტანილი. პენსიის დაკრედიტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 30.65%-ია. სასესხო ვალდებულების ქვეშ მყოფი პენსიონერების ყოველთვიური ასაღები თანხა საარსებო მინიმუმზე (საქსტატის 2021.01.01 მონაცემით – 224.2 ლ) ნაკლებია გამოდის, რომ შესუსტებული საბანკო რეგულაციის პირობებში, მნიშვნელოვან სარგებელს საბანკო-საკრედიტო ორგანიზაცია იღებს, ხოლო პენსიონერი ერთმნიშვნელოვნად განიცდის ზარალს.

პენსიონერთათვის ასევე მტკივნეულია ეროვნული ვალუტის ინფლაციის შედეგად ფასების რეკორდული ზრდა. რესპონდენტთა 40% მართალია აღიარებს რეფორმის შემდგომ პერიოდს და პენსიის ზრდის დადებით ტენდენციას, მაგრამ იქვე აღნიშნავენ, დიდ განსხვავებას ვერ ხედავენ ლარის მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით. ვინაიდან პენსიის ზრდასთან ერთად ინფლაციის (7,7%-ია საქსტატის მონაცემებით) მაჩვენებელი იზრდება. შესაბამისად, პენსიის მსყიდველობითუნარიანობის კოეფიციენტი მცირდება. პენსიონერთა განმარტებით, რეგულარულად გამოყენებადი მედიკამენტების შესაძენად, ყოველთვიურად, სააფთიაქო ქსელის არასტაბილურობა და მედიკამენტებზე დაწესებული მცოცავი განაკვეთი უფრო მეტად ამძიმებს პენსიონერის ყოფას და შეუძლებელს ხდის ყოველთვიურ, გეგმაზომიერ ხარჯთაღრიცხვის შედგენას.

პენსიონერთა უკმაყოფილებას იწვევს თანაბარი პენსიის განსაზღვრა,

სტაჟისა და ნამსახურობის წლების გათვალისწინების გარეშე. რესპონდენტთა უმეტესობა სკეპტიკურად და უარყოფითად არის განწყობილი დაგროვებით საპენსიო სისტემის მიმართ, ვინაიდან წარსულის „მწარე გამოცდილება“ დღემდე ახსოვთ. ამ ყველაფერს ისიც განაპირობებს, რომ გამოკითხულთა 54%, ქვეყანაში მოქმედ საპენსიო სისტემების შესახებ არ არის ინფორმირებული, რაც შესაძლოა საინფორმაციო კამპანიის ნაკლებობით იყოს განპირობებული.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების არსებობას გამოკითხულთა 49% დადებითად აფასებს. კმაყოფილია იმ გამოკითხულთა უმრავლესობა, ვისაც ქირურგიული მანიპულაცია დასჭირდა და მომსახურების თანხა 70-90% საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში აუნაზღაურდა, ხოლო ისინი, ვისაც პროფილაქტიკური გამოკვლევები ან მედიკამენტოზური დახმარება დასჭირდა, თვლიან, რომ პროგრამა არაეფექტურია. როგორც თვისებრივი კვლევის ფარგლებში განგვიმარტეს, აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია პირველადი ჯანდაცვის რგოლის, ანუ „ოჯახის ექიმის“ უგულვებელყოფით. რასაკვირველია ვიზიარებთ მათ მოსაზრებას, თუმცა, მხედველობაშია მისაღები ისიც, არასაკმარისია რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე, რაზედაც სახელმწიფოს მეტი ყურადღების გამახვილება მართებს.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სახელმწიფომ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა აუცილებელია განახორციელონ შემდეგი ქმედებები, სახელმწიფო:

➤ გადაიხედოს მედიკამენტთა ფასები და მოხდეს მისი რეგულირება არსებულ საპენსიო რეალობასთან მიმართებით.

➤ დაკრედიტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მოცულობა შეადგენს (30,65%), მისი საკანონმდებლო გადასინჯვა მნიშვნელოვანია პენსიონერთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

➤ დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით გაატაროს უფრო ქმედითი ღონისძიებები, რათა მაქსიმალურად შემცირდეს უმუშევრობის დონე, რაც ხელს შეუწყობს სოციალური ანარიცხების ზრდას და, შედეგად,

შეამსუბუქებს უმუშევართა ოჯახის წევრების ხანდაზმულთა საპენსიო შემოსავალზე დამოკიდებულებას.

➤ უზრუნველყოს საპენსიო ასაკის ადამიანთა დასაქმების ხელშეწყობა და მათი შრომის ბაზარზე უფრო ხანგრძლივი დროით დარჩენის შესაძლებლობა.

➤ ინდექსაციის წესით განსაზღვრული ყოველწლიური მინიმუმის ზრდა ისე იქნას უზრუნველყოფილი, რომ საპენსიო განაკვეთი რეალურად პასუხობდეს ინფლაციით გამოწვეული ფასთა ზრდის მაჩვენებელს.

➤ უზრუნველყოფილ იქნას მეტი საინფორმაციო კამპანიის წარმოება, დაგროვებით საპენსიო სისტემის უკეთ გასაცნობად, ვინაიდან ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს საზოგადოების უნდობლობას საპენსიო რეფორმის მიმართ.

➤ შესწავლილი იქნეს უცხოეთის ქვეყნების დადებითი გამოცდილება დაგროვებითი საპენსიო სისტემით მოზიდული სახსრების ეფექტიანად მართვის მიმართულებით.

თბილისის მერია:

➤ თბილისის მერიამ უზრუნველყოფს თბილისელი პენსიონერების ყოფის კიდევ უფრო დეტალურად შესწავლა და მათ საჭიროებებზე უფრო ეფექტურად მორგებული სოციალური ღონისძიებების შემუშავება.

➤ თბილისელი პენსიონერები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 200 000-ს არ აღემატება, წამლების 500-ლარიან ვაუჩერებს იღებენ. ეს ინიციატივა საინტერესოა იმ მხრივ, რომ მსგავსი ვაუჩერული პრინციპით დაფინანსება რეალური საშუალებაა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამდენად, სასურველია თბილისის მერიამ სამომავლოდაც უზრუნველყოს კონკრეტულ საჭიროებაზე მორგებული ვაუჩერული წესით დაფინანსება, რისთვისაც უპირველესად საჭიროა ხანდაზმულ მოქალაქეთა საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლა და ანალიზი.

➤ თბილისის მერიამ, საინფორმაციო კამპანიების საშუალებით მოახდინოს სახელმწიფო და ადგილობრივი (მუნიციპალური) ბიუჯეტებით

გათვალისწინებულ სოციალური პროგრამებთან და პროექტებთან მიმართებით საზოგადოების (პენსიონერების) ინფორმირება.

➤ სახელმწიფოსთან ერთად, ადგილობრივმა თვითმმართველობამ გააუმჯობესოს და მეტად ქმედითი გახადოს ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და ამის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს მოსახლეობას.

➤ შეიქმნას პენსიონერების დასაქმების ცალკეული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო შეღავათებს თბილისში რეგისტრირებული საწარმოებისთვის (კომპანიებისთვის), რისთვისაც საჭიროა საგადასახადო კანონის იმ ნორმის გადასინჯვა, რომელიც დაბეგვრის სტანდარტებს ემსახურება. აღნიშნული ცვლილების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით უნდა მოხდეს პენსიონერთა და სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეების დასაქმება. თბილისის მერიის მხრიდან საპილოტედ მოხდეს ამ მოდელის განხორციელება, ხოლო წარმატების შემთხვევაში პრაქტიკა გაიზიარონ რეგიონებმაც.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ჰეივუდი ე., პოლიტიკა, მესამე გამოცემა, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს მაცნე, გვ. 16
2. გელიტაშვილი ნ., ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, დისერტაცია, თბ.: 2011, გვ. 4
3. შატბერაშვილი ნ., საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა, თბ.: 2016-2017
4. Олейникова Елена Геннадьевна, МОДЕЛИ СОЦИАЛЬНОЙ ПОЛИТИКИ ГОСУДАРСТВА: ПРОБЛЕМЫ ТЕОРИИ И ПРАКТИКИ http://dom-hors.ru/rus/files/arhiv_zhurnala/pep/2013-3/oleynikova.pdf (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
5. SECHIN-CRISTA, Aurel MIHUȚ, Gabriel Ionel DOBRIN, Sorin BLAJ., The Social Policy of the European Union, International Journal of Business and Social Science, 2013 https://ijbssnet.com/journals/Vol_4_No_10_Special_Issue_August_2013/2.pdf. (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
6. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა ფორმირება და განვითარება, თბ.: 2008, გვ. 22; 23-26
7. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33. 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია, 23/03/2018
8. ეკონომიკის მთავარი გამოწვევები, საქართველოს პროგრესული ფორუმი გვ. 5-26; 23-34
9. ვანიშვილი მ., ჭიკაიძე ნ., ვანიშვილი ნ., სოციალური ეკონომიკა, თბ.: 2015, გვ. 243-244; 311-315
10. ვანიშვილი მ., გეგზაია ბ., სოციალური სფეროს ეკონომიკა და მართვა, თბ.: 2015, გვ. 5-26
11. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი, გვ. 3-4, 11
12. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველოს მთავრობა, საქართველო 2020, გვ. 3-4; 11
13. საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი, ევროკავშირის ისტორია. <https://old.infocenter.gov.ge/euinfo-history/#1> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
14. The European Social Model, The origins of Social Europe, July 2006 <https://www.etuc.org/en/european-social-model> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
15. ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, COUNCIL OF EUROPE <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/the-coe/about-coe/history> (ბოლო

გადამოწმება - 16.01.2022)

16. დეილი მ., სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში, ევროპის საბჭო, 2002, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/socialuri-uflebebis-xelmisawvdomoba.pdf>, გვ. 7, 9, 10-20, 35-39 (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
17. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, სოციალური ინტეგრაციის ახალი სტრატეგია, 2004, გვ. 3
18. ფონტენი პ., როგორ მუშაობს ევროკავშირი, 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ, ევროპა 2020, გვ. 19, 37
19. Mary Daly, EU SOCIAL POLICY: DEVELOPMENTS IN THE FIELD AND INSIGHTS FOR THE STUDY OF SOCIAL POLICY, American Consortium on European Union Studies (ACES) EU Center of Excellence Washington, D.C. ACES Cases, No. 2012.1. http://aei.pitt.edu/59149/1/ACES_Case_Daly_2012.pdf (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
20. Germany Social Policies, SGI sustainable governance indicators- https://www.sgi-network.org/2019/Germany/Social_Policies (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
21. Sweden Social Policies, SGI sustainable governance indicators- https://www.sgi-network.org/2019/Sweden/Social_Policies (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
22. Norway Social Policies, SGI sustainable governance indicators-https://www.sgi-network.org/2019/Norway/Social_Policies (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
23. Denmark Social Policies, SGI sustainable governance indicators-https://www.sgi-network.org/2019/Denmark/Social_Policies (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
24. Finland Social Policies, SGI sustainable governance indicators- https://www.sgi-network.org/2019/Finland/Social_Policies (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
25. United States Social Policies, SGI sustainable governance indicators - https://www.sgi-network.org/2017/United_States/Social_Policies. (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
26. ჩხიკვაძე ვ., აღმოსავლეთ პარტნიორობა: შემდეგი რა არის საქართველოსთვის, 2019, <https://ge.boell.org/ka/2019/09/12/agmosavletis-partnioroba-shemdegi-ra-aris-sakartvelostvis> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
27. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. პარლამენტის უწყებები, 2014, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>. (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
28. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, თბ.: 2017, <https://nala.ge/uploaded/nala/2019-02/20190213192002281235248.pdf>. (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)

29. მოქალაქის გზამკვლევი, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბ.: 2021, გვ. 41.
<https://www.mof.ge/images/File/gzamkvlevi/2021/08-02-2021/Citizens%20Guide%20-%202021-kanoni.pdf>. (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
30. დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის 2020 წლის სტატისტიკური ანგარიში, <https://www.moh.gov.ge/ka/743/> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
31. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-6 შეხვედრა და ვახტანგ მახარობლიშვილის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ახალი დღის წესრიგის შესახებ შეხვედრაში მონაწილეობა <https://mfa.gov.ge/News/%E2%80%8B%E2%80%8Bsaqartvelo-evrokavshiris-asocirebis-sabchos-me-6.aspx> (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
32. საქართველოს საგარეო პოლიტიკის 2019-2022 წლების სტრატეგია, <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
33. საქართველოს კანონი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2009, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=49> (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
34. ლაფერაშვილი თ., ფისკალური დეცენტრალიზაციის როლი ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში (საქართველოს მაგალითზე), თსუ, 2018 წ. გვ. 35
35. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ სტრასბურგი, 1985 https://smr.gov.ge/uploads/prev/evropuli_q_354b65fe.pdf (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
36. საქართველოს ორგანული კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსი“ 2014, კონსოლიდირებული ვერსია
37. ბოლოთაშვილი პ., „მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები გარდამავალ პერიოდში“, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2001
38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
39. ევროპის კომისია, სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში, შემაჯამებელი დასკვნა, 2011, გვ. 3-8
40. გორგილაძე ლ., „სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეგიონული პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების ძირითადი

მიმართულებები (აჭარის მაგალითზე), თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2016

41. გრიგოლია ნ., სოციალური დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 2017, 1,4 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf, გვ. 1-4 (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
42. საქართველოს კანონი, საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, პარლამენტის უწყებები, 2021, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5071216?publication=1> (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
43. საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, პარლამენტის უწყებები, 2005, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/27946?publication=28> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
44. მოქალაქის გზამკვლევი, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბ., 2021, გვ.40. <https://www.mof.ge/images/File/gzamkvlevi/2021/08-02-2021/Citizens%20Guide%20-%202021-kanoni.pdf> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
45. საქართველოს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“, პარლამენტის უწყებები, 2005 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/25432?publication=60> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
46. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa> (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
47. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, პარლამენტის უწყებები, 2006, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4458415?publication=0> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
48. საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“, პარლამენტის უწყებები, 2014, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244506?publication=6> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
49. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=889 (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
50. დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმები 2019-2020. <https://www.moh.gov.ge/ka/737/> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)

51. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, მინისტრის №01-14/5 ბრძანება, თბ.: 2018, http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=744> (ბოლო გადამოწმება -16.01.2022)
52. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-13 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4001221?publication=0>> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
53. ქალაქ თბ. საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-20 დადგენილება „თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებისა და „თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4003997?publication=0>> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
54. უროტაძე ჯ., საპენსიო სისტემები: განვითარების ტენდენციები და მოლოდინები, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი #3, 2016. თბ.: http://jyr.tsu.ge/public/uploads/sitepdf/05_jaba.urotadze-.publ_.pdf (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
55. „საქართველოს საპენსიო რეფორმა“ – ანგარიში, არსებული საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2016. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Goverment_Report_on_pensions_Final_GEO.pdf (ბოლო გადამოწმება – 16.01.2022)
56. უროტაძე ჯ., საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ., 2016, https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/jaba_urotadze.pdf (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
57. ჰუთსებაუთი მ., საპენსიო სისტემის რეფორმა საქართველოში, კომენტარები და ალტერნატივები 2017, FRIDRICH EBERT STIFTUNG - თბ.: http://progressive.ge/uploads/files/publikaciebi/Pension_System_Reform_in_Georgia_Hutsebaut_GEO.pdf (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
58. საქართველოს მთავრობა დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე, 2018 წელი. თბ.: http://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/regulirebis_gavlenis_shefaseba_dagrovebit_sapensio_reformaze.pdf (ბოლო გადამოწმება – 16.01.2022)
59. სერვასტიანცი ნ., საქართველოს საპენსიო რეფორმა-წარსული და

- განვითარების პერსპექტივები, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“
<http://geoeconomics.ge/?p=12524> > (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
60. „სახელმწიფო ბიუჯეტი“, შესრულების ანგარიშები 2016-2020 წწ.
https://www.mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit>(ბოლო
გადამოწმება - 16.01.2022)
 61. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის №400 დადგენილება,
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის
„საქართველო 2020“,
http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf> (ბოლო
გადამოწმება - 16.01.2022)
 62. საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ პარლამენტის
უწყებები 06/08/2018 თბ.,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4280127?publication=2> (ბოლო
გადამოწმება - 16.01.2022)
 63. საპენსიო რეფორმა საქართველოში „საპენსიო რეფორმა ნებით, თუ
ძალით?“, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC economic
Policy Research Center) (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
 64. საპენსიო სააგენტო, „აუდიტის ფინანსური ანგარიში“ 2019(IFRS)]
[https://www.pensions.ge/reports/financial-reports/audited-financial-
statements/2019-IFRS](https://www.pensions.ge/reports/financial-reports/audited-financial-statements/2019-IFRS) (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
 65. საპენსიო სააგენტო, „საპენსიო სააგენტოს მიმდინარე სტატისტიკური
მონაცემები“, 2021წ., [https://www.pensions.ge/public-
information/news/current-statistics-of-the-pension-agency.](https://www.pensions.ge/public-information/news/current-statistics-of-the-pension-agency) (ბოლო
გადამოწმება - 16.01.2022)
 66. A World Bank Policy Reasearch Report-Averting The Old Age Crisis: Policies to
Protect the Old and Promote Growth.
[https://elibrary.worldbank.org/action/doSearch?AllField=The+Old+Age+Crisis%
3A+Policies+to+Protect+the+Old+and+Promote+Growth.+](https://elibrary.worldbank.org/action/doSearch?AllField=The+Old+Age+Crisis%3A+Policies+to+Protect+the+Old+and+Promote+Growth.+) (ბოლო
გადამოწმება - 16.01.2022)
 67. ონიანი მ., სახელმწიფოს საფინანსო სისტემა და მისი როლი
მოსახლეობის კეთილდღეობის პროცესში, სამეცნიერო ჟურნალი
„ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“,
ხელისუფლება და საზოგადოება №4 (56) 2020, გვ. 26-37
 68. ონიანი მ., სოციალური გარანტიების როლი ხანდაზმული მოსახლეობის
სიცოცხლის ხარისხის ამაღლებაში, ყოველკვარტალური რეფერირებადი
და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-
ინჟინერინგი“ №1-2 2021, გვ. 72-77
 69. ონიანი მ., სოციალური პოლიტიკა თანამედროვეობაში და
სახელმწიფოთა განსხვავებული მიდგომა უფლების რეალიზაციისას,
სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია,
თეორია, პრაქტიკა)“, ხელისუფლება და საზოგადოება №3 (55) 2020, გვ.

70. ონიანი მ., დოლონაძე შ., საქართველოში არსებული საპენსიო სისტემისადმი თბილისის ხანდაზმულ მოქალაქეთა დამოკიდებულების შესახებ“ სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), ხელისუფლება და საზოგადოება №3 (59) 2021, გვ. 65-81
71. „საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება“, ანალიტიკური ანგარიში, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2017, <<https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/14583.pdf>> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
72. „საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევა“, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მეხუთე ეტაპი 2017 წ., ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი (ACT), თბ.: 2018, <https://www.unicef.org/georgia/media/1261/file/WMS%20-%20GEO%20%202017.pdf> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
73. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, პარლამენტის უწყებები, 2016, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3331420?publication=0> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
74. საქართველოს საპენსიო რეფორმა, არსებული სოციალური და საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ანგარიში, 2016
75. ბალათურია გ., ბალათურია ო., დოლონაძე შ., იაშვილი გ., იაშვილი თ., კვლევის მეთოდების საფუძვლები საჯარო მმართველობის ამოცანებში, სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2019
76. გაწერელია ა., გეგენავა დ., ზომერმანი კ., კობახიძე ი., როგავა ზ., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ყალიჩავა კ., ხუბუა გ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბ.: ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თსუ. 2016 <http://lawlibrary.info/ge/books/giz2016-ge-handbook-legal-bases-public-administration.pdf> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
77. გელიტაშვილი ნ., ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელები საქართველოში, თბ.: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011
78. გორგილაძე ლ., „სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეგიონული პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების ძირითადი მიმართულებები (აჭარის მაგალითზე), თბ.: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2016
79. დებრუნი ბ., ჭითანავა მ., მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები

- საქართველოში, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გამომც. შპს „ვესტა“, 2017
80. დევდარიანი დ., საპენსიო სისტემათა მსოფლიო მოდელები საქართველოს კონტექსტში, IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ.: 2015, <https://idfi.ge/ge/world-models-pension-schemes-georgia> (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)
 81. დეილი მ., სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ევროპაში, ანგარიში, საქართ. გამომც. „ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო“, 2007
 82. დიაკონიძე ა., ჯულუხაძე თ., სოციალური პოლიტიკის ძირითადი საკითხები, თბ.: გამომც. „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“, 2014
 83. დოლონაძე ს., დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო მმართველობის საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბ., გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2018
 84. დოლონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები. ელექტრონული მთავრობა, თბ.: გამომც. „ცის ნამი“, 2013
 85. დოლონაძე შ., სახელმწიფო მართვის თეორიის საკითხები, თბ., გამომც. „ცის ნამი“, 2007
 86. ვანიშვილი მ., გეგზაია ბ., სოციალური სფეროს ეკონომიკა და მართვა, სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. „საზოგადოება ცოდნა“, 2015
 87. ვანიშვილი მ., გიგუაშვილი გ., სოციალური პოლიტიკა, ლექციების კურსი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, თბ.: 2013
 88. ვანიშვილი მ., ჭიკაიძე ნ., ვანიშვილი ნ., სოციალური ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. „საზოგადოება ცოდნა“, 2015
 89. იაშვილი თ., ბარათაშვილი ე., იაშვილი გ., დოლონაძე შ., მომსახურების სფეროს მენეჯმენტი, თბ.: გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2019
 90. კაჭკაჭიშვილი ი., საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2017
 91. ლოსაბერიძე დ., კანდელაკი კ., აბულაძე მ., კონჯარია ო., ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმძღვანელო, თბ.: გამომც. ა(ა)იპ მწვანე კავკასია, 2016
 92. მახარაძე თ., ქიტიაშვილი ა., სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მარტო მცხოვრები პენსიონერების ზოგადი მდგომარეობა COVID-19-ის პერიოდში, კვლევის ანგარიში 2020, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) საქართველოს ოფისი და საქართველოს წითელი ჯვრის

საზოგადოება,

https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pubpdf/covid_19_impact_on_lonely_older_people_-_research_report.pdf (ბოლო გადამოწმება - 16.01.2022)

93. უროტაძე ჯ., საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება, თბ.: გამომც. „თსუ-ს გამომცემლობა“, 2018
94. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა, ფორმირება და განვითარება, (ნაწილი I), თბ.: გამომც. „ინოვაცია“, 2008
95. ჰაკერტი რ., მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA), შპს „ვესტა“, 2017
96. ჰეივუდი ე., პოლიტიკა, თბ.: გამომც. „საქართველოს უნივერსიტეტი“ და „საქართველოს მაცნე“, 2008
97. Babakaev Sergei V., Kaurova Olga V., KulYamina Olga S., Maloletko Aleksandr N. & Vinogradova Marina V., “The Social Aspects OF Pension System Modernization in Modern Russia”, 8 J. ADVANCED Res. L. & ECON. 352 (2017)
98. CRISTA C., MIHUT A., DOBRIN G., BLAJ S., The Social Policy of the European Union, International Journal of Business and Social Science, 2013
99. Fedorenko L., “Local Self-Government Reform in the Independent Ukraine: Concepts, Priorities, Prospects” 2016 UKRAINIAN J. Const. L. 47 (2016)
100. Shumylo M., “The Pension System of Ukraine: On Its Way to a Fundamental Reform”, 26 JURIDICA INT’I 103 (2017)